# არსენალი

№ 7 (50). 4 – 17 აპრილი. 2008. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## არტილერისტები პოლიგონზე გადიან

1425
2008

## რატომ დაეცა გაგრა...

## ისრაელის „რკინის გუმბათი"

## „ღამის ქორის" ბოლო ფრენა...

## არალეტალური იარაღი – პერსპექტივები

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეპორტაჟი
აშშ-მექსიკის
საზღვრიდან
10




რატომ
დაეცა გაგრა
14



„ღამის ქორის“
ბოლო ფრენა...
27

ასასინები
მკვლელთა
საიდუმლო
ორგანიზაცია
36





ფინური
სნაიპერული
შაშხანა
52



სამხრეთ-
ამერიკული
დებიუტი
42

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 უცხოური ამბები

**პრობლემა**

6 ვეტერანის საბუთს დაბადების დღეებზე ჩუქნიდნენ

**ფოტორეპორტაჟი პოლიგონიდან**

8 არტილერისტები პოლიგონზე გადიან

**რეპორტაჟი**

10 რადარების ალყაში მოქცეული მდინარე რიო-გრანდე

**ექიმები ჯარში**

12 სანინსტრუქტორს ბევრჯერ გადაურჩენია სხვა და თავად ჩამკვდომია ხელებში...

**ტყვილი**

14 რატომ დაეცა გაგრა

**საჰაერო თავდაცვა**

17 ისრაელის რკინის გუმბათი

**სამხედრო სიახლეები**

20 უნივერსალური ტორპედო

21 კორეული სატანკო ხიდგამდები

**სპეცსამსახურები**

22 იჩქარე ნელა

24 „პარალელური" სპეცსამსახურები

**იარაღი**

27 „ღამის ქორის" ბოლო ფრენა

**ომების მსოფლიო ისტორია**

33 ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

**ლეგენდა**

36 ასასინები – მკვლელთა საიდუმლო ორგანიზაცია

**ნოუ-ჰაუ**

40 არალეტალური იარაღი – ტენდენციები და პერსპექტივები

**შორეული კონფლიქტი**

42 სამხრეთამერიკული დებიუტი

**ფლოტი**

45 კრეისერები და საკრეისერო ოპერაციები

47 რიონის მნიშვნელობა ქართული ზღვაოსნობის ისტორიაში

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

52 ფინური სნაიპერული შაშხანა


26028

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქტორის სვეტი

2-4 აპრილს ბუქარესტში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სამიტი ჩატარდა. ჩართავენ თუ არა საქართველოს გაწევრების სამოქმედო გეგმაში, MAP-ში, ეს მხოლოდ სამიტის ბოლოს, 4 აპრილს გახდება ცნობილი, როდესაც ჩვენი „არსენალი" უკვე დაბეჭდილი და გასავრცელებლად გამოტანილი იქნება. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ აშშ-ისა და სხვა მეგობარი ქვეყნების დიდი ძალისხმევის შედეგად საქართველოს MAP-ს მისცემენ, თუმცა ვეჭვობთ, რომ რუსეთის შიშისა თუ რიდის გამო NATO-ს წევრი რამდენიმე ქვეყანა, უპირველესად კი გერმანია და საფრანგეთი, ამის წინააღმდეგი იქნება, რაც MAP-ის მიღებას გამორიცხავს...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*


ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში



გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პილოტები რაკეტას მზერით დაუმიზნებენ



ამერიკულმა კომპანია BOEING-მა კონტრაქტი გააფორმა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებთან 145 კომპლექსური მიზნის მაჩვენებელი ჩაფხუტზედა სისტემა JHMCS (JOINT HELMET MOUNTED CUEING SYSTEM)-ის შესყიდვაზე. სისტემა განკუთვნილია გამანადგურებელ F-15E/C/D EAGLE-ს პილოტებისათვის. კონტრაქტის ღირებულება 49,6 მლნ დოლარს შეადგენს. ამ სისტემით თვითმფრინავი პირველად 2008 წლის ოქტომბერში აღიჭურვება. სამუშაოები 2010 წლის დეკემბერში დასრულდება. ეს უკვე მეცხრე კონტრაქტია JHMCS-ის სერიულ წარმოებაზე, რომელიც BOEING-თან დაიდო. ჩაფხუტზედა სისტემა JHMCS პილოტს საშუალებას მისცემს, მიიღოს საჭირო ინფორმაცია მიწისზედა და საჰაერო მიზნებზე და „ჰაერი-ჰაერი" კლასის რაკეტებს მხედველობის ზონაში მყოფი მიზანი მიუთითოს. ეს შესაძლებელი იქნება გამანდგურებლის ხელის ხელსაწყოების გამოყენებისა და ფრენის მიმართულების შეცვლის გარეშე. ამ სისტემას მართვადი რაკეტა AIM-9X-ებისთვის საგანგებოდ ამუშავებდნენ. ვიზირული სამიზნე მფრინავს საშუალებას მისცემს იარაღი მიზანს წინასწარ დაუმიზნოს. მონოკულიარის ობიექტივის მხედველობის ველის კუთხე (მარჯვენა თვალისათვის) 20 გრადუსს შეადგენს. მონოკულიარის მეშვეობით შესაძლებელია ობიექტივის პილოტის თვალთან 18 მილიმეტრით მიახლოება ან დაშორება საწყისი მდგომარეობიდან 16 მილიმეტრით. ჩაფხუტზედა სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად გამოიყენონ თვითმფრინავი F-15E/C/D EAGLE-ები ახლო მანევრირებად ბრძოლებში.

# ებრაული უპილოტო აპარატები ფრანგებისთვის

ისრაელის კომპანია ELBIT SYSTEMS-ი საფრანგეთის სპეციალური ოპერაციების ძალებს მცირეზომიან უპილოტო საფრენ აპარატ SKYLARK 1-ებს მიაწოდებს. ახლახან შემუშავებული ვერსია მინიუპილოტო აპარატია, რომელიც განკუთვნილია ტაქტიკური დაზვერვის საწარმოებლად. აპარატი ძალზე მოსახერხებელი საშუალებაა არცთუ დიდი ქვედანაყოფების აღსაჭურვად. უპილოტო აპარატების გასაშვებად და სამართავად საკმარისია ერთი სამხედრო მოსამსახურე. SKYLARK1-ს ხელით უშვებენ, დავალების შესრულების შემდეგ ის სპეციალურ გასაბერ კამერაზე დაჯდება, რომელიც მის მგრძნობიარე მოწყობილობას მიწასთან შეჯახებისგან დაიცავს. უპილოტო აპარატი დროის რეალურ რეჟიმში უწყვეტად გადასცემს ინფორმაციას მიწისზედა სადგურს, რომელიც დაცულია ციფრული კავშირის არხებით. SKYLARK 1 აღჭურვილია მცირეხმაურიანი ელექტრონული ძრავათი, შეუძლია საჰაერო თვალთვალი და 10 კილომეტრის სიშორეზე ინფორმაციის შეკრება დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ისრაელის თავდაცვის სისტემამ SKYLARK-ების ადრეული ვერსიები სახმელეთო ჯარების აღსაჭურავად გამოიყენა. ამჟამად უპილოტო საფრენ აპარატებს იყენებენ საბრძოლო ოპერაციებში ისრაელში, ლიბანში, ერაყსა და ავღანეთში.



# ჯარისკაცებს ჯავშანჟილეტი არ მოსწონთ

აშშ-ის შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითთა დივიზიის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ერაყში არიან დისლოც-ებული, არ მოსწონთ ახალი ჯავშანჟილეტები IOTV (IMPROVED OUTER TACTICAL VEST). IOTV წინამორბედისგან განსხ-ვავდება ჩაცმის ხერხით. მარცხენა მხარზე შესაკრავი საშუალებას იძლევა, ჯავშანჟილეტი გვერდიდან ჩაიცვას ჯარისკაცმა, მაშინ როცა ადრე დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს, ძირითადად, ქურთუკივით იცვამდნენ. მეორე ხერხია IOTV-ის თავზე ჩამოცმა, მაგრამ ეს არც ისე მოსახერხებელია, რადგან სხვის დახმარებას მოითხოვს. სხვა თავისებურებაა გამოსაწევი თასმის არსებობა, რაც საშუალებას იძლევა, სწრაფად გაიხადო და კომპონენტებად დაშალო ჯავშანჟილეტი ექსტრემალურ სიტუაციაში, მაგალითად, წყალში ცურვისას. IOTV-ის კონსტრუქციის საბოლოო დამუშავებამ ასევე უზრუნველყო მისი მასის თანაბრად განაწილება, ჯიბეები წინა მხარეს გადმოიტანეს, რამაც უფრო მოსახერხებელი გახადა ჟილეტის მოხმარება. მიუხედავად სრულყოფისა, ამერიკელ ჯარისკაცებს მაინც არ მოსწონთ ახალი ჯავშანჟილეტი. კერძოდ, კევლარის სარჩული, რომელიც ცუდად შერჩეული ზომის გამო ნაკეცებს იკეთებს. ჟილეტის მთავარ ნაკლად ითვლება მისი ცუდი სითბოგამტარობა, რაც სხეულის გადახურებას იწვევს. ამერიკელი ჯარისკაცების შეშფოთებას იწვევს გამოსაწევი თასმის კონსტრუქციაც, რომელიც არც ისე საიმედო ჩანს და შეიძლება ბრძოლის დროს ჯავშანჟილეტის უეცარი ჩამოგდება გამოიწვიოს. ჟილეტების შესყიდვა დროებით შეჩერებულია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვეიცარიელები რობოტ-მზვერავს შექმნიან



შვეიცარიული კომპანია MACROSWISS-ი მცირეზომიან მიწისზედა დისტანციურად მართვად სადაზვერვო აპარატ SPYROBOT-ზე მუშაობს. აშშ-ის საჰაერო-სადესანტო საექსპედიციო ძალების შეიარაღებაში შევიდა SPYROBOT 4WD-ის ოთხბორბლიანი ვერსია. რობოტ-მზვერავების უნიკალური კონსტრუქცია უზრუნველყოფს პრაქტიკულად ყველა დაბრკოლების გადალახვას. მისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა კომპაქტური დიზაინი, — სამხედრო მოსამსახურეს მისი სპეციალური ზურგჩანთით ტარება შეუძლია. მოდერნიზებულ ვერსიას 20 კილოგრამის დატვირთვა ექნება, რაც ოთხჯერ აღემატება თავად რობოტ-მზვერავის მასას. დაგეგმილია მისი მოქმედების რადიუსისა და გამოყენების ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაც. ამჟამად შვეიცარიული კომპანია აპარატის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სხვადასხვა გადამცემითა და იარაღის სისტემებით. რობოტები დაზვერვას ქალაქის პირობებში აწარმოებენ და ჯარის დასაცავ სხვა ამოცანებსაც შეასრულებენ, მათ შორის მოწინააღმდეგის ჩასაფრებებსაც გამოავლენენ. მოდერნიზებულ აპარატს ასევე აღჭურავენ მოცემულ წერტილში ავტომატურად დაბრუნების სისტემით. რობოტ-მზვერავის სადაზვერვო აპარატურაში იქნება სითბური და ოპტიკური გადამცემები, ასევე რადიოლოკაციური სადგური სინთეზირებული აპარატურით, რაც უზრუნველყოფს საკმაოდ შორ მანძილზე მიზნის აღმოჩენასა და მის იდენტიფიცირებას. აპარატ SPYROBOT 4WD-ს საბაზო ვერსიას შეუძლია საკმაოდ სახიფათო და ძნელად მისადგომი მიზნების დაზვერვა და მართვის პუნქტში ვიზუალური და ბგერითი ინფორმაციის დროის რეალურ მასშტაბში გადაცემა. რობორტ-მზვერავის სიჩქარე საათში დაახლოებით 10 კმ-ს შეადგენს.

# ფრანგებმა CROTALE MK3-ი გამოცადეს

ფრანგულმა კომპანია THALES-მა საზენიტო-სარაკეტო კომპლექს CROTALE MK3-ის მართვადი რაკეტა VTI-ს ახალი ვერსიის საცდელი ნიმუში გამოცადეს. გამოცდა ბისკაროსში (საფრანგეთი), პოლიგონ CELM-ზე ჩატარდა. რაკეტამ 500 მ სიმაღლეზე და გამშვები დანადგარიდან 15 კილომეტრის დაშორებით გაანადგურა მიზანი. მიზნამდე მიფრენის დრო 35 წამს არ აღემატებოდა. გამოცდის მიზანი იყო კომპლექსის დამიზნების სისტემის მუშაობისუნარიანობის შემოწმება, რეაქციის დრო და რაკეტის ავტონომიურობა, ასევე გზის გადაჭრის მაქსიმალური რადიუსის დადასტურება, ფრენის მთელ პერიოდში სიტუაციის კონტროლირების ოპერატორის უნარის შემოწმება. მრავალმიზნობრივი სარაკეტო კომპლექსი CROTALE საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში 1972 წელს შევიდა და მას შემდეგ არაერთხელ გაიარა მოდერნიზაცია. CROTALE MK3-ის ახალი ვერსია რაკეტა VTI-ებით გასულ წელს პირველად წარადგინეს გამოფენა „PARIS AIRSHOW 2007"-ზე. წინამორბედთაგან განსხვავებით, ახალ კომპლექსს აქვს მოქმედების დიდი რადიუსი, რაკეტის გასაშვებად კი გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება.



# პენტაგონი ერაყს იარაღს კვლავ მიაწვდის

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თავდაცვაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების სააგენტომ (DSCA) კონგრესს ერაყისთვის შეჯავშნული მანქანების, სასროლი იარაღისა და სხვა საბრძოლო მოწყობილობის შესაძლო მიყიდვის თაობაზე აუწყა. შეიარაღების ღირებულება 1389 მლნ დოლარზე მეტს შეადგენს. კონგრესს 30 დღე აქვს იმისათვის, რომ გარიგება დაბლოკოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შევა. როგორც სააგენტოს პრესრელიზშია ნათქვამი, ერაყის მთავრობამ აშშ-ს მიმართა 700 შეჯავშნული მანქანა M1151 HMMWV-ების შეიარაღებული ვერსიის, 4000 ღამის ხედვის მოწყობილობა AN/PVS-7D-ისა და 100000 საიერიშო შაშხანა M16A4-ის შესყიდვის თხოვნით. მიმართვაში ასევე ლაპარაკია სასწრაფო დახმარების 200 ავტომანქანის, 16 ბულდოზერის, 300 მსუბუქი სატვირთოს, 150 მოტოციკლეტის, 90 მოძრავი სარემონტო სახელოსნოს, 30 20-ტონიანი და 1400 8-ტონიანი ჩასაბმელების, 3000 სატვირთოს (საბორბლე ფორმულით 4X4-ზე), 120 ტრეილერის, 8 ამწეს, 60 მძიმე სარემონტო-საევაკუაციო მანქანის, სხვა ტექნიკისა და მოწყობილობის შესყიდვაზეც. მიმდინარე წლის იანვრიდან აშშ-ის მთავრობა ერაყის უსაფრთხოების ძალებისთვის 42444-ზე მეტი შეჯავშნული ავტომობილი HMMWV-ის აღდგენისა და გადაცემის 13-თვიანი პროგრამის რეალიზაციას შეუდგა. 2009 წლის ბოლოსთვის ერაყის ძალოვანი სტრუქტურები 8000 შეჯავშნული ავტომანქანა HMMWV-ის მიღებას გეგმავენ. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ერაყის კამპანიის დაწყებიდანვე აშშ-ის მთავრობამ ერაყის უსაფრთხოების ძალებთან შეიარაღების მიწოდების თაობაზე 6 მლრდ-ზე მეტი ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეტერანის საბუთს დაბადების დღეებზე ჩუქნიდნენ



„წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მებრძოლთა სახელი შეებღალა და მათთვის ღირსება აეყარა, — დაწყებული მათთვის ომის წაგების გადაბრალებითა და ვეტერანთა სიების ხელოვნური გაზრდით, ნაომარი ბიჭების ციხეებში ჩაყრით დამთავრებული. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ, რომ ღირსეული სახელი დაუბრუნდეთ ამ მართლაც ღირსეულ ბიჭებს", — აი, ასე დაიწყო ინტერვიუ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, თადარიგის კაპიტან ნუგზარ ცაგარეიშვილთან. ბატონი ნუგზარი თავდაპირველად პრეზიდენტის პირად დაცვაში მუშაობდა, ახლა კი, უკვე მეოთხე წელია, ამ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. მას თავად სტკივა თითოეული ვეტერანის ტკივილი და ყველაზე კარგად იცნობს მათ პრობლემებს, რადგან საკმაოდ დიდხანს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იბრძოდა. როგორც ამბობს, ღვთის წყალობით გადარჩა და ახლა ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს, რომ ვეტერანებს, — სამამულო ომის, სხვა ტერიტორიაზე მებრძოლებს, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთ, მარჩენალდაკარგულ ოჯახებს თუ ინვალიდ ვეტერანებს მძიმე ყოფა შეუმსუბუქოს. ვეტერანთა ყველა ეს კატეგორია ამ დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია.

— **ბატონო ნუგზარ, ახლახან მიხეილ სააკაშვილს შეხვდით. რა საკითხები განიხილეთ, რა მითითებები და დაპირებები მიიღეთ პრეზიდენტისაგან?**

— შეხვედრაზე, ძირითადად, არასამთავრობო სპექტრი იყო წარმოდგენილი. იყვნენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანებიც. განვიხილეთ მთელი რიგი პრობლემებისა. პირდაპირი დავალება მივიღეთ პრეზიდენტისაგან, რომ სასწრაფოდ აღვადგინოთ ის შეღავათები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ იყო და შემდეგ გაუქმდა. ნაწილობრივ ეს უკვე გაკეთებულია. სასურველი და ძალიან კარგი იქნებოდა, დეპარტამენტს საკუთარი ბიუჯეტი ჰქონოდა. გეგმები დიდია, ვნახოთ, რა იქნება.

— **რამდენი ვეტერანია ამჟამად აღრიცხვაზე, როგორც ცნობილია, სიები გადამოწმდა და შემცირდა.**

— უახლესი ინფორმაციით, 86936 ვეტერანი გვყავს. აქედან 11564 სამამულო ომის მონაწილეა, 27927 — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი, დანარჩენი კი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულები, სხვა ტერიტორიაზე მებრძოლნი, მარჩენალდაკარგული ოჯახები და ა. შ. ეს ციფრი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ძალიან დიდი იყო.

შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ჩვენ 130000-ს ვფიქრობდით, პრეზიდენტმა კი 262000 დაასახელა. ეს წარმოუდგენლად დიდი ციფრია და მას, რა თქმა უნდა, ვერანაირი ბიუჯეტი ვერ აუვიდოდა. გამოდის, სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ვეტერანებს უნდა მოხმარებოდა. ის მონაცემი კი, რაც ახლა გვაქვს, არ არის ისეთი კატასტროფული, რომ სახელმწიფო ვერ გასწვდეს. თანაც, სამამულო ომის ვეტერანები ძალიან მოხუცდნენ, კვირა არ გავა, 3-4 კაცი არ დაიღუპოს.

— **როგორ დაადგინეთ ვეტერანთა ზუსტი რაოდენობა?**

— დოკუმენტაციითა და თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით. შევქმენით სპეციალური კომისია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებისაგან იყო დაკომპლექტებული. მუშაობაში მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ მსურველსაც. ამგვარად, პროცესი გამჭვირვალე გავხადეთ. კომისია ადგენდა, მართლა იბრძოდა თუ არა ესა თუ ის პირი ფრონტზე. მსურველებს მკაცრი გამოცდის გავლა მოუხდათ. მათ უნდა ეთქვათ, სად იბრძოდნენ, ვის გვერდზე, ვინ დაეღუპათ. დეტალურად უნდა მოეყოლათ სხვადასხვა ეპიზოდი.

შემოწმება არ გაუვლიათ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს. 90 წლის ხალხს უხერხულ მდგომარეობაში ვერ ჩავაყენებდით. თანაც, საბუთები ყველაზე კარგ მდგომარეობაში სწორედ მათ აქვთ. ყველაზე დიდი ქაოსი კი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე მებრძოლთა საქმეებში იყო. იცით, ერთხანს უკმაყოფილებასაც გამოთქვამდნენ, თუ ამდენი მეომარი გვყავდა, ომი როგორ წავაგეთო.

— **ვეტერანის საბუთით რა სარგებელს ნახულობდნენ?**

— იღებდნენ სხვადასხვა შეღავათს. მაგალითად, თუ მუშაობდა, 3.000 ლარამდე საშემოსავლო გადასახადს არ უქვითავდნენ. ზოგს დენისა და გაზის გადასახადების შეღავათები უნდოდა. იყო შემთხვევები, როცა დაბადების დღეებზე ჩუქნიდნენ ვეტერანის საბუთს.

— **ამას ვინ აკეთებდა?**

— სხვადასხვა სტრუქტურა, ასევე ჩვენი დეპარტამენტიც. მაშინ თავმჯდომარე ირაკლი ციციშვილი გახლდათ. იგი საკმაოდ ასაკოვანი იყო და დეპარტამენტს, ფაქტობრივად, მისი მოადგილე მართავდა.

— **ჩვენს შეიარაღებულ ძალებში არაერთი ვეტერანი მსახურობს, ხომ არ იგეგმება მათთვის ხელფასის სახელმწიფო დაქვითვაზე შეღავათების დაწესება?**

— ვეტერანები, ძირითადად, ოფიცრებად მსახურობენ და კარგი ანაზღაურებაც აქვთ. აქამდე მათ საშემოსავლო გადასახადი 3.000 ლარამდე არ ექვითებოდათ. ჩვენ ხელისუფლებას წარვუდგინეთ პროექტი, რომლის მიხედვითაც ეს ზღვარი 5000 ლარამდე უნდა გაზრდილიყო.

— **უარი მიიღეთ?**

— ჯერჯერობით, პასუხი არ მიგვიღია, მაგრამ ვაპირებთ ამ საკითხის ხელმეორედ დაყენებას. ახლა მათაც ხელფასის 25% ექვითებათ.

— **მართალია, ომში იმის გამო არავინ მიდის, რომ შემდგომში სადაზღვევო პოლისები და შეღავათები მიიღოს. ალბათ, ეს იმისთვის არის საჭირო, ომის დაწყების შემთხვევაში ვეტერანს იმედი ჰქონდეს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მის ოჯახს.**

— უახლოეს დღეებში იგეგმება შეხვედრა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან, სადაც აუცილებლად განვიხილავთ იმ სოციალურ პრობლემებს, რომელიც მრავლად დაგროვდა. ცუდია, რომ ის შეღავათები, რომ-

ლებიც ადრე ჰქონდათ ვეტერანებს, ახლა მოხსნილი აქვთ. მართალია, მოგვარდა ზოგიერთი პრობლემა, მაგალითად, შეღავათები ტრანსპორტით მგზავრობაზე. ეს დახმარება ნაწილობრივ აღდგენილია. სამამულო ომის ვეტერანებმა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, ასევე სხვა ტერიტორიებზე მებრძოლმა ინვალიდებმა კვლავ მიიღეს იგი. ჯერჯერობით, არ გადაჭრილა ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული პრობლემა.

— **მაგრამ ხომ არის თბილისში სპეციალური ჰოსპიტალი ვეტერანთათვის?**

– ეს ჰოსპიტალი (დიდუბეში მდებარეობს), ერთადერთია, რომელიც ვეტერანებს ემსახურება. ის პროგრამულ დაფინანსებაზეა და მას მთლიანად ჯანდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს. აქ ერთდროულად 117 კაცს შეუძლია მკურნალობა. ბოლო მონაცემებით, ამჟამად 107 კაცი გადის მკურნალობას. ნებისმიერს, ვისაც ჩვენი ახალი პლასტიკური ბარათი აქვს და არა მარტო მათ, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებსაც, შეუძლიათ ჰოსპიტლის მომსახურებით სარგებლობა. ჰოსპიტალი დიდ საქმეს გვიკეთებს, თუმც არ აქვს ყველა სახის სამედიცინო მომსახურება, მაგალითად, ნეიროქირურგიული, კარდიოქირურგიული, ტრავმატოლოგიური. ამიტომ ეს პოლისი ძალიან გამოადგებოდათ ჩვენს ვეტერანებს სხვა საავადმყოფოებში მკურნალობისათვის.

— **რა ოდენობის ფულად დახმარებას იღებენ ვეტერანები ყოველთვიურად?**

– ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეთათვის 22 ლარია განსაზღვრული, ხოლო ინვალიდებისათვის – 44 ლარი. ეს არის დენისა და გაზის საფასური. 129 ლარი აქვთ სამამულო ომის ინვალიდებს და 85 ლარი – მონაწილეებს.

— **სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც თუ ითვალისწინებთ?**

– რა თქმა უნდა, ახლახან შევხვდი საქართველოში აშშ-ის საელჩოს ატაშეს. ამერიკაში ყველაზე კარგად არის აწყობილი ეს სისტემა, – ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტი ცალკე მდგომი ორგანოა თავისი ბიუჯეტით, 76 მილიარდი დოლარით. წარმოიდგინეთ, მათ 20 მილიონი ვეტერანი ჰყავთ. ამ ქვეყანაში ვეტერანი უზრუნველყოფილია გარდაცვალების შემდგომაც კი. დეპარტამენტი დამკრძალავი ბიუროს, სარიტუალო ხარჯებსაც კი ანაზღაურებს. ჩვენ კი მხოლოდ გვირგვინით თუ მივაგებთ პატივს გარდაცვლილ ვეტერანს. იმედია, მალე დადგება ის დრო, როცა თუ ზუსტად ვერა, ნაწილობრივ მაინც გავითვალისწინებთ ამერიკელების გამოცდილებას. დროა ვეტერანების დაფასება და პატივისცემა ვისწავლოთ. ეროვნული დროშით მაინც დაიკრძალონ ისინი. ძალიან ბევრი გმირი ისე დაიღუპა, რომ მათზე საქართველომ არაფერი იცის. მინდა ერთ-ერთ მათგანზე გიამბოთ. იყო ასეთი მებრძოლი, იოსელიანი, 17 წლის ბიჭი, რომელიც ოჩამჩირეში მანქანიდან გადმოხტა, ძარას გამოედო და თავისივე ხელყუმბარა გაეხსნა. როცა დაინახა რამდენიმე ქართველი იღუპებოდა, ყუმბარას ზემოდან დაახტა და თავი აიფეთქა. აი, ასეთი ბიჭები გვყავს დაკარგული.

— **დაღუპული მებრძოლების ოჯახებს თუ ეხმარებით?**

– წლების განმავლობაში დაღუპულთა ოჯახის წევრები იღებდნენ დახმარებას, მერე კი დახმარება შეწყდა. ამას ძალზე კრიტიკულად მიუდგა პრეზიდენტი და მას სავსებით ვეთანხმები. ჯერჯერობით კი დახმარებას იღებენ მხოლოდ ისინი, ვინც შრომისუუნარონი არიან. ჩემი აზრით, ეს არასწორია. დედამ შვილი გაწირა სამშობლოსათვის და ჩვენ კი ვეუბნებით, სანამ უუნარო არ გახდები, ვერაფერს მიიღებო. ერთი სიტყვით, ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს და ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე. არ გავა დღე, რომ შვილმკვდარი დედა არ მოვიდეს და თავისი გასაჭირი არ შემოგვჩივლოს.

— **პირადად ხვდებით მათ?**

– რა თქმა უნდა. ნებისმიერ დროს ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოვიდეს, მითხრას თავისი გასაჭირი. ჩვენ შეძლებისდაგვარად ყველას ვეხმარებით. თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით ვეტერანებს.

— **ვინ უზრუნველყოფს დაღუპულ მებრძოლთა გადმოსვენებას?**

– სპეციალური კომისია, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ექვემდებარება. შეძლებისდაგვარად მათაც ვეხმარებით. ხშირად, ჩვენი მებრძოლები ანონიმურად გვაწვდიან ინფორმაციას, სად არის დამარხული აფხაზების ცხედრები, რომ აფხაზებს ქართველ მებრძოლთა ნეშტებში გავუცვალოთ.

— **საქართველოში უკრაინელებიც იბრძოდნენ, რამდენიმე მათგანი შეეწირა კიდეც ამ კონფლიქტს. თუ აქცევს საქართველოს ხელისუფლება მათ ოჯახებს ყურადღებას?**

– მე პირადად ჩავედი კიევში, შევხვდი მათ წარმომადგენელს და ვთხოვე, გადმოეცა ზუსტი მონაცემები. 30 უკრაინელს აქვს მიღებული ვახტანგ გორგასლის ორდენი. დაღუპულია 7 კაცი, მათ მეორე ხარისხის ორდენები აქვთ მინიჭებული, ხოლო 23 კაცს – მესამე ხარისხის. მე ვთხოვე მათ წარმომადგენელს, დოკუმენტაცია შეეგროვებინა და წარმოედგინა ჩემთვის, რათა გადაგვეცა ფულადი ჯილდო, თითოეულზე 1.000 ლარის ოდენობით, მაგრამ მოგეხსენებათ, უკრაინა დიდი ქვეყანაა და ეს ხალხი მიმოფანტულია. პასუხს დღემდე ველოდებით.

— **როგორც ამბობენ, ომის დაწყების შემთხვევაში ვეტერანები ცალკე ბრიგადის ჩამოყალიბებას აპირებენ. რამდენად რეალურია ეს და რამდენი კაცია მზად აქტიურად ჩაებას ამ საქმეში?**

– თუ ქვეყანა და ხელისუფლება დაგვავალებს, ჩვენ მზად ვართ. ერთი კი არა, ორი ბრიგადაც შეიკრიბება. 16 მარტს ვეტერანთა შეკრებაზე მე ვთქვი, რომ შევარდნაძემ ყველაფრისათვის პასუხი უნდა აგოს, ბოდიში მოიხადოს. ომი ამ ბიჭებმა კი არა, მაშინდელმა ხელისუფლებამ წააგო. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვარ, მსურველი ძალიან ბევრი იქნება.

— **ძირითადად, რა პრობლემებს აწყდებით მუშაობისას და რა გეგმები აქვს დეპარტამენტს?**

– მთავარი პრობლემა მაინც ფინანსური დამოკიდებულებაა. დეპარტამენტს თავისი ბიუჯეტი არა აქვს. როგორც ზემოთ ვთქვი, კარგი იქნებოდა, სამედიცინო მომსახურება მაინც მთლიანად დაგვეფინანსებინა ვეტერანებისათვის. ადრე იყო ამის საშუალება, მაგრამ შემდეგ ეს პროგრამა შეწყდა, რამაც ხელ-ფეხი შეგვიკრა. ერთ მაგალითს მოგიყვანთ და მიხვდებით, რატომ ვამბობ ამას. ერთ-ერთ შეკრებაზე შევხვდი ვეტერანს, რომელსაც ყბა ჰქონდა მოქცეული. ტყვია პირში, ყბის ძვალში აქვს ჩარჩენილი. ოპერაციისათვის თურმე სულ რაღაც 700-800 ლარი სჭირდებოდა. სწორედ მაშინ მუშაობდა ის პროგრამა. დეპარტამენტს ლიმიტირებული თანხა – 33.000 ლარი ჰქონდა ჯანდაცვის სამინისტროს ფონდიდან და საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების გავლის შემდეგ ვეხმარებოდით ვეტერანებს. ამ კაცსაც გადავურიცხეთ თანხა და გაუკეთდა ოპერაცია. ძალიან კარგი შედეგი მივიღეთ. მგონი 33.000 ლარი არ არის ძალიან ბევრი მათ დასახმარებლად, ვინც სიცოცხლეს სწირავდნენ ქვეყანას. 31 მარტს, მინისტრთან დაგეგმილი შეხვედრის შემდეგ (ინტერვიუ ჩაიწერა 24 მარტს. – ავტ.), იმედი მაქვს, სასიკეთოდ გადაწყდება ამ პრობლემათა უმეტესობა.

ნინო მამუკაძე


ნუგზარ ცაგარეიშვილი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არტილერისტები პოლიგონზე გადიან



**ორფოლოს პოლიგონზე იწყება ქართველი არტილერისტების გეგმური სასწავლო მზადების პროცესი**



ორფოლოს პოლიგონმა გაიღვიძა. პოლიგონზე დღედაღამ სროლა ისმის, ამჯერად საარტილერიო დანადგარებისა.

ამ პოლიგონზე დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების საარტილერიო დანაყოფების პირადი შემადგენლობის წლევანდელი გეგმური მომზადება.

წელს პოლიგონი პირველად მე-4 ქვეითი ბრიგადის არტილერისტებმა გახსნეს.

პოლიგონზე სპეციალურად ჩასულ „არსენალს“ მე-4 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაური, კაპიტანი ერეკლე ყულოშვილი დახვდა. მისი თქმით, სწავლებებს მისი დივიზიონის არტილერისტები შეუდგნენ.

პოლიგონზე გამოყვანილი იყო Д-30 ტიპის ჰაუბიცების ბატარეა, ექვსი საარტილერიო დანადგარის შემადგენლობით.

სწავლება ითვალისწინებდა დახურული პოზიციებიდან სროლას. სროლის დაწყებამდე, ჰაუბიცების გათვლები ჯერ საარტილერიო დანადგარების პოზიციაზე დაყენებაში და სასროლად გასამზადებლად ვარჯიშობდნენ. თითოეულ ჰაუბიცას რამდენჯერმე ამზადებდნენ გასასროლად და შემდეგ ისევ გასაყრის მდგომარეობაში მოჰყავდათ. ვარჯიში ჩართული წამზომით მიმდინარეობდა. თითოეულ გათვლას რამდენიმე წუთში უნდა მოემზადებინა ჰაუბიცა გასასროლად. უშუალოდ საბრძოლო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ წუთს, რომ მოწინაალმდეგემ არ მოასწროს შენი საარტილერიო პოზიციის დაფიქსირება და კონტრსაარტილერიო დარტყმა არ მოგაყენოს.

ამიტომაც ქართველმა არტილერისტებმა სწავლების პროცესში რამდენჯერმე სწრაფად შეიცვალეს საცეცხლე პოზიციები და ბოლოს წარმოსახვით მოწინააღმდეგეს ახლო მანძილიდან, პირდაპირი დამიზნებით გაუხსნეს ცეცხლი...

ეს პოლიგონის მხოლოდ ერთი დღე იყო.

სროლა ორფოლოს პოლიგონზე კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რადგან სწავლებებში ნელ-ნელა მთელი ქართული არტილერია ჩაერთვება.

*ირაკლი ალადაშვილი*

*ორფოლოს პოლიგონიდან*



ჰაუბიცების ბატარეა მზადყოფნაშია გახსნას ზალპური ცეცხლი



სასროლად გამზადებული 122 მმ-იანი ჭურვები



საარტილერიო ცეცხლის მართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება



ჰაუბიციდან გასროლილი ჭურვი რამდენიმე წამში პირობითი მოწინააღმდეგის პოზიციას დაეცემა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რადარების ალყაში მოქცეული მდინარე რიო-გრანდე

## რეპორტაჟი ამერიკა-მექსიკის საზღვრიდან

დოლარის კურსის დაცემის, რეცესიისა და იპოთეკის ბაზარზე მიმდინარე დრამატული მოვლენების მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნად რჩება და კვლავაც იზიდავს ბედისმაძიებელ ემიგრანტებს, რომლებიც ყველა ხერხით ცდილობენ ამერიკაში მოხვედრასა და დამკვიდრებას. ბოლო მონაცემებით, ამერიკაში 15 მილიონამდე არალეგალური ემიგრანტი ცხოვრობს.

თუმცა, საქართველოს მეზობელი რუსეთისგან განსხვავებით, რომელმაც 2006 წლიდან ანტიჰუმანური დეპორტაციის პოლიტიკა წამოიწყო რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ კრიმინალური ბიოგრაფიის მქონე ემიგრანტებს ეხება სადამსჯელო ღონისძიებები. ამერიკის კანონები შედარებით ლოიალურია იმ არალეგალურად მცხოვრები ემიგრანტებისთვის, ვინც პატიოსნად მუშაობენ და გადასახადებს იხდიან. ემიგრანტების ხარჯზე იზრდება არა მხოლოდ ამერიკის ბიუჯეტი, არამედ მოსახლეობის რაოდენობაც, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში 100 მილიონით გაიზარდა.



აშშ-მექსიკის საზღვარი მდინარე რიო-გრანდეზე



მაღალი სიზუსტის დეტექტორი ავტობუსის შიგთავსს რენტგენის სხივებით აშუქებს

ამავე დროს ემიგრანტთა ლეგალიზებისა და ნატურალიზების საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ამერიკაში, რომელმაც სულ უფრო მეტი პოლიტიკური სიმწვავე შეიძინა 2001 წლის 11 სექტემბრისა და გლობალური ტერორის წინააღმდეგ გამოცხადებული ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ.

ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, საზღვრის არალეგალური გადაკვეთის აღკვეთა ევალება შეერთებულ შტატებში სასაზღვრო და საბაჟო პატრულს (GBP), რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების დეპარტამენტის (Departament of Homeland Security) შემადგენლობაშია.

ტეხასის შტატის ქალაქ ლორედოში განლაგებული სასაზღვრო სექტორი, რომელსაც მექსიკასთან დამაკავშირებელი 2000 მილის (დაახლოებით 3600 კილომეტრი) სიგრძის სასაზღვრო პერიმეტრის გაკონტროლება და სასაზღვრო რეჟიმის დაცვა ევალება, რომ იტყვიან, ფრონტის წინა ხაზზეა.

საქმე ის არის, რომ სახელმწიფო საზღვრის ლორედოს ეს მონაკვეთი მდინარე რიო-გრანდეზე გადის, რომელიც მტკვარზე ოდნავ განიერია და ძალიან იოლად გადასალახავია მექსიკელი კოიოტებისათვის (ტრეფიკიორები), რომლებიც კარგად იცნობენ ყველა ფონს, წყალჭალას და ცდილობენ, ღამღამობით თუ უამინდობისას ჯგუფებად გადაგზავნონ უვიზო მოქალაქეები ამერიკაში.

თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში საზღვრის არალეგალური გადაკვეთის მსურველები ამერიკის სასაზღვრო პატრულის ხელში აღმოჩნდებიან ხოლმე.

„მიმდინარე წლის სამი თვის განმავლობაში სასაზღვრო და საბაჟო პატრულმა რიო-გრანდეს აუზში საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის 15 ათასი შემთხვევა გამოავლინა და აღკვეთა“, – გვითხრა სასაზღვრო სექტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერმა რიკ პაუზამ, რომელიც წარმოშობით თავადაც მექსიკელია.

სასაზღვრო პატრულის კოზირია ძვირად ღირებული სარადარო დაკვირვებისა და აღმოჩენის სისტემა, რომლითაც შეერთებული შტატების ყველა სასაზღვრო სექტორია აღჭურვილი (იხილე ფოტო).

სარადარო სისტემა უწყვეტ რეჟიმში აწვდის გამოსახულებას საინფორმაციო ცენტრში მყოფ რამდენიმე მორიგე ოფიცერს, რომლებიც, თავის მხრივ, ვიდეოპლანშეტზე აკვირდებიან განსაზღვრულ უბნებს და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით იოლად ამჩნევენ ნებისმიერი საგნისა თუ სულიერი არსების გადაადგილებას. როგორც კი ვიდეოპლანშეტზე აციმციმდება სპეციალური დეტექტორი და ეკრანზე გამოჩნდება საზღვრის დამრღვევი, სიგნალი ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება ყველა სასაზღვრო საგუშაგოს. დანარჩენი კი უკვე, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა. სიგნალის მიღებიდან მაქსიმუმ 5-10 წუთის შემდეგ საზღვრის დამრღვევი იძულებული ხდება ან ჩაბარდეს პატრულს, ან გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ უკანვე, მექსიკაში გადავიდეს.

მდინარე რიო-გრანდეს გაყოლებით სასაზღვრო და საბაჟო პატრულის დაახლოებით 100-მდე საგუშაგოა, რომლებიც მაღალი გამავლობის სპეციალური საავტომობილო ტრანსპორტითა და შვეულმფრენებითაა აღჭურვილი და არ უჭირთ საზღვრის დარღვევის ადგილზე ოპერატიულად მისვლა.

ჩვენმა მასპინძელმა, რიკ როუზამ, დაგვათვალიერებინა საინფორმაციო-სადაზვერვო ცენტრი. ოღონდ გაგვაფრთხილა, რომ ფოტო არ გადაგველო პულტებთან მომუშავე ოფიცრებისათვის, რომელთა იდენტიფიცირება დაუშვებელია უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, ვიდეოპლანშეტთან სამახსოვრო ფოტოს გადაღებაზე მასპინძელს უარი არ უთქვამს (იხილე ფოტო).

ლორედოს სექტორში განლაგებულ სასაზღვრო და საბაჟო პატრულს არანაკლები ჯაფა უწევს მექსიკისა და შეერთებული შტატების დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი სატრანსპორტო არტერიის, ლინკოლნ-სუარესის ხიდის გასაკონტროლებლად. ხიდის ტვირთბრუნვა დღე-ღამეში 20 ათას სატვირთო, სამგზავრო და მსუბუქ ავტომანქანას შეადგენს. თანაც, ყველა ტრანსპორტი, განსაკუთრებით სამგზავრო ავტობუსები, მაღალი სიზუსტის დეტექტორების საშუალებით სპეციალურ დათვალიერებას გადის, გამოსახულება ასევე ფიქსირდება სპეციალურ პლანშეტებზე. სასაზღვრო რეჟიმის დაცვაში ჩართული არიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები (მოწმდება ამერიკაში შეტანილი საკვები პროდუქტის ხარისხიც) და კინოლოგები გაწვრთნილი ძაღლებით, მეტწილად გერმანული ნაგაზებით, რომლებიც ყველა ტექნიკურ საშუალებაზე უკეთ აფიქსირებენ ნარკოტიკის სუნს. მაგალითად, ნაგაზმა „მოისმა“ 2007 წელს ლინკოლნ-სუარესის ხიდზე ერთ-ერთი სატვირთო ავტომანქანის ძარაში მილიონი დოლარის ღირებულების მარიხუანა აღმოაჩინა (იხ. ფოტო).

როგორც რიკ როუზამ გვითხრა, სასაზღვრო მომსახურების საფასურის სახით წლის განმავლობაში მხოლოდ ლინკოლნ-სუარესის სასაზღვრო და საბაჟო პუნქტიდან ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტში დაახლოებით 800 მილიონი დოლარი შედის.



ამ ნაგაზმა მილიონი დოლარის მარიხუანა აღმოაჩინა საზღვრის გადამკვეთ ავტომობილში

ასე რომ, სასაზღვრო პატრულირება ამერიკაში საპატიოც არის და პრესტიჟულიც. ამერიკელი მესაზღვრის საშუალო წლიური ხელფასი 40 ათასი ამერიკული დოლარია, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ნორმალურად იცხოვრო ისეთ პატარა სასაზღვრო ქალაქში, როგორიც ლორედოა.

თუმცა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ამერიკის სასაზღვრო და საბაჟო პატრული უნაკლოა და მას პრობლემები არ აქვს.

წლის განმავლობაში დაახლოებით მილიონამდე უდოკუმენტო ემიგრანტი ცდილობს ამერიკა-მექსიკის საზღვრის გადაკვეთას. ოფიციალური მონაცემებით კი სასაზღვრო პატრული 4-იდან მხოლოდ 1 ემიგრანტის დაკავებას ახერხებს.

სწორედ ამიტომ, სამი წლის წინ, ამერიკის კონგრესმა დაიწყო მსჯელობა იმაზე, რომ დააფინანსოს 5-6 მეტრის სიმაღლის მავთულხლართიანი რკინის ღობის მშენებლობა ამერიკა-მექსიკის საზღვრის იმ მონაკვეთების გასწვრივ, სადაც ყველაზე ხშირად ირღვევა საზღვარი.

თუმც, არავინ იცის, დააკავებს თუ არა სასაზღვრო ბარიერი ადამიანს, რომელიც სიღატაკისგან გაქცევასა და მშვიდი ნავსაყუდლის პოვნას ცდილობს.

*კობა ლიკლიკაძე,*
*სპეციალურად „არსენალისათვის“,*
*ლორედოდან*



სტატიის ავტორი საინფორმაციო-სადაზვერვო ცენტრის დათვალიერებისას

# სანინსტრუქტორს ბევრჯერ გადაურჩენია სხვა და თავად ჩამკვდომია ხელებში...

დრო გავა და ისტორიაში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, თავის ადგილს მიუჩენენო, ამბობდნენ 15 წლის წინ, როცა აფხაზეთი და სამაჩაბლო „სხვებს გადავაბარეთ". დრო გავიდა, ისტორიაც დაიწერა, უკვე თაობაც კი შეიცვალა, მაგრამ ეს ტერიტორიები მხოლოდ რუკაზე გვაქვს ისევ. შეცდომა ყველას მოუვა, მაგრამ ვინც შეცდომას იცავს, ის სულელიაო, ნათქვამია, ჰოდა, დროა, შეცდომების გამოსწორება დავიწყოთ, ოღონდ, ფრთხილად და თითოეული ნაბიჯის გათვლით, რადგან საქართველოს დასაკარგავი ბიჭები აღარ ჰყავს. ჩვენმა თაობამ ის აღარ უნდა ნახოს, რაც ბატონი თამაზის თაობამ ნახა. თამაზ კერძევაძეს საკუთარი თვალით აქვს ნანახი ის ყველაფერი, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ხდებოდა. იგი ნეიროქირურგია და ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ნეიროქირურგიული დეპარტამენტის უფროსია. საკმაოდ დიდხანს იყო სამაჩაბლოსა და სოხუმში და არაერთი ახალგაზრდა გამოსტაცა სიკვდილს. ომის შემდეგ კი სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა.

— **ბატონო თამაზ, სწორად მიგაჩნიათ ის, რომ გაუქმდა სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტი?**

— დიდხანს იყო მსჯელობისა და კამათის საგანი, ყოფილიყო თუ არა ცალკე ფაკულტეტი სამხედრო ექიმებისათვის. ერთხანს იყო ასეთი ფაკულტეტი, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, — ქართველები მცირერიცხოვანი ერი ვართ და ძნელია მარტო სამხედრო კონტინგენტმა შეძლოს რომელიმე ჰოსპიტლის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ვგულისხმობ პაციენტების რაოდენობას. მაგალითად, რუსეთს უზარმაზარი არმია ჰყავს და იქ შეიძლება ცალკე სპეციალობად ისწავლებოდეს სამხედრო ექიმობა.

— **ყველაზე მეტ გამოცდილებას ექიმი, ალბათ, მაინც ომში იღებს, სავალდებულო იყო თუ თქვენი სურვილით წახვედით ფრონტზე?**

— არა, არ ყოფილა სავალდებულო, მაგრამ მამაკაცები ვართ და სამშობლოს წინაშე ჩვენს ვალს ვიხდიდით. მსურველიც ძალიან ბევრი იყო, ეს რომ არა, შეიძლებოდა, სავალდებულოც გამხდარიყო. არ მახსოვს, ვინმეს უარი ეთქვას ფრონტზე წასვლაზე. არც ერთი კონფლიქტი არ ყოფილა, რომ არ ვიყო ნამყოფი. რამდენიმე წელი გავატარე ამ ორომტრიალში. ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ექიმებს ის გვეხმარებოდა, რომ მორიგეობით გვიწევდა მუშაობა, მერე სხვა გვცვლიდა. განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ისევ ვბრუნდებოდით.

— **ნანახმა და გადატანილმა, ალბათ, დიდი ზეგავლენა მოახდინა თქვენზე.**

— რა თქმა უნდა. ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან კინოში ნანახი და რეალობა. კინოში, ძირითადად, სპეცეფექტებს ვხედავთ, რეალურ ომში კი სისხლსა და სიკვდილს. არავინ იცის, ვინ როგორ მოიქცევა. ბევრი ვაჟკაცი მინახავს ფსიქოლოგიურად გატეხილი. ძალზე აზიანებს ადამიანის ფსიქიკას ნაღმი. როდესაც სკდება, ფსიქოლოგიურ შოკს იწვევს. როგორც ბოჩოლები, ისეთები ხდებოდნენ ამხელა ვაჟკაცები, რაც გინდოდა, იმას გააკეთებინებდი.

— **ბუნებრივია, ყველა სამხედრო პირი საომარი მოქმედებებისას მუდმივად საფრთხის ქვეშ არის, მაგრამ მაინც რომელი სამხედროს საქმიანობაა მეტ რისკთან დაკავშირებული?**

— ყველაზე სახიფათოდ გამნაღმველის პროფესია ითვლება.

— **გამნაღმველს თუ ნაღმი აუფეთქდა, სიკვდილი გარდაუვალია?**

— პრაქტიკულად, გარდაუვალია. ნაღმის სიდიდესაც გააჩნია. თუ ტანკსაწინაღო ნაღმია, გადარჩენის შანსი ნულია. ქვეითსაწინაღო ნაღმის აფეთქების შემთხვევაში, შეიძლება გადარჩეს, მაგრამ საშინლად დასახიჩრდება. მინახავს კაცი, რომელსაც ორივე ხელი მოგლეჯილი ჰქონდა. ძალიან დიდი სიმამაცე სჭირდება ამ საქმეს და, სხვათა შორის, ძალიან კარგადაც მუშაობენ.

ასევე სარისკოა სანიტრების პროფესია, რომლებსაც დაჭრილები გამოჰყავთ ბრძოლის ველიდან. ყველაზე ხშირად სწორედ სანინსტრუქტორები ზარალდებიან.

— **შეგიძლიათ სანინსტრუქტორებთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევა გვიამბოთ?**

— სანინსტრუქტორიც ჩვეულებრივი, რიგითი ჯარისკაცია, რომელსაც ჯარში აქვს სპეციალური კურსი გავლილი. საბჭოთა არმიაში ამას უფრო ექცეოდა ყურადღება.



თამაზ კერძევაძე

დასავლურ ჯარში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა ყველამ იცის. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებმაც სხვებზე უკეთ იციან ეს საქმე.

სანინსტრუქტორს ბევრჯერ გადაურჩენია სხვა და თავად ჩამკვდომია ხელებში... აღარ გვინდა წარსულის გახსენება, ჭრილობების გაღვიძება და იმ ახალბედა ჯარისკაცების შეშინება, რომლებმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო უნდა დაგვიბრუნონ. საერთოდ, ომში კაცი ძალიან მალე ეჩვევა სიკვდილს. ბრძოლისას ეს არც გახსენდება. აი, როცა სროლა შეწყდება და ჩაჩუმდება ყველაფერი, მაშინ არის სიტუაცია ყველაზე შემზარავი. დიდი ფსიქოლოგიური შოკია.

— **ჯარისკაცები რით ავადდებიან ყველაზე ხშირად?**

— გამომდინარე სპეციფიკიდან, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში მიღებულ ტრავმებს, ძალიან ბევრი იყო გაცივებასთან დაკავშირებული დაავადებები. ბიჭები ჭაობში ან სანგრებში რამდენიმე დღეც კი იწვნენ ხოლმე. ტყვიის გამო თუ არა, ფილტვების ანთების გამო ხვდებოდნენ ჰოსპიტალში. ცოტა, მაგრამ მაინც მახსენდება ფსიქიკური აშლილობები. სტრესს ვერ უძლებდნენ. ასეთებს იძულების წესით ვაგზავნიდით უკან. ადრეულ ომებში ხშირი იყო განგრენები, ინფექციური გართულებები, რომლის გამწვავების შემთხვევაშიც დაზიანებული კიდურის ამპუტაცია ხდებოდა. დღეს ასეთი რამ იშვიათია. განგრენის შემთხვევა რამდენიმე წელია აღარც მქონია. წინათ უამრავი ისეთი დაავადება იყო, რომელთა გამო ადამიანი იღუპებოდა, დღეს ეს დაავადებები მარტივად იკურნება. ყოფილა ბევრი შემთხვევა, როცა ფაქტობრივად მკვდარი მოუყვანიათ

არსენალი ბიბლიოთეკა

კაცი, გამოგვიყვანია მდგომარეობიდან და ის ახლაც ცოცხალია.

**— როგორც ვიცით, ბრძოლის ველის მომსახურების არსებულ რუსულ სისტემას დასავლური ჩანაცვლა, რა განსხვავებაა მათ შორის?**

– სისტემა მართლაც შეიცვალა. მაგალითად, მე რუსულ სისტემაზე ვარ გაზრდილი. ახლა მთლიანად გადავდივართ ევროპულსა და ამერიკულზე. ძირითადი განსხვავება კი ის არის, რომ რუსული სისტემისათვის დამახასიათებელია დაჭრილის დახმარება და სამედიცინო დაწესებულებების მიახლოება ფრონტის ხაზთან. პირველადი დახმარების შემდეგ დაჭრილი გადაჰყავდათ იქვე მდებარე ბატალიონის მედპუნქტში, სადაც ოპერაციებიც კი კეთდებოდა. თუ სიტუაცია რთული იყო, გადაჰყავდათ ჰოსპიტალში, უფრო მძიმე შემთხვევაში — ცენტრალურ ჰოსპიტალში, ანუ ეტაპებად იყო დაყოფილი. დასავლური სისტემა გულისხმობს მხოლოდ პირველად სასწრაფო დახმარებას ადგილზე და შემდგომ ჯარისკაცის რაც შეიძლება სწრაფ ევაკუირებას ჰოსპიტალში.

**— სანამ დამხმარე მივა, როგორ უნდა მოიქცეს დაჭრილი ჯარისკაცი?**

– არსებობს პირველადი და თვითდახმარების წესები. კიდურში დაჭრის შემთხვევაში, პირველ რიგში, ლახტი უნდა დაიდოს, ოღონდ ამასაც თავისი წესი აქვს. ლახტის ორსაათ-ნახევარზე მეტხანს გაჩერება არ შეიძლება, თორემ კიდური მოკვდება, რადგან სისხლი აღარ მიეწოდება. თუ მოტეხილია ფეხი, მაშინ მეორე ფეხზე უნდა მიება, აბა ტყესა და მინდორში არტაშანს სად იშოვის? ჯარისკაცმა უნდა იცოდეს ჭრილობის გადახვევაც. წესით, მის აღჭურვილობაში უნდა იყოს ინდივიდუალური სამედიცინო პაკეტი, რომელშიც შედის ღებინების საწინააღმდეგო საშუალება „ქიროზინი" (ეს დასხივების შემთხვევაში), ასევე მორფინის ამპულები, როგორც ტკივილგამაყუჩებელი და დამწოლი ნახვევის დასადები პაკეტი. აი, ამ ყველაფრის სწორად გამოყენება უნდა შეეძლოს ჯარისკაცს. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ჯარისკაცი დავკარგეთ იმიტომ, რომ არ იცოდნენ ელემენტარული პირველადი დახმარების გაწევა არც თავისთვის და არც მეგობრისთვის. ბევრი მხოლოდ იმიტომ დაიღუპა, რომ სისხლისგან დაიცალა. ეს ხომ ჯარი არ იყო. იცით, რამდენმა არ იცოდა ავტომატის სწორად დაჭერა და თავისივე გასროლილი ტყვიების მასრებით იზიანებდნენ თავს? დღეს უკვე სხვანაირი სიტუაციაა. ბოლო დროს ხშირად მიწევს ჯარისკაცებთან შეხვედრა და ვიცი, რომ პირველადი დახმარება საკმაოდ კარგად აქვთ შესწავლილი.

**— შეგიძლიათ დაგვისახელოთ ყველაზე მუხანათი ტყვია?**

– ეს არის ტყვიები წანაცვლებული სიმძიმის ცენტრით, რომლებიც ძალიან დიდ დაზიანებას იწვევს. სხეულში ტრიალებს, რამდენიმე ორგანოს აზიანებს და კაცმა არ იცის, სად გაჩერდება. ყოფილა შემთხვევა, ტყვია ფეხში მოხვედრილა და შემდეგ გულმკერდის არეში აღმოჩენილა. ასევე ძალიან სახიფათოა მსკდომი და წაკვეთილთავიანი ტყვიები. სხეულთან შეხების დროს იგი სკდება და გარდა შინაგანი ორგანოებისა, სხეულის ზედაპირის დიდ ფართობსაც აზიანებს, დარტყმის ძალა კი ძალიან დიდი აქვს და შემავალი და გამავალი ჭრილობის მძიმე გართულებას იწვევს. ტალღა გარშემო ქსოვილებს გადაეცემა და ანეკროზებს. ახლა ეს ტყვიები აკრძალულია, მაგრამ ომში ინტენსიურად იყენებდნენ.

ძნელი სათქმელია, როგორი ჭრილობა უფრო რთულია. ადამიანს არც ერთი ორგანო ზედმეტი არა აქვს, მაგრამ ყველაზე რთული მაინც თავი და გულია. გულში დაჭრილი, იშვიათად რომ გადარჩეს.

**— ომში კონტუზირების შემთხვევები ძალიან ხშირია, შემდგომში თუ იწვევს ის გართულებებს?**

– კონტუზია დარტყმითი ტალღის შედეგად ტვინის მექანიკური დაზიანებაა. ეს არის ტვინის დაჟეჟილობა. სიკვდილიანობა ამ შემთხვევაში დაბალია, მაგრამ თავისებურ კვალს ტოვებს მუდმივი თავის ტკივილით და მასთან დაკავშირებული პრობლემებით. შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე ნერვის დამბლა, შემდგომ კი მოძრაობის დარღვევა. შოკი, საშუალოდ, ერთ კვირას გრძელდება, გააჩნია დარტყმის ინტენსიურობას. ადრე ასე იყო მიღებული, — თუ ჯარისკაცი კონტუზიას მიიღებდა, მას უკან აბრუნებდნენ.

**— ხშირი იყო შემთხვევა, როცა განკურნებული ჯარისკაცი ფრონტზე დაბრუნებულა?**

– არაერთი. საერთოდ, დაჭრილი და შემდეგ გამოჯანმრთელებული ჯარისკაცი



გაცილებით უფრო ფრთხილია. ერთი შემთხვევა მახსოვს, ღამე ბიჭები ადგებოდნენ, გარეთ გავიდოდნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. სიბნელეში სიგარეტის შუქზე სნაიპერი ესროდათ. ჯარში სეირნობა არ შეიძლება. ბევრი სნაიპერის ტყვიის მსხვერპლი მაშინ გამხდარა, დილით პირის დასაბანად რომ გასულა. აი, ერთხელ დაჭრილი ჯარისკაცი კი ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებს. სხვათა შორის, ქალი ჯარისკაცები ძალიან ფრთხილი და მოწესრიგებული არიან.

**— თავად თუ ატარებდით იარაღს და თუ დაჭრილხართ?**

– იარაღის ტარება ექიმებსაც გვიწევდა. დაჭრითაც დავჭრილვარ, ოღონდ არა საბრძოლო მოქმედებების დროს.

**— რამდენი ადამიანისათვის გიჩუქებიათ სიცოცხლე?**

– ცოტა ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მე რომ არ ვყოფილიყავი იქ, მაშინ სხვა გააკეთებდა ჩემს საქმეს, მაგრამ რამდენიმე პაციენტი, მე რომ არ ვყოფილიყავი, ვერ გადარჩებოდა.

**— აფხაზი ან ოსი თუ გადაგირჩენიათ?**

– კონფლიქტურ რეგიონებში — არა. თბილისში ყოფილა შემთხვევები. დღესაც ძალიან ბევრი გვაკითხავს სეპარატისტული რეგიონებიდან. ექიმი ხარ და შენი ვალია, დაეხმარო. იმას აღარ აქვს მნიშვნელობა, ქართველია, აფხაზი თუ რუსი.

**— და მაინც, რა არის ექიმის საქმიანობის მთავარი სპეციფიკა საომარი მოქმედებებისას?**

– ერთ მაგალითს მოგიყვანთ და ამით ყველაფერი ნათელი გახდება. გახურებული ომი იყო, დაჭრილი დაჭრილზე მოჰყავდათ. ერთი ბიჭი მოიყვანეს, მუცელში იყო დაჭრილი. ყველა ქირურგი დაკავებული აღმოჩნდა. არ მინდოდა ხელის მოკიდება, რადგან ნეიროქირურგი ვარ. ვიკამათე კიდეც მის მეგობრებთან. არ გვაინტერესებს, ოპერაცია ოპერაციაა, ძმაკაცი გვიკვდება და უნდა გადაარჩინოო, გაიძახოდნენ. გამოსავალი არ იყო, მართლა კვდებოდა ახალგაზრდა და დავიწყე ოპერაცია. შუა გზაზე ქირურგიც შემომეშველა და გადავარჩინეთ. ომში არავინ გეკითხება, ყელ-ყურის ექიმი ხარ თუ ტრავმატოლოგი, ომია და მორჩა, ამით ყველაფერია ნათქვამი. ყველაფერი უნდა შეგეძლოს. თან, როცა ასეთი ექსტრემალური სიტუაციაა, როცა კაცი ხელში გაკვდება, უფრო აქტიური და მობილიზებული ხდები, თითქოს თავისით გამოგდის ყველაფერი.

როცა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვიხსენებ, ტკივილის მეტს ვერაფერს ვგრძნობ, მიუხედავად ამისა, ღმერთმა არ ქნას და, ახლაც რომ დაიწყოს ომი, დაუფიქრებლად წავალ, ოღონდ მხოლოდ გამარჯვებისათვის!

*ნინო მამუკაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ დაეცა გაგრა

**აფხაზეთის დაცემისა და დროებით დაკარგვის შესახებ ბევრი დაწერილა, ბევრიც თქმულა, მაგრამ თვითმხილველებისა და ომის მონაწილეების მონათხრობი ბევრად უფრო საინტერესოა და ამიტომ გადავწყვიტე, დამეწერა გაგრის დაცემის შესახებ.**



1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდნენ. ჩვენი ბატალიონი, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი თამაზ მეფარიშვილი, იმ დროს სამაჩაბლოში იდგა და სამშვიდობო მისიას ასრულებდა. ხელშეკრულების მიხედვით, 2 თვე სამაჩაბლოში ვიდექით და 14 სექტემბერს დისლოკაციის ადგილზე, თბილისში დაგვაბრუნეს.

16 სექტემბერს მზადყოფნა გამოგვიცხადეს და იმავე დღეს თბილისის აეროპორტისკენ ავიღეთ გეზი. იქ დიდხანს ველოდით ჩვენთვის განკუთვნილ თვითმფრინავს, მაშინ როცა ყოველ წუთს მიფრინავდნენ ანთალიაში და სხვაგან დასასვენებლად გამზადებული ჩვენი თანამემამულეებისთვის განკუთვნილი თვითმფრინავები. სამწუხაროდ, იმ დროს ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო კუთხის დაცვა ცოტას თუ ვინმეს აინტერესებდა.

როგორც იქნა, გვაღირსეს და ჩვენთვის განკუთვნილი თვითმფრინავიც ჩამოდგა. აეროპორტიდან მაშინდელმა სახელმწიფო მინისტრმა თემურ ფიფიამ გაგვაცილა და გამარჯვებით დაბრუნება გვისურვა. ომში მივდიოდით, საიდანაც არავინ იცოდა, დაბრუნდებოდა თუ არა. ჩვენ 3 ოცეული ვიყავით. მე დაზვერვის ათეულს ვმეთაურობდი. თვითმფრინავმა სოხუმისკენ აიღო გეზი. უხმოდ ვისხედით, ყველა თავის ფიქრში იყო ჩაძირული. გულში, ალბათ, ზოგი ოჯახს ეთხოვებოდა, ზოგი მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ახლობლებს, შეყვარებულებს და კიდევ ვინ იცის, ვის.

მე ის მანაღვლებდა, რომ სიკვდილის შემთხვევაში შვილები არ დამრჩებოდა და უშვილძიროდ გავქრებოდი. ასე იყო უმრავლესობა. იმ დროს ახალგაზრდობა უფრო სხვანაირად აზროვნებდა და სამშობლოსათვის თავსაც უყოყმანოდ სწირავდა. ამას ადასტურებს ის, რომ დაღუპულები, ძირითადად, უცოლო, 18-იდან 25 წლამდე ბიჭები არიან. ამ ფიქრებით ჩავფრინდით სოხუმში.

სოხუმის აეროპორტშივე იგრძნობოდა, რომ საქმე ვერ იყო კარგად. იქვე ავტობუსი დაგვხვდა და შტაბში მიგვიყვანეს. მოგვიანებით შტაბიდან ღამის გასათევად ისევ აეროპორტში წამოგვიყვანეს. მეორე დღეს პოზიციებზე უნდა გავსულიყავით, მაგრამ გადაიფიქრეს. მერე გვითხრეს, ქალაქში არეულობაა და წესრიგი თქვენ უნდა დაამყაროთო. მერე ისე მოხდა, რომ გაგრაში სიტუაცია დაიძაბა და იქ მიგვავლინეს.

ერთი სიტყვით, სოხუმში დიდი ქაოსი სუფევდა. დასანანია, რომ თავი ვერ მოაბეს და ვერ გამოგვიყენეს. უაზროდ დავყავდით წინ და უკან.

18 სექტემბერს გაგრისკენ წასასვლელად გავემზადეთ. გაგვიხარდა, როგორც იქნა, ბრძოლაში ჩავებმებოდით.

სამი შვეულმფრენი მოფრინდა. თითოში თითო ოცეული მოვთავსდით და ჰაერში ავიჭერით. სანამ ავფრინდებოდით, ცნობა მოვიდა, — თურმე გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო შტაბი აფრენის უფლებას არ გვაძლევდა, ჩამოგდებით გვემუქრებოდა, თუ გავჯიუტდებოდით და გადაფრენას გავბედავდით. ჩვენს მიწა-წყალზე რუსს უნდა მოეცა უფლება, რომ ერთი ქალაქიდან მეორეში გადავსულიყავით. ქართული ჯარი ქართულ მიწაზე სხვისი ნება-სურვილისამებრ უნდა გადაადგილდებოდეს! სამწუხაროდ, ასე იყო მაშინ და ასეა დღესაც. აფხაზეთის ტერიტორიას ახლა მთლიანად რუსის არმია აკონტროლებს, ჩვენ იქიდან ფეხი გვაქვს ამოკვეთილი. როდემდე გაგრძელდება ასე, არავინ იცის...

როგორც იქნა, გაგრის სტადიონზე დავეშვით. იმ დროს ის აეროპორტის როლსაც ასრულებდა. სწორედ ის სტადიონი აქციეს აფხაზებმა და გადამთიელებმა მოგვიანებით სასაკლაოდ. სტადიონზე მიტინგი ტარდებოდა, რომელსაც გაგრის მაშინდელი მერი, ჯონი ლატარია ხელმძღვანელობდა. მერმა ხალხი დააიმედა, ქალაქი საიმედოდ არის დაცული, ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო. მიტინგი დამთავრებული არ იყო, რომ ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი სტადიონის გასასვლელს მიაწყდა. ავადჰარას ხეობაში აფხაზებს ქართველი მებრძოლებით სავსე ავტობუსი აეფეთქებინათ. სწორედ იმ ავტობუსში მყოფი დაჭრილი და დახოცილი მეომრები მოიყვანეს იმ დროს. ამან ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია და მიტინგიც დაიშალა. დაჭრილები და დახოცილები შვეულმფრენში შევიყვანეთ და სოხუმისკენ გავუშვით. ავტობუსით წავედით შტაბში, რომელიც სამხედრო კომისარიატის შენობაში იყო განთავსებული. შტაბს პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი ხელმძღვანელობდა, მისი მოადგილე პოლკოვნიკი პეტრე გოგუაძე იყო. ბატონი პეტრე ჩემი ყოფილი მეთაური იყო ეროვნულ გვარდიაში და ერთიმეორის ნახვა ძალიან გაგვიხარდა.

პირველ დღეებში შტაბის დაცვა დაგვავალეს, — 10-10 კაცი ვმორიგეობდით. დროებით სასტუმრო „ისკრაში" მოგვათავსეს. ნელ-ნელა სიტუაციაში გავერკვიეთ და 5 დღის შემდეგ წინა ხაზზე გაგვიშვეს. წინა ხაზი კოლხიდაში გადიოდა. დაიწყო ჩვენი საომარი მოქმედებების პირველი დღეები. საჭიროების მიხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარჯვენივ წერილის ავტორი მაიზერ გელოვანი

ვით ოცეულებად და ათეულებად გავიშალეთ. ჩვენამდე პოზიციებს გაგრის ბატალიონი, მოხალისეები და გაგრის „მხედრიონი“ იცავდნენ. გაგრაში მოქმედებდა სამხედრო კომენდატურა, რომელიც 60 კაცს ითვლიდა. კომენდანტი ბადრი ფირცხელიანი იყო. დისციპლინით ვერც აქ დაიკვეხნიდნენ, – იყო მაროდიორობა, პოზიციების უნებართვოდ მიტოვება, გამოქცევა და ა.შ.. გაგრაში თავი გამოიჩინეს და მტრის რაზმებს შეაწყდნენ „ავაზა“ და „თეთრი არწივი“. ეს ბატალიონები თითქმის განადგურდნენ.

გაგრაში იყო უამრავი სხვადასხვა დაჯგუფებაც, რომლებიც თავისით მოქმედებდნენ და შტაბს არ ემორჩილებოდნენ, გახშირდა პოზიციების მიტოვება და იარაღის გატაცების მცდელობები. ბევრმა მოხალისემ იმ ომის დროს ხალისი დაკარგა და გამორბოდა. ხშირად მიტოვებულ პოზიციებს მტერი ისე იკავებდა, რომ ვერც ვიგებდით. ამიტომ იყო ბევრად მეტი მსხვერპლი.

ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ვის ემორჩილებოდა და ვინ რას აკეთებდა. ქალაქში ტანკები და საბრძოლო მანქანები დათარეშობდნენ. ხშირად წინა ხაზზე საბრძოლო ტექნიკა არ გვყავდა და ავტომატებით ვამაგრებდით პოზიციებს. ერთხელ რომელიღაც შენაერთის მებრძოლებმა ტანკი ზღვაში ჩაიყვანეს გასარეცხად და შემდეგ იქიდან ძლივს ამოიყვანეს. ორი დღის განმავლობაში იმას ეჯაჯგურებოდნენ. სამწუხაროდ, შტაბი მებრძოლთა თვითნებობას ვერ აკონტროლებდა.

მიუხედავად მთავრობისგან დაიმედებისა, გაგრიდან ხალხი მაინც გამორბოდა. ხვდებოდნენ, რომ ვერ იყო საქმე ისე, როგორც ეუბნებოდნენ. ყოველდღე მოფრინავდნენ სოხუმიდან შვეულმფრენები და ხალხი გადაჰყავდათ. რა თქმა უნდა, პირველად მოხუცები, ბავშვები და ქალები უნდა გამორიდებოდნენ ფრონტის წინა ხაზს, მაგრამ ასე არ იყო. როგორც კი შვეულმფრენი ჩამოდგებოდა, ძალა და ღონე ვისაც ჰქონდა, ის ადიოდა, მათ შორის ბევრი მებრძოლიც გამორბოდა წინა ხაზიდან და იარაღიც თან მიჰქონდა.

შტაბმა ჩვენ დაგვავალა სტადიონზე წესრიგის აღდგენა და შეიარაღებულთა შეჩერება. ყოველდღე, ათეულების მიხედვით, პოზიციებიდან ვიხსნებოდით და სტადიონზე ვმორიგეობდით. ბრძანების მიხედვით იარაღიანი ხალხი შვეულმფრენში არ უნდა აგვეშვა და გაგვეიარაღებინა. ბევრი წინააღმდეგობას გვიწევდა და ხშირად სროლამდეც მისულა საქმე. ჩვენთვის სტადიონზე მორიგეობა ბევრად უფრო ძნელი და არასასიამოვნო იყო, ვიდრე წინა ხაზზე დგომა. რამდენიმე მათგანს ნაქურდალიც აღმოაჩნდა. ორს ოქროს კბილები და საყურე ჩანთაში ჰქონდა დამალული.

ერთხელ ერთმა, როცა იარაღის დატოვება მოვთხოვეთ, „მაკაროვის“ სროლა აგვიტეხა. საბედნიეროდ, არავინ დააშავა. სწრაფად დავიმორჩილეთ და შტაბში გავგზავნეთ.

ზოგი ისე იყო დაცემული, ქალის წინდებისა და საცვლების მოპარვასაც არ თაკილობდა. ამ სამარცხვინო საქმეების ჩამდენები დღეს, ალბათ, თავიანთი „საგმირო“ საქმეებით ამაყობენ.

ბევრმა კი მართლაც ისახელა თავი. ჩვენს ბატალიონში ერთი ლენტეხელი ბიჭი გვყავდა, მამუკა გოგებაშვილი (ტრაგიკულად დაიღუპა 1998 წელს ლენტეხში. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე). დასაზვერავად წასული მოულოდნელად მტრის საბრძოლო მანქანას გადააწყდა. მამუკას თან რაცია არ ჰქონდა და ვერ მოახერხა თანამებრძოლებთან დაკავშირება, ამიტომ გადაწყვიტა, მარტო ემოქმედა. ნელ-ნელა მიეპარა საბრძოლო მანქანას და ტანკსაწინაღო ყუმბარსატყორცნი ესროლა; დაბინდებული იყო, წვიმდა და საბრძოლო მანქანა კარგად არ ჩანდა, ამიტომ ჭურვი მიზანს ასცდა და შორიახლოს აფეთქდა. სროლა იქიდანაც აუტეხეს, მაგრამ ვერც ისინი ამჩნევდნენ მამუკას და ვარაუდით ესროდნენ.

მამუკა გოგებაშვილი ფიზიკურადაც კარგად იყო მომზადებული და ეს ხელს უწყობდა, რომ არ დაბნეულიყო. მან მეორე ჭურვი ისროლა. სროლა იქიდანაც გაძლიერდა. ჩვენ ვიცოდით მიახლოებითი ადგილი და გავიქეცით მამუკას დასახმარებლად. სანამ მივირბინეთ, ძლიერი აფეთქების ხმა მოგვესმა და მეორე მხრიდან სროლა შეწყდა. ჩვენს მისვლამდე მამუკამ მტრის საბრძოლო მანქანა გაანადგურა.

სხვათა შორის, კავშირგაბმულობა ძალიან ცუდად მუშაობდა. ერთმანეთს ვერ ვუკავშირდებოდით. ყოფილა შემთხვევა, ვინ სად იდგა, არ ვიცოდით. რამდენჯერმე ლამის ერთმანეთი დავხოცეთ. ისეც ყოფილა, ჩვენები რომ გვეგონა და მტრის ჯგუფს პირისპირ შევეჩეხეთ. გაგვიმართლა და შეტაკება ჩვენ მოვიგეთ, მაგრამ ეს იყო გამართლება, მოულოდნელობა. რაცია გამართული რომ ყოფილიყო, ეს არ დაგვემართებოდა.

ერთ დღეს ჩვენი თანამებრძოლი ანდრო გაჩეჩილაძე სნაიპერმა ხელში დაჭრა. ოცეულის მეთაურმა კაპიტანმა გენადი კვერნაძემ შტაბს რაციით გაჭირვებით შეატყობინა. შტაბიდან უთხრეს, მოვალთ და დაჭრილს წამოვიყვანთო, მაგრამ არავინ მოსულა. იძულებული გავხდით, დაჭრილი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, ფეხით წაგვეყვანა. ამ დროს მაგრად წვიმდა. წვიმდა კვირაობით.

იყო მეომრების შეცვლის პრობლემაც; რატომღაც წინა ხაზზე მდგომი მებრძოლები შტაბს ავიწყდებოდა და კვირაობით არავინ გვცვლიდა. გადაღლილებს ზოგჯერ ბუჩქიც კაცად გვეჩვენებოდა და ცოტაც და სროლას ავუტეხდით.

ბოლო დროს ტყვია-წამალსაც იშვიათად გვაწოდებდნენ. ჩვენი ბატალიონის მეთაური, აწ განსვენებული თამაზ მეფარიშვილი, გამგელებული დარბოდა პოზიციებზე და გვამხნევებდა. ჩვენ გვერდზე იყო პოზიციებზე. მისი მამაცობის მაგალითი თანამებრძოლებსაც კარგ გუნებაზე აყენებდა.



1-ელ ოქტომბერს ქალაქში მოძრაობა აღდგა. ავტობუსებმა და ტროლეიბუსებმა მიმოსვლა დაიწყეს. სკოლებმა სწავლა განაახლეს. გაგრაში შეიარაღებული ძალები შეამცირეს. მხოლოდ რამდენიმე ბატალიონი დავრჩით. იმავე საღამოს კოლხიდაში დიდი შეტაკება მოხდა. თურმე იმ დროს, როცა ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნიდით და წინ წასვლის ბრძანებას ველოდებოდით, მტერი გამუდმებით ძლიერდებოდა ცოცხალი ძალითაც და იარაღითაც. არც ერთი სამსახური რიგიანად არ მუშაობდა. ის ინფორმაცია მაინც უნდა გვქონოდა, რომ იმ დროისათვის უძლიერესი შეჯავშნული ტანკი T-74 მტრის ხელში იყო და შეტევისათვის ემზადებოდნენ. სრულიად მოულოდნელი იყო შემოტევაც და იმ ტანკის გამოჩენაც.

2 ოქტომბერს დაიწყო ფართომასშტაბიანი შემოტევა. გაგრა ცეცხლის ალში გაეხვია. ჩვენი ბატალიონი და კიდევ რამდენიმე მებრძოლი სასტუმრო КБРЦ (კბრც)-ში გავმაგრდით. ქალაქიდან ხალხი კისრისტეხით გარბოდა. ტყიდან, ზღვიდან და პირდაპირი გზიდანაც გვიტევდნენ. საბრძოლო ტექნიკასაც ტოვებდნენ. ზოგიერთებმა დაქოქილი საბრძოლო მანქანები მიატოვეს და გაიქცნენ. ტექნიკა მტრის ხელში დატოვეს.

ალყაში მოქცეულებს შენობიდან დიდხანს მოგვიწია მტრის მოგერიებამ. ნელ-ნელა ტყვია-წამალი შემოგველია. მაშველი არსაიდან ჩანდა. ალყა ნელ-ნელა ვიწროვდებოდა და შენობამდეც მოვიდნენ. მათ შორის რამდენიმე ქალი იყო. ისინი უფრო აგრესიულები იყვნენ. გარეთ გვიხმობდნენ და გვაგინებდნენ. ტანკი გამუდმებით უშენდა შენობას ჭურვებს. სასტუმრო თავზე გვენგრეოდა. რამდენიმე თანამებრძოლი დაიღუპა და დაიჭრა. მტერმა პირველი სართული აიღო, ქვემოდან გვიყვიროდნენ, გამოდით და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო, წინააღმდეგობის შემთხვევაში, სიკვდილი არ აგვცდებოდა. მე მე-3 სართულზე ვიყავი გამაგრებული. სასტუმრო ისეთ ადგილზე იყო აშენებული, რომ უკან კლდე და ტყე ესაზღვრებოდა. უკანა მხრიდან თავისუფლად შეიძლებოდა ფანჯრიდან გადახტომა და ტყეში შესვლა. ამ დროს ჩვენი მხრიდან კედელი ჩამოინგრა და თანამებრძოლებს მოვწყდით სამი კაცი, — მე, ლევან ქართლელიშვილი და გია ჩხეიძე. ორი ვარიანტი გვქონდა, — ან სიკვდილი, ან ტყეში გადასვლა. უაზროდ სიკვდილს ყველამ ტყეში გადასვლა და შემდეგ, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, ბრძოლის გაგრძელება ვარჩიეთ.

გადავხტით ფანჯრიდან და ტყეს მივეცით თავი. ტყე-ტყე განთიადამდე ჩავედით. მე ყუმბარსატყორცნი და ავტომატი მქონდა, გიასა და ლევანს — ავ-



ტომატები. ტყვია-წამალი ცოტა გვქონდა. ალბათ, თავს დავიცავდით როგორმე, ისე, გააჩნია, როგორ ძალას დავუპირისპირდებოდით. განთიადამდე არ ვიყავით მისული, რომ შტაბის უფროსი პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი შეგვხვდა. გვითხრა, ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს, ყველაფერი დამთავრდაო. მას შემდეგ მიხეილ მარინაშვილი აღარ მინახავს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მან ბევრი რამე იცოდა გაგრის შესახებ და მაშინდელ ხელისუფლებას ბევრის მცოდნე ადამიანი პრობლემებს შეუქმნიდა.

იმ ღამეს განთიადში დავრჩით. მეორე დღეს ჩამოვიდნენ მაშინდელი სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტარი ნოდარ ნათაძე და გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი. ედუარდ შევარდნაძემ ხალხს აღუთქვა, რომ გაგრას აუცილებლად, მალე დავიბრუნებდით, მერე ჩაჯდა შვეულმფრენში და უკანვე გაფრინდა. მისი დაპირება, როგორც ყოველთვის, დაპირებად დარჩა. მომდევნო დღეებში გაგრასა და განთიად-ლესელიძეში ბევრი არაფერი შეცვლილა. მტერმა განთიადი და ლესელიძეც დიდი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაიგდო ხელში. ჩვენ რუსეთის საზღვართან ახლოს იარაღი მიწაში ჩავმარხეთ, სამოქალაქო ტანსაცმელი ვიშოვეთ და რუსეთის საზღვარზე გადავედით. ადლერში მეორე დღეს ჩავაღწიეთ. იქ უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი. თბილისიდან სპეციალური თვითმფრინავები მოდიოდნენ და დევნილი ხალხი გადაჰყავდათ. ერთ-ერთ თვითმფრინავს ჩვენც გამოვყევით.

დავეშვით თბილისის აეროპორტში, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა, — ყველა თავისიანის ამბის გაგებას ცდილობდა. ჩვენი ბატალიონის ბიჭების ვერაფერი გავიგეთ. არც ის ვიცოდით, ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრები. მოგვიანებით რუსეთის არხებმა გადმოსცეს, რომ ტყვედ ჩაეგდოთ და გუდაუთაში ჰყავდათ.

41 კაცი 47 დღე გუდაუთის საკონცენტრაციო ბანაკში იტანჯებოდა. მერე შედგა ტყვეთა გაცვლის კომისია, რომელსაც ჩვენი მხრიდან გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა. დატანჯული, შეურაცხყოფილი და დამარცხებული მებრძოლები 47 დღის შემდეგ თავიანთ კერას დაუბრუნდნენ.

ამ წერილში იქ მომხდარის მეათედიც ვერ აღვწერე, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონის ყველა წევრი, მისი მეთაურის, თამაზ მეფარიშვილის მეთაურობით, ფიქრობდა მხოლოდ ერთ რამეზე, — სამშობლოს დაცვაზე. თითოეულმა ჩვენგანმა ეს დაამტკიცა ბრძოლებში.

მას შემდეგ ჩვენი ბატალიონი შეივსო და კიდევ რამდენჯერმე მივიღეთ ბრძოლაში მონაწილეობა, კერძოდ, სოხუმში, ლაბრასა და სამაჩაბლოში. ჩვენი ბატალიონიდან დღეს ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ის ვაჟკაცები ყოველთვის გვემახსოვრება. ისინი იცავდნენ სამშობლოს. მათ ვერავინ დააძალებდა საომრად წასვლას, თითოეული საკუთარი სურვილით ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და ბევრი შეეწირა კიდევაც.

ამით ვამთავრებ სათქმელს და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ბიჭების მხარდამხარ ვიბრძოდი. იმედი მაქვს, დადგება დრო, როცა საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებას დავიწყებთ და ჩვენ, ძველი მეომრები, ჩვენს მხედრულ მოვალეობას აუცილებლად შევასრულებთ. გვეყო დამარცხებები, გამარჯვებების დრო უნდა დადგეს. სამშობლოს აუცილებლად გავაერთიანებთ. შვილებს ის დაჩეხილი არ უნდა დავუტოვოთ.

*მაიზერ გელოვანი*

**კაპიტანი, მედლის „საბრძოლო დამსახურებისთვის“ კავალერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისრაელის რკინის გუმბათი

ამერიკული კომპანია NORTHROP GRUMMAN-ის სპეციალისტების მცდელობა, გაეღვივებინათ ისრაელის თავდაცვის უწყების დაინტერესება რაკეტსაწინააღმდეგო ლაზერული კომპლექს NAUTILUS-ით (უფრო ზუსტად, მისი სავარაუდო მოდიფიკაციით SKYGUARD) მარცხით დასრულდა.

22 მარტს ისრაელის სამხედრო დელეგაცია თავდაცვის სამინისტროს გენერალური დირექტორის, თადარიგის გენერალ პინხას ბუხრისის მეთაურობით აშშ-ში NAUTILUS-ის გამოცდას დაესწრო და აღნიშნა, რომ ის ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან. მის ნაცვლად ახლო აღმოსავლეთის ცას დაიცავს ისრაელური რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი IRON DOME.

## რა არის IRON DOME

ისრაელის კომპანია RAFAEL ARMAMENT DEVELOPMENT AUTHORITY-ს (ახლა RAFAEL ADVANCED DEFENSE SYSTEMS) მიერ შემუშავებული ირონ დომე („რკინის გუმბათი“) განკუთვნილია 4-დან 70 კილომეტრამდე სიშორეზე უმართავი ტაქტიკური რაკეტებისაგან და საარტილერიო ჭურვებისგან თავდაცვისთვის. კომპლექსი უმართავი რაკეტა „კასამებისა“ და ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარ „გრადის“ (რომელთაც პალესტინელი ბოევიკები იყენებენ ისრაელისთვის სარაკეტო დარტყმების მისაყენებლად) ჭურვების გზაგადამჭრელი მრავალდონიანი სისტემის ნაწილი უნდა გახდეს. კომპლექსი ყველა ცნობილი რეაქტიული ჭურვების (თვით პერსპექტიულ სახეობათა ჩათვლით) განადგურების გარანტიას იძლევა.

IRON DOME-ის ბატარეის შემადგენლობაში შედის მრავალმიზნობრივი რადიოლოკაციური სადგური EL/M-2084, ცეცხლის მართვის ცენტრი და სამი გამშვები დანადგარი, რომელთაგან თითოეული 20 რაკეტა-გზაგადამჭრელი TAMIR-ით არის აღჭურვილი. რაკეტის სიგრძე 3 მეტრია, დიამეტრი 160 მმ, წონა 90 კგ და აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური არაკონტაქტური საბრძოლო ნაწილით, რომლის მახასიათებლები გასაიდუმლოებულია.

IRON DOME-ს გამოყენების სქემა საკმაოდ მარტივია. კომპლექსი ინფორმაციას იღებს ისრაელის შეიარაღებული ძალების წინასწარი გაფრთხილების საშტატო მრავალმიზნობრივი რადიოლოკაციური სადგურიდან. სამიზნის ზუსტი იდენტიფიკაცია და მისი ფრენის ტრაექტორიის განსაზღვრა ხდება მრავალმიზნობრივი რადიოლოკაციური სადგურ EL/M-2084-ით. სამიზნის აღმოჩენის შემდეგ კომპლექსი გაუშვებს რაკეტსაწინაღო TAMIR-ს, რომელიც ანადგურებს მოწინააღმდეგის ჭურვს ტრაექტორიის უმაღლეს წერტილში. უმაღლეს წერტილში გზის გადაჭრა დაბინძურების შემცირების მიზნით ხდება, თუკი რაკეტას ქიმიური ან ბიოლოგიური ქობინი მიაქვს.

სამიზნის აღმოჩენიდან მისთვის გზის გადაჭრამდე და რაკეტა-გზაგადამჭრელის გაშვების დრო 1 წამზე ნაკლებია. სპეციალისტთა ინფორმაციით, რაკეტა TAMIR-ს შეუძლია უფრო მეტი სიჩ-

IRON DOME-ს გამოყენების სქემა





SKYGUARD-ის მობილური ლაზერული დანადგარი

ქარის განვითარება, ვიდრე „კასამს“ – წამში 300 მეტრი.

IRON DOME-ს ერთ ბატარეას ქალაქის რაიონის 150 კვ.კმ ფართობის 15 კმ-ის რადიუსში გაშვებული რაკეტებისგან დაცვა შეუძლია. დასაცავი ფართობი შეიძლება გაიზარდოს, თუკი მტერი რაკეტებს დიდი მანძილიდან გამოუშვებს.

ერთი რაკეტა-გზაგადამჭრელ TAMIR-ის წინასწარი ფასი 45 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ამჟამად ისრაელელი სპეციალისტების ძალისხმევა მიმართულია სისტემის გაიაფებისკენ, რადგან IRON DOME-მ ისრაელი ათასობით „კასამისგან“ უნდა დაიცვას. თითოეული „კასამის“ ფასი 200 დოლარს არ აღემატება.

რაკეტის ღირებულების გასაიაფებლად კომპანია RAFAEL-მა შექმნა რაკეტა-გზაგადამჭრელი თვითდამიზნების მაღალსიხშირიანი სტანდარტული ქობინით, რომელსაც აქვს პლასტმასის საფარი. კალის კონიკური ცხვირის ნაწილი თვითდამიზნების ქობინს ფრენის დროს მაღალი ტემპერატურისგან იცავს და მიზნის გზის გადაჭრამდე წამებში იგერიებს მტრის შეტევას, რის შემდეგაც ქობინი ასწრებს სამიზნის დაჭერას და მის განადგურებამდე რაკეტის მართვას.

ლიბანის ომისა და ღაზას სექტორში შეტაკებების გამოცდილებით, მცირე და საშუალო მანძილის უმართავი რაკეტების 75% მიზანს არ ხვდება. ამიტომ დანახარჯის შემცირების მიზნით მრავალმიზნობრივი რადიოლოკაციური სადგური EL/M-2084 რაკეტის ფრენის ტრაექტორიას გამოთვლის და გზის გადაჭრის ბრძანებას არ იძლევა, თუკი გათვლათა თანახმად მტრის რაკეტა დაუსახლებელ რაიონებში ჩამოვარდება.

სისტემის გამშვებ დანადგარებს სატვირთო ავტომობილები გადაიტანენ. ეს კიდევ ერთი რენტაბელური გადაწყვეტილებაა კომპლექსების მობილურობის უზრუნველსაყოფად.

ისრაელის თავდაცვის სამინისტროს გამოთვლებით, ღაზას სექტორის ირგვლივ ისრაელის დასახლებების რეაქტიული ჭურვებისგან დასაცავად IRON DOME-ს სისტემების გაშლის ღირებულება წლის განმავლობაში 25 მლნ დოლარს შეადგენს.

## IRON DOME-ს შექმნის ისტორია

IRON DOME-ს სისტემის პროექტი ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ 2007 წლის თებერვალში ამოარჩია იმ 14 პროექტისაგან, რომლებიც სხვადასხვა კომპანიამ წარმოადგინა. 2007 წლის დეკემბერში ისრაელის მთავრობამ 815 მლნ შეკელი (230 მლნ დოლარი) გამოუყო კომპანია RAFAEL ARMAMENT DEVELOPMENT AUTHORITY-ის IRON DOME-ს სისტემის შესამუშავებლად და საწარმოებლად. სისტემა უპირველესად განლაგდება ღაზას სექტორში, მოგვიანებით კი ლიბანის საზღვრის გასწვრივ.

როგორც თავდაპირველად იგეგმებოდა, სისტემა შეიარაღებაში 2011 წელს უნდა მიიღონ. თუმც ღაზას სექტორში ისრაელის ქალაქების ყოველდღიური სარაკეტო დაბომბვების გამო, კომპანია RAFAEL-მა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სისტემა საბრძოლო მზადყოფნაში 2009 წლისთვის მოიყვანოს.

სტატიკური გამოცდების დროს, რომლებიც 2007 წლის იანვარში ჩატარდა, IRON DOME-ს გზაგადამჭრელის ქობინმა წარმატებით გაანადგურა რაკეტა „კასამი“ და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადის“ 122-მილიმეტრიანი ჭურვი. საფრენი გამოცდების წარმატებულმა დასაწყისმა სისტემის შემმუშავებლებს საშუალება მისცა, უკვე მიმდინარე წელს სცადონ მოწინააღმდეგის რაკეტების გზის გადაჭრა.

მოდელირების შედეგებმა ცხადყო, რომ IRON DOME-ს შეუძლია ერთეული და ჯგუფური რაკეტების 90%-ის განადგურება ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში.

TAMIR-ის საზენიტო რაკეტის სიგრძე 3 მ-ია, იგი 90 კგ-ს იწონის და წამში 300 მ-ის სიჩქარით მიფრინავს



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რატომ სჯობია IRON DOME ლაზერულ SKYGUARD-ს

ისრაელის თავდაცვის სამინისტრო იმედოვნებდა, რომ ტაქტიკური სისტემის შემდგომ დამუშავებაში აშშ-ის რაკეტსაწინაღო თავდაცვა დაეხმარებოდა, სანაცვლოდ კი პენტაგონს რამდენიმე თავის კომპლექსს მიაწოდებდა. ამ მიზნით ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების ჯგუფმა შეისწავლა კომპლექსი IRON DOME, 2007 წლის 16 ოქტომბერს კი ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა და მისმა ამერიკელმა კოლეგამ რობერტ გეითსმა მოილაპარაკეს, განეხილათ ისრაელის წინადადება რაკეტსაწინაღო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე ახლო მოქმედების რაკეტებისგან დამცავი სისტემების დამუშავების თაობაზე.

ამერიკულმა მხარემ ამ მოლაპარაკებებში აქცენტი გააკეთა კომპლექს SKYGUARD-ზე, რომელიც სისტემა NAUTILUS-ის სრულყოფილი სახეობაა და ჯერ მხოლოდ ნახაზებში არსებობს. პროექტ NAUTILUS-ზე, რომელიც „ლაზერული ტყვიამფრქვევის“ შექმნას გულისხმობს და მცირე სიშორის რაკეტების გასანადგურებლად არის განკუთვნილი, ისრაელი და აშშ 1995-დან 2005 წლამდე ერთად მუშაობდნენ, რის შემდეგაც ორივე მხარემ გადაწყვიტა, შეეწყვიტა პროგრამა მისი განხორციელების შეუძლებლობის გამო. ამ ხნის განმავლობაში ისრაელის მთავრობამ პროექტზე 400 მლნ დოლარზე მეტი დახარჯა.

მიმდინარე წლის თებერვალში ამერიკულმა კომპანია NORTHROP GRUMMAN-მა ისრაელს შესთავაზა სისტემა SKYGUARD-ის საცდელი ნიმუშის შექმნა ტაქტიკური მაღალენერგეტიკული ქიმიური ლაზერ THEL-ის ბაზაზე და სამუშაოებისათვის დამატებით 180 მლნ დოლარი გამოყო.

თავდაპირველად ისრაელის მთავრობა აპირებდა ამერიკის წინადადების მიღებას. თუმც, როგორც ახლახან გახდა ცნობილი, ამერიკული სისტემა THEL-ის მიერ მტრის რაკეტის განადგურების ალბათობა სულ 35%-ს შეადგენს, ისიც იდეალურ მეტეოროლოგიურ პირობებში. ამასთან, NORTHROP GRUMMAN-ი აღიარებს, რომ ახალი სისტემა SKYGUARD-ი დასრულებული არ არის, რაც აშკარად არ თავსდება ისრაელის თავდაცვის სამინისტროს გათვალისწინებულ ვადებში. მეტიც, სამუშაოების დასრულების შემდეგ 180-ტონიანი ლაზერული გენერატორის (სიმაღლე – 7 მეტრი, სიგანე – 14 მეტრი) დისლოცირების ადგილამდე მიტანა და დამონტაჟება არანაკლებ 18 თვეს გასტანს.

მიუხედავად იმისა, რომ მტრის ერთი რაკეტის სისტემა SKYGUARD-ით განადგურების დანახარჯი მხოლოდ 4.000 დოლარს შეადგენს, ისრაელის თავდაცვის უწყება აცხადებს, რომ ამერიკული კომპლექსი აუცილებელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ეს სისტემა ძალზე მგრძნობიარეა მეტეოროლოგიური პირობებისადმი, უვარგისია ნისლში ან ქვიშიანი ქარიშხლის დროს, რაც ასე ხშირია სამხრეთ და ჩრდილოეთ ისრაელში. გარდა ამისა, SKYGUARD-ის აშკარა ნაკლია ჯგუფური სისტემების განადგურებისათვის შეზღუდული ვარგისიანობა და IRON DOME-სგან განსხვავებით ნაკლები ფართობის დაცვა. SKYGUARD-ის პროტოტიპის – სისტემა NAUTILUS-ის ბოლოდროინდელმა წარუმატებელმა გამოცდებმა, ჩანს, წერტილი დაუსვა ამ ისტორიას.

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისრაელი უახლოეს მომავალში არ მიიღებს აშშ-ის წინადადებას, სანამ ასე ფართოდ რეკლამირებული ლაზერული კომპლექსი SKYGUARD-ი არ გაამართლებს ადრე გაცხადებულ მაღალ მახასიათებლებს.



# უნივერსალური ტორპედო mk.48 (ADCAP)



უნივერსალური ტორპედო mk48 mod.5, შემუშავდა პროგრამა ADCAP-ის ფარგლებში და მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავებისა და ბალისტიკური რაკეტებიანი წყალქვეშა ნავების შეიარაღებაშია.

შეიარაღებაში 1988 წელს მიიღეს. არის აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების, ავსტრალიის, კანადისა და ნიდერლანდების შეიარაღებაში. ტორპედოს ენერგოძალურ დანადგარში, რომელიც მოქმედების პრინციპით ტორპედო mk48 mod.1-4-ის ენერგოძალური დანადგარის ანალოგიურია, სრულყოფილია დგუშიანი ძრავა და გაზრდილია საწვავის რეზერვუარის მოცულობა, თვითდამიზნებისა და მართვის სისტემის აპარატურის ნაკვეთურის შემცირების ხარჯზე. შედეგად, გაიზარდა და გაუმჯობესდა სვლის სისწრაფე. ტორპედოს ხმაურის შემცირების მიზნით, ოპტიმიზებულია მისი გარე კონტურები. გაუმჯობესებული აკუსტიკური თვითდამიზნების სისტემის აპარატურის, პასიური, აქტიური ან მუშაობის კომბინირებული რეჟიმის წყალობით, ტორპედო შეიძლება გამოიყენონ როგორც ტელემართვის სადენებით, ასევე მის გარეშეც. გაზრდილია თვითდამიზნების სისტემის აპარატურის შესაძლებლობანი მცირე სიღრმეზე, ყინულქვეშ, სიღრმისდა მიხედვით ტემპერატურის ცვალებადობის პირობებში და სპეციალური ჰიდროლოკაციურსაწინაღო საფრის მქონე წყალქვეშა ნავის წინაალმდეგ. ტორპედოს მწარმოებლები არიან სათავო ფირმები „ჰიუზ ერკრაფტი“ და „ვესტინგჰაუსი“.

## mk.48 (ADCAP)-ის ტექნიკური მახასიათებლები

სიგრძე: 5,8 მ
დიამეტრი: 5333 მმ
საერთო წონა: 1580 კგ
ექვსცილინდრიანი დგუშიანი ძრავა, წყალსასროლი ამძრავი
სიჩქარე: 55 კვანძამდე
სვლის სიშორე: 20 კმ-მდე
დამიზნების სისტემა: აქტიურ-პასიური, პლუს ტელემართვა
თვითდამიზნების სისტემის აპარატურის მოქმედების სიშორე: 3,5 კმ-მდე
ტელემართვის სიშორე: 18 კმ-მდე



სურათზე: ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ძალების ფრეგატ „ტორენსისთვის“ mk48 mod.4-ის პრაქტიკული სროლის შედეგი
ამერიკული მძიმე ტორპედო mk48 adcap

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეული სატანკო ხიდგამდები

სამხრეთკორეული ძირითადი საბრძოლო ტანკ K1-ის ბაზაზე შექმნილი სატანკო ხიდგამდები განკუთვნილია ვიწრო დაბრკოლებების მძიმე საბრძოლო მანქანებით გადალახვისთვის.

კონსტრუქციის დამუშავება 1989 წელს დაიწყო ბრიტანულმა ფირმამ „ელვის ვიკერსმა“ (ეს სახელწოდება მას 2002 წლიდან აქვს). საფუძვლად აიღეს ტანკ „ჩიფტენის“ ხიდგამდები. მანქანების პირველი პარტიის მიწოდებაზე კონტრაქტი 1993 წლის დამლევს გაფორმდა. თავდაპირველად, ხიდი და ამძრავის მექანიზმი დიდ ბრიტანეთში მზადდებოდა, მაგრამ მოგვიანებით მათი წარმოება კორეის რესპუბლიკაშიც დაიწყეს. K1-ისთვის დასაკეცი ხიდის კონსტრუქცია ჰიდრავლიკური ამძრავითურთ მაღალი სიმტკიცის ფოლადით არის დამზადებული. კალაპოტის ბლოკისათვის უფრო მსუბუქი შენადნობია გამოყენებული. ეკიპაჟს ხიდის გადება მანქანიდან გადმოუსვლელად შეუძლია. ხიდგამდების მასა 54,7 ტ-ს, სახიდე ფერმა კი 12,9 ტ-ს შეადგენს. ეკიპაჟი ორი კაცისგან შედგება. სალაშქრო მდგომარეობაში სიგრძე 12,56მ, სიგანე და სიმაღლე 4-4 მ-ია. სახიდე კონსტრუქციის საერთო სიგრძე 22 მ-ს შეადგენს, რაც ნაპირების გრუნტის (ტანკსაწინაღო თხრილი) გათვალისწინებით 20,5მ სიგანის დაბრკოლების დაძლევის საშუალებას იძლევა.



დაბრკოლების ერთი მხარის მეორეზე მაქსიმალური გადაჭარბება არ უნდა აღემატებოდეს 2,4 მ-ს. დაბრკოლებაზე ხიდის გასადებად 3წთ, ხოლო მოსახნელად კი 10 წუთია საჭირო. ხიდზე გასასვლელი მანქანების მაქსიმალური წონა 60 ტ. ხიდგამდებზე დაყენებულია 7,62მმ-იანი ტყვიამფრქვევი. კორეის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისთვის სულ 56 K1-ის ხიდგამდების მიწოდებაა დაგეგმილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იჩქარე ნელა



ჰალედ მაშალი და სერგეი ლავროვი

ყველას კარგად გვახსოვს, ამ ცოტა ხნის წინ აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველი ჟურნალისტი რომ დააკავეს და თითქმის ორი კვირა გამოგონილი ბრალდებებით სოხუმის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. არც საქართველოს პრეზიდენტის მკაცრი განცხადება დაგვავიწყდებოდა, — თუ საჭირო შეიქნა, სოხუმში სპეცოპერაციას ჩავატარებთ და ჟურნალისტს ისე გავათავისუფლებთო.

ამ ემოციური პოლიტიკური განცხადების გამგონე მსოფლიო მასმედიამ ყურები ცქვიტა და მოვლენების განვითარებას უფრო დიდი ყურადღებით აშუქებდა. ისინი, ალბათ, ისრაელის „მოსადის" სტილით ჩატარებულ სპეცოპერაციას ელოდნენ, როდესაც გამთენიისას საქართველოს სპეცსამსახურების სპეციალური რაზმების კოორდინირებული მოქმედება ჰაერიდან, ზღვიდან და ხმელეთიდან დაბნეულ სეპარატისტებს ფარ-ხმალს დააყრევინებდა.

საბედნიეროდ, ძალისმიერი ღონისძიებების გატარება საჭირო აღარ გახდა, — სეპარატისტებმა დაკავებულები თავად გაათავისუფლეს. ამ მოვლენებმა ორი ძალზე საგულისხმო ისტორიული ფაქტი გაგვახსენა.

## ჩაფლავებული „მოსადი"

ეს ამბავი ჩვეულებრივ დაიწყო, მაგრამ დიდი ტრაგედიითა და სკანდალით დასრულდა. 1973 წლის ივლისის დასაწყისი იყო და საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ ნორვეგიის ცნობილ ზამთრის კურორტსა და ოლიმპიურ ქალაქ ლილეჰამერს სტუმრები არ აკლდა. ამიტომ ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან კიდევ ათამდე ტურისტის ჩამოსვლა არავის გაჰკვირვებია. ამ სხვადასხვა ასაკის ქალსა და მამაკაცს საერთო ის ჰქონდათ, რომ სინამდვილეში ისრაელის დაზვერვის („მოსადის") ოპერატიული თანამშრომლები იყვნენ. ფუნქციები მკაცრად ჰქონდათ განაწილებული — ზოგს სასტუმროში ნომრის აღება და ავტომობილის დაქირავება ევალებოდა, ზოგს გარე თვალთვალი, ხოლო ზოგი ტერაქტების ოსტატი იყო. „ტურისტების" ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა „მოსადის" გამოცდილი აგენტი მაიკ ჰარარე, რომელსაც „აქტიური ოპერაციების" (ანუ ლიკვიდაციის) ჩატარების სანქცია თავის დროზე პირადად ისრაელის პრემიერ-მინისტრ გოლდა მეირისგან ჰქონდა მიღებული. ლიკვიდაციის ობიექტი ცნობილი არაბი ტერორისტი, პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია „შავი სექტემბრის" ერთ-ერთი ლიდერი ალი ჰასან სალამეჰი იყო. ისრაელის სპეცსამსახურების ინფორმაციით, ალი სალამეჰი პირადად ხელმძღვანელობდა 1972 წლის 5 სექტემბერს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს 11 ებრაელი სპორტსმენის მძევლად აყვანასა და შემდგომ მათ დახოცვას. ამ მოტივით სალამეჰს და კიდევ 34 პალესტინელს, რომელთა სია ისრაელში მოქმედმა სრულიად საიდუმლო „კომიტეტმა X-მა" შეადგინა, ხოლო შემდეგ პრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა, სასიკვდილო განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი. „მოსადის" ინფორმაციით, ალი სალამეჰი ლილეჰამერში იმალებოდა და სკანდინავიელ ლამაზმანებში ატარებდა დროს. ორკვირიანი მეთვალყურეობის შემდეგ მაიკ ჰარარეს ჯგუფმა დაადგინა, რომ ქალაქის ქუჩებში ქერათმიან ლამაზმანთან უშიშრად მოსეირნე არაბი მართლაც ცნობილი ტერორისტი და პლეიბოი სალამეჰი იყო. დაგეგმილ ოპერაციაში, გადაუდებელი ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე, რამდენიმე ცვლილება შეიტანეს და 1973 წლის 21 ივლისის საღამოს სალამეჰი პირდაპირ ქუჩაში, თანმხლები ქალის თვალწინ ტყვიებით დაცხრილეს. ინსტრუქციიდან გამომდინარე, უშუალო შემსრულებლებმა ნორვეგია იმავე ღამეს დატოვეს, ხოლო დანარჩენები კონსპირაციულ ბინებში განაწილდნენ და ებრაელი ხალხის კიდევ ერთი მტრის ლიკვიდაციის ოპერაციის წარმატებით დასრულების აღნიშვნას შეუდგნენ... მაგრამ სიხარული ჩაშხამდათ, როცა ტელევიზიით გაიგეს, რომ მსხვერპლი სულ სხვა, სრულიად უდანაშაულო მაროკოელი ოფიციანტი აჰმედ ბუჩიკი იყო. ამ საცოდავს მხოლოდ ის მსგავსება ჰქონდა ალი სალამეჰთან, რომ ისიც შავტუხა იყო და ულვაშით აწონებდა თავს ნორვეგიელ ქერა ცოლს. ამ ტრაგიკული შემთხვევის შესახებ, ალბათ, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა (რამდენი კაცი იღუპება საქმის გარჩევების დროს!), რომ არა შემდგომ განვითარებული მოვლენები და „მოსადის" აგენტთა გასაოცარი დოყლაპიობა. ნორვეგიის პოლიციას არ გასჭირვებია თვითმხილველთა ჩვენებებით იმ ავტომობილების ნომრების დადგენა, რომლებითაც ებრაელი აგენტები „სალამეჰს" დასდევდნენ. ერთ საათში პოლიციამ აეროპორტშივე დააკავა ორი აგენტი. თურმე ავტომობილები საკუთარი გვარით დაუქირავებიათ და სასტუმროშიაც ყოველგვარი ლეგენდის გარეშე ცხოვრობდნენ. აგენტებმა „დაფქვეს", რომ ისინი ისრაელის სპეცსამსახურის თანამშრომლები არიან და დაასახელეს კონსპირაციული ბინის მისამართიც. მათი ჩვენებების საფუძველზე ნორვეგიის პოლიციამ კიდევ სამი ბედოვლათი აგენტი დააკავა. მაიკ ჰარარემ გაქცევა მოასწრო. დაკავებულმა „მოსადის" აგენტებმა გუდას პირი მოხსნეს და პარიზსა და რომში არსებული კონსპირაციული ბინების მისამართებიც კი დაასახელეს. ნორვეგიის სასამართლომ მათ 2-დან 5 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ორ წელში შეიწყალა და გაათავისუფლა.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ლილეჰამერში ნაჩქარევად დაგეგ-

მილი და ჩაფლავებული „სპეცოპერაციის“ გამო გამოწვეული დიდი საერთაშორისო სკანდალი „მოსადის“ ხელმძღვანელებს დღესაც მწარედ ახსოვთ.

სწორედ გაუმართლებელმა სიჩქარემ გამოიწვია ისრაელის დაზვერვის მიერ დაგეგმილი მეორე სპეცოპერაციის სრული ფიასკო.

### სახიფათო „კოკა-კოლა“

1997 წლის 30 ივლისს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო იერუსალიმის ბაზარში. ძალზე ცხელოდა მაგრამ მყიდველი არ აკლდა დახლებს. მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ერთმანეთში ირეოდა. ორი ჩადრში გახვეული ქალი სხვადასხვა შესასვლელიდან შევიდა ბაზარში და ცენტრალური ნაწილისკენ გაემართა. ისინი კარგად დაპროგრამებული რობოტებივით, სინქრონულად მოქმედებდნენ. უცბად ორივე შედგა, რაღაც ჩაილაპარაკეს, აღზნებული თვალები ვაჭრობით გართულ ხალხს მიმოავლეს და ჩადრის შიგნით, ტანზე მიმაგრებული ჩამრთველი გადაატრიალეს. გამაყრუებელი ორი აფეთქების ხმა ერთდროულად გაისმა.

პალესტინის ერთ-ერთი ტერორისტული დაჯგუფების „ჰამასის“ წევრებმა თავი „შაჰიდის ქამრებით“ აიფეთქეს. მათ გარდა კიდევ 16 კაცი დაიღუპა და ათეულობით მძიმედ დაიჭრა. რამდენიმე საათის შემდეგ ისრაელის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ სპეცსამსახურების ხელმძღვანელები შეკრიბა. თათბირი დიდხანს გაგრძელდა. პრემიერ-მინისტრმა, რომელსაც თავადაც ბევრ ანტიტერორისტულ ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა, ტერაქტის ორგანიზატორების სასწრაფო ლიკვიდაცია მოითხოვა. ტერორისტებზე შურისძიება ისრაელში სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. უნდა ვებრძოლოთ თუ არა ტერორისტებს მათივე მეთოდებით და რა შედეგამდე მიგვიყვანს ეს გზა, ძალზე საკამათო საკითხია და ამჟამად მასზე არ შევჩერდებით.

პრემიერ-მინისტრმა ძალზე მკაცრი ბრძანება გასცა, — „ჰამასის“ რომელიმე ლიდერმა საკუთარი სიცოცხლით უნდა აგოს პასუხი ამ ტერაქტზე, რაც სხვებისთვის გაკვეთილი უნდა იყოსო. თან დაამატა — „ოპერაცია უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად უხმაუროდ, აფეთქებებისა და სროლის გარეშე. სიკვდილი იმდენად ბუნებრივი უნდა იყოს, რომ არავინ იეჭვოს ჩვენი მონაწილეობა“.

მეორე დღეს „მოსადის“ ხელმძღვანელობამ პრემიერ-მინისტრს „ჰამასის“ ოთხი ლიდერის სია წარუდგინა. ლიკვიდაციის ობიექტად შეარჩიეს ამ ორგანიზაციის პოლიტბიუროს ხელმძღვანელი ჰალედ მაშალი. ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება დაევალა „მოსადის“ ერთ-ერთი სპეცჯგუფის, „კეისარიას“ უფროსს მიხეილ ბენ-დავიდს. მას ჯგუფში საკმაოდ ჰყავდა გამოცდილი სნაიპერიც და ამფეთქებელიც, მაგრამ რადგანაც ნაბრძანები იყო მაშალის ლიკვიდაცია „არატრადიციული მეთოდებით“, ბენ-დავიდს თავსატეხი გაუჩნდა.

დახმარებისთვის მან „მოსადის“ ბიოქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლებს მიმართა და არც შემცდარა. „სიკვდილის ჯადოქრებმა“ გაუმხილეს, რომ ლაბორატორიას შეუძლია დაამზადოს განსაკუთრებული შხამი, რომლის ერთი წვეთის კანზე მოხვედრაც საკმარისია, რომ ადამიანმა გონება დაკარგოს, კომაში ჩავარდეს და მოკვდეს. თანაც ამ საწამლავის კვალიც


ალი ჰასან სალამეჰი

არ რჩება მსხვერპლის სისხლში.

ლიკვიდაციის სპეცოპერაცია შემდეგ სცენარს ითვალისწინებდა. იორდანიის დედაქალაქ ამანში, სადაც იმ პერიოდში ჰალედ მაშალი ცხოვრობდა, უნდა ჩასულიყო „მოსადის“ ორი ლიკვიდატორი კანადელი ტურისტების პასპორტებით. ისინი ქუჩაში მიუახლოვდებოდნენ ჰალედს და ერთი მათგანი, „კოკა-კოლას“ ქილის გახსნისას, ვითომ შემთხვევით გაწუწავდა პალესტინელს. ამ დროს მეორე აგენტს რამდენიმე წვეთი შხამი უნდა მიესხურებინა ჰალედისთვის კისერზე. ამის შემდეგ ისინი ბოდიშს მოუხდიდნენ „მსუბუქად დაზარალებულს“ და ქუჩის მეორე მხარეს მდგარი მანქანით სასწრაფოდ დატოვებდნენ შემთხვევის ადგილს. შხამი, შესაძლოა, თავად აგენტებსაც მისხურებოდათ, ამიტომ „მოსადის“ ბიოქიმიკოსებმა თავის დაზღვევის მიზნით აგენტებს სპეციალური ანტიდოტი მისცეს, რომელიც მომენტალურად ანეიტრალებდა შხამის მოქმედებას.

1997 წლის 21 სექტემბერს „კეისარიის“ ექვსი წევრი ამანში ჩავიდა და ოთხი დღის შემდეგ ოპერაცია ჩატარდა. 25 სექტემბერს დილით, როდესაც „მოსადის“ ორი აგენტი ოფისში მიმავალ ჰალედ მაშალს „შემთხვევით“ უკან აედევნა, ეს „ჰამასის“ ლიდერის მძღოლმა შეამჩნია და თავის შეფს დაუძახა. მოტრიალებულ და გაოცებულ ჰალედს ერთმა სახეში „კოკა-კოლა“ შეასხა, ხოლო მეორემ ყურში რაღაც სითხე შეასხურა. ჰალედის ყვირილზე დაცვის ერთმა წევრმა მოირბინა და ორ გაქცეულს უკან დაედევნა. ხელჩართულმა ჩხუბმა გამვლელების ყურადღება მიიპყრო — აბა, როგორი ამბავია ორი ევროპულად ჩაცმული ახმახი რომ ერთ არაბს სცემს და დახრჩობას უპირებს? ამიტომაც პოლიციის მოსვლამდე „მოსადის“ აგენტებმა მიმალვა ველარ მოასწრეს. თუმცა პოლიციის განყოფილებაში კანადური პასპორტები ამაყად და უშიშრად წარადგინეს. დოკუმენტების


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყალბის დადგენის მათ არ ეშინოდათ, რადგანაც „მოსადს“ ხომ უმაღლესი დონის გამყალბებლები ჰყავს!

ასეც მოხდა. იორდანიელმა პოლიციელებმა მაშინვე კანადის კონსული გამოიძახეს და სწორედ მაშინ დაიწყო „მოსადის“ შერცხვენა. „კანადელებმა“ არ იცოდნენ რომელ ქალაქში ცხოვრობდნენ, რომელი სკოლა დაამთავრეს და სხვა უმარტივეს კითხვებზეც ვერ გასცეს პასუხი. ამ დროს ჰალედ მაშალზე თავდასხმის დეტალებიც გაირკვა და იორდანიელებისთვის უკვე ბევრი რამ გახდა ნათელი. იორდანიის მეფე ჰუსეინისთვის „ჰამასის“ ერთ-ერთ ლიდერზე დღისით-მზისით, მისი სამეფოს დედაქალაქში მოწყობილი თავდასხმა უდიდესი პიროვნული შეურაცხოფა და საერთაშორისო სკანდალი იყო. ამანის ერთ-ერთ საავადმყოფოში ჰალედ მაშალი უკვე სიკვდილს ებრძოდა, გონდაკარგული ხელოვნურ სუნთქვაზე იყო, ხოლო იორდანიელი ექიმები ავადმყოფობის მიზეზს ვერ ადგენდნენ. მაშალის სიკვდილის შემთხვევაში „მოსადის“ ორივე აგენტს სიკვდილით დასჯა გარანტირებული ჰქონდა. ამ ყველაფერს კი ისრაელ-იორდანიის ოდნავ დამთბარი ურთიერთობების საბოლოო გაცივება მოჰყვებოდა.

იორდანიაში სასწრაფოდ ჩაფრინდნენ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ, ინფრასტრუქტურის მინისტრი, მეფე ჰუსეინის ძველი პარტნიორი არიელ შარონი და „მოსადის“ დირექტორი ეფრაიმ ჰალევი.

მეფე ჰუსეინის მოთხოვნით ორი აგენტის სანაცვლოდ ისრაელის ციხეებიდან გაათავისუფლეს ათეულობით პალესტინელი ბოევიკი, მათ შორის შეიხი აჰმედ იასინი, ხოლო ჰალედ მაშალის გადასარჩენად საავადმყოფოში ანტიდოტი თავად მიხეილ ბენ-დავიდმა მიარბენინა. მეორე დილას მაშალი გონზე მოვიდა და სასიცოცხლო ფუნქციები აღუდგა.

ასე სამარცხვინოდ დასრულდა „მოსადის“ ორი ოპერაცია.

ამ დროს დაშვებული უამრავი ოპერატიული შეცდომის უმთავრესი მიზეზი გაუმართლებელი სიჩქარე იყო. ამგვარი სპეცოპერაციების დაგეგმვასა და ჩატარებას, როგორც წესი, სულ მცირე ცხრა-ათი თვე მაინც სჭირდება, რათა დაიგეგმოს ყველა დეტალი და გამოირიცხოს ნებისმიერი შემთხვევითობა.

ყოველთვის ასე მოხდება, როდესაც ქვეყნის პირველი პირი ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მიიღებს სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ, ხოლო ხელქვეითები და სპეციალისტები სათანადო ოპერატიულ-აგენტურული მომზადების გარეშე შეეცდებიან ამ ბრძანების შესრულებას.

ბესიკ ალადაშვილი

# „პარალელური" სპეცსამსახურები

**პარალელიზმი და დუბლირება ყოველთვის არასასურველ მოვლენად აღიქმებოდა. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით სპეცსამსახურების საქმიანობაზე, რადგან დადასტურებულია, რომ ინფორმაციის მოპოვების რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პარალელური წყარო მაღალხარისხიანი საბოლოო ანალიზისა და მოქმედების გეგმის შედგენის გარანტიაა.**

**განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ კერძო სტრუქტურები (სპეცსამსახურების ვეტერანთა კავშირები და ფონდები, დეტექტიური ფირმები და ა.შ.) გაცილებით ოპერატიული და მოქნილია, ვიდრე სახელმწიფოს ოფიციალური სპეცსამსახურები. თანაც, მათი სადაზვერვო მოქმედების გამჟღავნების შემთხვევაში, სკანდალი სახელმწიფო სტრუქტურას კი არა, მხოლოდ კერძო სამართლის სუბიექტს შეეხება და თავიდან იქნება აცილებული საერთაშორისო გართულებები.**

## ეკონომიკური შპიონაჟის „პარალელური სტრუქტურები"

ყველაზე „უწყინრად“ და უსისხლოდ პარალელური სპეცსამსახურები ეკონომიკური და სამრეწველო შპიონაჟის სფეროში მოქმედებენ. მსოფლიოს ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელი ხუთი-ექვსი წელია ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიმჩნევა. თუ აქამდე ეკონომიკური შპიონაჟი, ძირითადად, სახელმწიფოს პრეროგატივა იყო, ხოლო კერძო ფირმები თავიანთ კონკურენტებზე საიდუმლო ინფორმაციის (ფირმის რეალური საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, საბირჟო მანიპულაციები, გაკოტრების საშიშროება და ა.შ.) მოგროვებით შიგადაშიგ „ერთობოდნენ“, ამჟამად უკვე გამოიკვეთა საინტერესო კანონზომიერება. აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ეკონომიკური დაზვერვის ფუნქციების დიდ ნაწილს სპეციალურად შექმნილი კერძო ბიზნესდაზვერვის სააგენტოები და ბიუროები ასრულებენ. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკურ დაზვერვას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. თუ აქამდე სახელმწიფო სპეცსამსახურები ეხმარებოდნენ ეროვნულ კორპორაციებს ინსაიდური (საიდუმლო და წინმსწრები) ინფორმაციის მოპოვებაში (რაც ხშირად ვერ იმალებოდა და მეგობარ ქვეყნებს შორის სერიოზული დაპირისპირების მიზეზი ხდებოდა), ამჟამად ახალშექმნილი ბიზნესდაზვერვის კერძო სააგენტოებს შეუძლიათ ოპერატიულ-აგენტურული მეთოდებით ინფორმაციის მოპოვება, საინფორმაციო ბანკის შექმნა და ინფორმაციით — ამ დღეისათვის ყველაზე ძვირად ღირებული პროდუქციით, ვაჭრობა. ეს სააგენტოები სახელმწიფო სპეცსამსახურების პარალელურად და კოორდინირებულად მოქმედებენ ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. მოიპოვებენ მონაცემებს უცხოური კონკურენტი ფირმების საწარმოო და მარკეტინგული გეგმების, ფინანსური მდგომარეობის, საკადრო შემადგენლობის ძლიერი და სუსტი მხარეების და ა.შ. შესახებ. ასევე მუშაობენ ტოპმენეჯერების გადაბირებაზე.

სააგენტოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორც წესი, სპეცსამსახურების ყოფილი გამოცდილი მაღალჩინოსნები ან ოპერატიული თანამშრომლები მუშაობენ. სხვადასხვა მმართველობით რგოლშიც ბევრია სპეცსამსახურების ყოფილი ოპერატიული თანამშრომელი. „პარალელური სპეცსამსახურები“ აღჭურვილი არიან უახლესი სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურით, რაც განსაკუთრებით აიოლებს ჯაშუშურ საქმიანობას.

## „პარალელური სპეცსამსახურები“ რუსეთში

რუსეთში „პარალელური სპეცსამსახურები“ მთელი ძალით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ამოქმედდნენ. დიდ ქალაქებსა და რეგიონებში იქმნებოდა ფარული სტრუქტურები, რომლებიც მოქმედი ან თადარიგში გასული ოფიცრებისა და სპეცრაზმების ყოფილი მებრძოლებისგან კომპლექტდებოდა.

ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებული „პარალელური სპეცსამსახური“ – ე.წ. „ძმები ლარიონოვების ბანდა“ ვლადივოსტოკში მოქმედებდა. მათ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოახდინეს ბევრი „კანონიერი ქურდისა“ და „ავტორიტეტის“ ლიკვიდაცია. რუსეთის გენპროკურატურა გამოძიების პროცესში მართლაც საოცარ ფაქტებს წააწყდა, – ამ ბანდის წევრები ყოფილი მედესანტეები და სპეცრაზმელები იყვნენ, რომელთაც უმკაცრესი სამხედრო დისციპლინა და წესრიგი ჰქონდათ „სამსახურში“. უახლესი კავშირგაბმულობის ტექნიკა, მოსასმენი აპარატურა, კონსპირაციული ბინები (ე.წ. „ივაკები“) და აგენტურის ფართო ქსელი ამ ბანდას მობილურ სპეცსამსახურად აქცევდა, ხოლო მაღალი ანაზღაურება ბრძოლებში გამოცდილი ოფიცრების გადაბირების საშუალებას იძლეოდა. ამ ბანდაში მუშაობდა გე-ერ-უს ორი პოლკოვნიკი, – წყნარი ოკეანის რუსეთის ფლოტის დაზვერვის აგენტურული სამმართველოს უფროსი ზუბოვი და ოპერატიულ-ანალიტიკური ცენტრის ყოფილი უფროსი პოლუბოიარინოვი.

ბანდის მსხვერპლი, ძირითადად, რუსეთის რეგიონებში მოქმედი სხვადასხვა ეროვნების „კანონიერი ქურდები“ და ავტორიტეტები იყვნენ. „ლარიონოვის ბანდა“ ანადგურებდა იმ ბიზნესმენებსაც, ვინც დამნაშავეთა სამყაროსთან თანამშრომლობდნენ. ბანდა უსმენდა შსს-სა და პროკურატურის მაღალჩინოსნების ტელეფონებსაც და აფერხებდა გამოძიებას.

ამ ფაქტების გახმაურების შემდეგ თავად



ძმები ლარიონოვები ციხეში გაურკვეველ ვითარებაში დახოცეს, პოლუბოიარინოვი და მისი ვაჟი კი ავტომობილში დაახრჩვეს.

## ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობა

ამ კაცმა 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მასთან მეგობრობდნენ როგორც ხელისუფლების, ასევე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. ერთ-ერთ ინტერვიუში ოთარ კვანტრიშვილმა ძალზე თამამი განცხადებაც კი გააკეთა, – გვარი რომ არ მიშლიდეს ხელს, მოსკოვის მერი ხვალვე გავხდებოდიო. მისი შექმნილი „ლევ იაშინის ფონდისა“ და „ასოციაცია XXI საუკუნის“ დიდი ფინანსური რესურსები ზოგიერთი რუსი ჟურნალისტის მიერ ბიზნესისთვის „შეწერილ“ ბანდიტურ ბეგარად ითვლებოდა. ოთარის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, ცნობილი მომღერალი იოსებ კობზონი კი ყოველთვის ამბობდა, ფულს ბიზნესმენები ნებაყოფლობით რიცხავდნენ სპორტის ვეტერანების დასახმარებლადო.

მიუხედავად შეხედულებათა ასეთი განსხვავებისა, ყველა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ კვანტრიშვილი თითქმის ყოვლისშემძლე გახდა. ის უკვე „დიდ პოლიტიკაში“ ჩასაბმელადაც ემზადებოდა. 1994 წელს შექმნა პოლიტიკური პარტია „რუსეთის სპორტსმენები“, რომელსაც საპარლამენტო არჩევნებში უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს კი რუსეთის „პატრიოტების“ გაღიზიანებას იწვევდა, განსაკუთრებით ოთარის ეროვნება. ამიტომ ის კილერებს „შეუკვეთეს“. 1994 წლის 5 აპრილს კრასნოპრესნის ელიტური აბანოდან გამოსულ კვანტრიშვილს მოპირდაპირე შენობის სხვენზე დამალულმა სნაიპერმა სამჯერ ესროლა. კვანტრიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მიმდინარე წლის 7 მარტს რუსეთის გენპროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, 14 წლის შემდეგ დამნაშავეები დაკავებული არიან და საქმე დახურულია. მათი მტკიცებით, კვანტრიშვილისა და ცნობილი რუსი „ავტორიტეტის“, სერგეი ტიმოფეევის („სილვესტრი“) ბიზნესინტერესები გადაიკვეთა და სწორედ მან შეუკვეთა ოთარის მკვლელობა რუსეთის

ბესიკ ალადაშვილი



შპიონაჟის საიდუმლო

დავით აღმაშენებლის აღმოსავლელი მასწავლებლები

როგორ ეწყობა სახელმწიფო გადატრიალება

ინაური გამსახურდიას წინააღმდეგ

რუსეთის ახალი ხაფანგები

რუსეთის სამხედრო დაზვერვა

პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე

როგორ დავიცვათ თავი ფარული მოსმენებისაგან

ტელეპათია – სპეცსამსახურების ყველაზე საიდუმლო იარაღი

ფინეთი სტალინის „ჯიბეში“

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში

ან დარეკეთ 42-43-40; 38-26-73; 38-26-74

და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე

www.elva.ge

შინაგანი ჯარების უფროს ლეიტენანტს, ვინმე კუზმინს, მეტსახელად „ლიოხა-ჯარისკაცს“. ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფლება შეგნებულად უვლის გვერდს მკვლელობის რეალურ მოტივს. თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ კვანტრიშვილის რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით მოკლეს. უშუალო შემსრულებელი კი დიდი ხანია თავადაც მკვდარი იქნება.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, უკვე მიზანში ამოღებულმა კვანტრიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, — არ დაავიწყდეს რუშაილოს, რომ მასაც ჰყავს შვილებიო. იმ დროს ვლადიმირ რუშაილო (მომავალი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი) მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი იყო და მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის გუნდში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

## რატომ მოკლეს დიმა ხოლოდოვი

1994 წლის 17 ოქტომბერს მოსკოვში მოკლეს „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ჟურნალისტი დიმა ხოლოდოვი. მისი სტატიები რუსეთის ძალოვანი სამინისტროებისა და უწყებების კრიტიკით გამოირჩეოდა. ხოლოდოვმა არაერთხელ ამხილა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურებში გაბატონებული კორუფცია. მკვლელობის დღეს ხოლოდოვს უცნობმა დაურეკა და ხელჩანთა გადასცა, სადაც რუსი მაღალჩინოსნების მამხილებელი დოკუმენტები უნდა ყოფილიყო. რედაქციაში დაბრუნებულმა ჟურნალისტმა სწრაფად გახსნა ჩანთა და აფეთქების გამაყრუებელი ხმაც გაისმა. ეს მაღალი დონის პროფესიონალი მენაღმის გაკეთებული იყო.

ამ რეზონანსული მკვლელობის გამოძიებისას რუსეთის გენპროკურატურა შსს-სა და გე-რე-უს კვალზე გავიდა. გაირკვა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 45-ე პოლკში მოქმედებდა სპეციალური დანაყოფი, რომელიც კილერებით იყო დაკომპლექტებული. ბრალი წაუყენეს ექვს პირს, ყველა მათგანი რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების დაზვერვის ოფიცრები იყვნენ. „დოკუმენტები“ მათ გე-ერ-უსგან მიიღეს. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე კერძო დეტექტიური ფირმა „როსის“ ხელმძღვანელები — ყოფილი სპეცრაზმელი კაპუნცოვი და ბარკოვსკი.

2004 წლის ივნისში სასამართლომ ყველა ეს პირი გაამართლა.



დიმიტრი ხოლოდოვი

## რუსეთის „პარალელური სპეცსამსახურები“ დღეს

მე-20 საუკუნის დასასრულს გამჟღავნდა კიდევ რამდენიმე საიდუმლო ფაქტი, რომლებიც ადასტურებს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში შექმნილია და ფარულად მოქმედებს ე.წ. „პარალელური სტრუქტურები“, რომლებიც ოფიციალური ორგანოების შეკვეთითა და დავალებით პოლიტიკურ და სხვა „ბინძურ“ ოპერაციებს ატარებენ. ხშირად ისინი ამოფარებული იყვნენ და არიან საზოგადოებრივი და არასახელმწიფო დაწესებულებებს, — ვეტერანთა კავშირებს, საქველმოქმედო ფონდებს, სპეცსამსახურების ისტორიის შემსწავლელ ორგანიზაციებს და ა.შ.

რუსეთის „პარალელურ“ სპეცსამსახურებში „მოღვაწეობენ“ კა-გე-ბესა და გე-ერ-უს თადარიგში გასული ოფიცრები, ვეტერანები და ბიზნესს შეფარებული მოქმედი რეზერვის ოფიცრები (ე.წ. ოდეერები). რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დე იურე დაემტკიცებინა ის, რასაც დე ფაქტო აკეთებდა; ანუ პოლიტიკური მკვლელობებისა და ტერაქტების ჩატარება (ბუნებრივია, საზღვარგარეთ, თორემ რუსეთში რაც და როგორც უნდათ, იმას აკეთებენ) ოფიციალურად დაეკანონებინა. 2006 წლის ზაფხულიდან რუსეთის სპეცსამსახურების (საგარეო დაზვერვის, ფე-ეს-ბეს, და გე-ერ-უს) სისხლიანი საქმეების დიდოსტატებს უკვე ოფიციალურად შეუძლიათ ტერორიზმსა და სხვა სახელმწიფო დანაშაულში სასამართლო პროცესზე დაუსწრებლად გასამართლებულებისა და სიკვდილმისჯილების განაჩენის სისრულეში მოყვანა. ეს სკანდალური გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა და ნონსენსია. საინტერესოა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მიიღო კატარის დედაქალაქში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ.

რუსეთის სპეცსამსახურებმა 2004 წელს დამოუკიდებელი ჩეჩნეთის (იჩქერიის) რესპუბლიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, შემდგომ კატარში გადახვეწილი ზელიმხან იანდარბიევი მოკლეს.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რუსეთის სპეცსამსახურების „სიკვდილმისჯილთა სიაში“ მოხვდებოდა. არაბული ქვეყნები აქტიურად აფინანსებდნენ და აფინანსებენ ჩეჩენ მებრძოლებს. რუსეთის ოფიციალური პირების შეფასებით, სწორედ იანდარბიევი იყო ის მთავარი მოლარე, რომელიც მაჰმადიანურ სამყაროში ფინანსების შეგროვებისა და შემდეგ ჩეჩნეთში გადაგზავნის ოპერაციას ხელმძღვანელობდა. საინტერესოა, რომ 2004 წლის 13 თებერვლის ტერაქტი პირველი ამ სახის დანაშაული იყო კატარის ისტორიაში. მათ შესაბამისი კანონებიც არ ჰქონდათ და მხოლოდ 16 თებერვალს მიიღეს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ტერაქტების ორგანიზატორებისა და შემსრულებლების სიკვდილით დასჯას ან სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს.

რუსეთის ერთი მოქალაქე, რომელსაც დიპლომატიური პასპორტი აღმოაჩნდა, კატარელებმა მალევე გაათავისუფლეს, ხოლო ორი კი საპყრობილეში ჩასვეს. 2006 წლის დასაწყისში ორი რუსი ტერორისტ-ლიკვიდატორი კატარმა რუსეთის მხარეს გადასცა, რათა სასჯელი რუსეთის სატუსაღოში მოეხადათ.

მოსკოვში ისინი როგორც ეროვნული გმირები, ისე მიიღეს და ადვილი წარმოსადგენია, რა კომფორტულად „იხდიან სასჯელს“.

რუსი კილერების დაკავებისა და სკანდალური სასამართლო პროცესის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, უფრო მოქნილად ემოქმედა და არასასურველი პირების ლიკვიდაციაში სპეცსამსახურებიდან ვითომდა ბიზნესში ან „დამსახურებულ პენსიაზე“ წასული „ვეტერანები“, სინამდვილეში კი კვლავ აქტიურად მოქმედი ოფიცრები ჩართო.

ამიტომაც „პარალელური სპეცსამსახურები“, რომელთაც ფორმალურად არანაირი კავშირი არ აქვთ სახელმწიფო ორგანოებთან, პოლიტიკური მკვლელობების მთავარ შემსრულებლებად იქცნენ.

მორიგი მსხვერპლიც უკვე მონიშნული იყო და ნისლიან ალბიონს აფარებდა თავს.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

*ბესიკ ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ღამის ქორის“ ბოლო ფრენა...

## 2008 წლის აპრილამდე ლეგენდარული თვითმფრინავი „უჩინმაჩინი“ F-117 შეიარაღებიდან მოიხსნება

11 მარტს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა რაიტ-პატერსონში შედგა ლეგენდარული თვითმფრინავის **F-117** „ღამის ქორის“ პირველი არაფორმალური გამოსამშვიდობებელი ცერემონია. მიმდინარე წლის აპრილის მიწურულამდე კუთხოვანი მანქანების მთელი პარკი ისტორიას ჩაბარდება. მისი მთავარი პოზიტიური მხარის – უხილვადობის მიუხედავად, თვითმფრინავი საკმაოდ არასაიმედო იყო მართვისას. 27 წლის განმავლობაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ცხრა **F-117** დაკარგეს, მათგან ოთხი სამხედრო მოქმედების დროს. „ღამის ქორის“ შემცვლელად ასახელებენ იმ თვითმფრინავებს, რომლების ნაკლებამბიციური პროექტების ფარგლებში არიან შექმნილი.



### ყველაფერი ასე დაიწყო

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების აზრით უჩინმაჩინი თვითმფრინავის შექმნის იდეა კომპანია Lockheed Martin-ის სპეციალისტებმა საბჭოთა მეცნიერის, პეტრე უფიმცევის ერთ-ერთი ნაშრომიდან ისესხეს, რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა მოსკოვის რადიოსაინჟინრო ინსტიტუტის ჟურნალში. მასში ჩამოყალიბებული იყო ბრტყელი ზედაპირებიდან რადიოტალღების არეკვლის თეორია. მეცნიერის გამოთვლით, ბრტყელი პანელებისაგან დამზადებული აპარატები, რომლებიც გარკვეული კუთხით არიან დახრილნი, ეფექტიანად არეკლავენ რადიოლოკაციური საშუალებების გამოსხივებას და ამით უზრუნველყოფენ რადიოშენიღბვის მაღალ დონეს. ნაშრომში ნათქვამია ისიც, რომ ბრტყელი პანელებისაგან შექმნილ თვითმფრინავს, შესაძლოა, აეროდინამიკური მახასიათებლების დაქვეითება მოჰყოლოდა. კერძოდ, ავტორი გულისხმობდა მართვის სადავეებისა და ფრენის მდგრადობის დაკარგვას. იმ დროს მსგავსი საფრენი აპარატის შექმნა მართვის ელექტრონული სისტემების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდათ.



თუმცა უკვე გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის პირველი ნიმუშების გამოჩენასთან ერთად ამერიკის წამყვანი თავდაცვითი კომპანიების წარმომადგენლებისათვის სავსებით რეალური გახდა ამგვარი მანქანის შექმნის იდეა. ამერიკული „უჩინმაჩინების“ მთავარი გამომგონებლის, ბენ რიჩის თქმით, სწორედ უფიმცევის წიგნი დაედო საფუძვლად ახალი თვითმფრინავის შექმნას, რომლის პროტოტიპი 1975-76 წლებში ექსპერიმენტული ტექნოლოგიების საიდუმლო კონკურსის გამარჯვებული გახდა.


არსენალი
F-117

ეროვნული ბიბლიოთეკა

1977 წელს აგეს ორი პროტოტიპი, რომლებიც გათვლილ პარამეტრებთან შედარებით 40%-ით მცირე ზომის იყო. 1978 და 1980 წლებში ორივე პროტოტიპი ჩამოვარდა, მაგრამ მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა სრულმასშტაბიანი საცდელი მანქანები YF-117A-LO. სულ აიგო ხუთი ექსპერიმენტული თვითმფრინავი. F-117-ის შემუშავება დაეკისრა კომპანია Lockheed Martin-ის პრესპექტიული სამუშაოების ჯგუფს Skunk Works-ს.


F-117A მართვად ბომბს ისვრის

Skunk Works-მა პირველი მანქანა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებს გამოსაცდელად 1981 წლის 16 იანვარს გადასცა. ექსპერიმენტული პარტიის თვითმფრინავებს 117FSD-ებს უწოდებდნენ. 1983 წელს კი პირველი სერიული თვითმფრინავი შეიარაღებაში შევიდა. ის უკვე F-117A-თი აღინიშნებოდა. სერიული ნიმუში ვიზუალურად განსხვავდებოდა საცდელი YF-117A-LO-საგან კუდის ფრთასხმულობის სიდიდით. მოგვიანებით თვითმფრინავ F-117A-ს „ღამის ქორი“ უწოდეს. ცდების დროს და ექსპლუატაციის პირველი ხუთი წლის მანძილზე თვითმფრინავს „ტარაკანსაც“ ეძახდნენ, – დღისით მუდმივად ანგარში მალავდნენ, რათა „ახალბედა“ საბჭოთა სადაზვერვო თანამგზავრებს არ აღმოეჩინათ. ფრენებს მანქანა მხოლოდ ღამით ასრულებდა.



შეუმჩნევლობის კრიტერიუმით შექმნილმა პლანერის ფორმამ მართლაც გამოიწვია მანქანის აეროდინამიკის მნიშვნელოვანი გაუარესება. ძირითადი პრობლემა დაბალ სიჩქარეზე გამოვლენილი თვითმფრინავის არამდგრადობასა და სუსტ მანევრირებას დაუკავშირდა. ფრენის სტაბილიზაციის აუცილებელი დონის უზრუნველსაყოფად გამოიყენებოდა სპეციალური ელექტრონული სისტემები, მათი მუშაობის ალგორითმი რამდენჯერმე გადამოწმდა ცდების მსვლელობის პროცესში. ცდებმა ცხადყო, რომ სტაბილიზაციის სისტემის გარეშე თვითმფრინავი დაბალ სიჩარეზე უმართავი ხდება და მკვეთრად იზრდება ჩამოვარდნის ალბათობა.

თავდაპირველად, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები რამდენიმე ასეული ასეთი მანქანის წარმოებას გეგმავდნენ, მაგრამ მხოლოდ 59 მანქანა შეიქმნა. ამის მიზეზი იყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. ამ უკანასკნელის მიერ C-300 კომპლექსების ფართო გაშლამ ამერიკის საჰაერო ძალების მეთაურობის დაინტერესება F-117A-ით საგრძნობლად შეამცირა. 1990 წლის ოფიციალური მონაცემების თანახმად, ერთი სერიული თვითმფრინავის ფასი 42,6 მლნ დოლარზე მეტს შეადგენდა. იმ დროისათვის მთელ პროგრამაზე დაიხარჯა დაახლოებით 6,56 მილიარდი დოლარი. შემდგომ (1992 წლის შემდეგ) დამატებით გამოიყო 400 მილიონი მოწყობილობათა მოდერნიზაციის მიზნით. ყველაზე ძვირად ღირებული აღმოჩნდა საიდუმლოების რეჟიმის უზრუნველსაყოფი ღონისძიებებიც. მათი დაფინანსება მთელი პროგრამის ღირებულების 10-15%-ს შეადგენდა. წარმოების ტემპი ნელ-ნელა მცირდებოდა, – ჯერ ოთხი მანქანა წელიწადში, შემდეგ კი მათი რაოდენობა სამამდე დავიდა, ხოლო ამ ტიპის უკანასკნელი სერიული თვითმფრინავი 1990 წლის 12 ივლისს აიგო.

F-117A წარმოადგენს ერთადგილიან ბგერამდელი სიჩქარის ტაქტიკურ დამრტყმელ თვითმფრინავს, რომელიც გამიზნულია ფარული შეღწევისათვის დაბალ სიმაღლეზე საჰაერო თავდაცვის სისტემაში და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახმელეთო სამხედრო ინფრასტრუქტურის (სარაკეტო ბაზები, აერო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დრომები, და სხვ.) ობიექტებზე იერიშის მისატანად, ასევე ჰაერში დღის რადიოლოკაციური თავდაცვის საბრძოლო მორიგეობის თვითმფრინავების გასანადგურებლად.

F-117A თვითმფრინავი დაბლა განლაგებული ფრთით, V-ფორმის ფრთასხმულობით და ფრთაზევითა ჰაერმღობიანი ძრავათია აღჭურვილი. მის კონსტრუქციაში ფართოდ გამოიყენება ე.წ. „ფასეტიანი" ფორმები (FACETTE (ფრანგ.) – წახნაგი), რომლებიც უზრუნველყოფენ გაფანტვის ზედაპირის ეფექტიანობის შემცირებას. ფიუზელაჟს აქვს უჩვეულო სამკუთხა კონფიგურაცია. კაბინის ზევით არსებული ფარანი ერთიან კონსტრუქციაში ჯდება. შემინული კაბინის ხუთ პანელს აქვს მრავალშრიანი ელექტროგამტარი ოქროს შემცველი გადაფარვა რადიოლოკაციური გამოსხივებისაგან კაბინის შიგნითა მოწყობილობებისა და მფრინავის აღჭურვილობის დასაცავად. F-117A-ის ფრთა ისრისებური და ტრაპეციული ფორმისაა (67.5 გრადუსი).



ერთადგილიანი F-117A-ის კაბინა მხოლოდ წინ ხედვის საშუალებას იძლევა. მის უკან, ფიუზელაჟის თავზე, განლაგებულია ფრენის დროს საწვავგასამართი სისტემა, რომელიც ღამით კაბინის თავზე არსებულ შვერილში განლაგებული ფარით ნათდება. წევის ავტომატი თვითმფრინავს საშუალებას აძლევს რამდენიმე წამის სიზუსტით იარაღის გამოყენების ზღუდეზე (ზღვარზე) გადავიდეს. მანქანა აღჭურვილია ნავიგაციის, სამიზნის გამოვლენისა და თანხლების ელექტროოპტიკური სისტემითაც.

F-117A-ის ძირითადი კონსტრუქციული მასალის სახით გამოიყენება ალუმინი, ტიტანის პანელებით ძრავასა და გამოსაბოლქვი სისტემის ადგილას. თვითმფრინავის უკანა ნაპირი კერამიკული ფილებით არის დაფარული, რომლებიც გამონაბოლქვი აირის სითბოს აირეკლავს.

ჰაერმღობები დაფარულია სპეციალური ბადეებით, რომლებიც უზრუნველყოფს რადიოტალღების ჩახშობას. ამგვარად არის დაცული გამოსხივებისაგან ძრავას გამოსაბოლქვი საქშენიც. რადიოკავშირის ანტენები და გამოსხივების სხვა ხელსაწყოები პლანერის ფიუზელაჟზე არ არის. მთელი პლანერი დაფარულია რამდენიმე სახის რადიოჩამხშობი მასალით RAM. საფარი შედგება მაგნიტურ-დიელექტრიკის ნაწილაკებისა და პოლიმერებისაგან.

თვითმფრინავის ზედაპირი და შიგნითა ფოლადის ელემენტები შავი ფერომაგნიტური საღებავით არის შეფერილი, რომელიც აძლიერებს „უჩინმაჩინის" ეფექტს.

F-117A-ზე დაყენებულია ორკონტურიანი ტურბორეაქტიული ძრავა General Electric F 404-Ge-F1D2. ვიწრო საქშენი ქმნის ბრტყელი ფორმის გამონაბოლქვის ნაკადს, რაც უზრუნველყოფს მის სწრაფ გაგრილებას. აქვს სამსაყრდენიანი შასი აირზეთოვანი ამორტიზატორებით და ფრთის კონსტრუქციაში ჩაყენებული საწვავის ავზი.

F-117A-ს დამუშავების ღირებულების შესამცირებლად გამოყენებულია სხვა არსებული თვითმფრინავების ტექნიკური გადაწყვეტილებები, კვანძები და აგრეგატები. ძრავები და სხვა ხელსაწყო-მოწყობილობები აღებულია F/A-18-საგან, მართვის სისტემა F-16-საგან, ასევე გამოყენებულია უკვე მოძველებული მანქანების (SR-71, T-33, C-130) ზოგიერთი ელემენტი.

## პირველი ნაბიჯები

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურობამ F-117 პირველად 1999 წელს, პანამაში შეჭრის დროს გამოიყენა. ორი მანქანა ტონოპას აეროდრომიდან აფრინდა. ფრენისას საწვავით რამდენჯერმე გამართვის შემდეგ პანამის საზღვრებს მიაღწიეს. F-117A-ს იერიში უნდა მიეტანა რიო-ხატოს მახლობლად მდებარე სამხედრო-საჰაერო ბაზაზე და ყაზარმებზე, მაგრამ მაშინ მათ ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლეს.

1991 წელს სპარსეთის ყურეში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებისას თვითმფრინავებმა F-117A შეასრულეს 1300-მდე გაფრენა და დარტყმა მიაყენეს დაახლოებით 1600-მდე ობიექტს ერაყში. სამხედრო მოქმედებების დროს გამოიყენებოდა 42 მანქანა, რომელთა ანგარიშზეა პირველი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარე საჰაერო კამპანიისას დაზიანებული სამიზნეების 31%. F-117A იყო კოალიციის ერთადერთი თვითმფრინავი, რომელიც გამოიყენებოდა ბაღდადის ცენტრზე იერიშის მისატანად.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სერბების მიერ ჩამოგდებული „ღამის ქორი"

1999 წლის 27 მარტს, იუგოსლავიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებისას, თვითმფრინავი F-117A საბორტე ნომრით 82-806, სერბეთის საჰაერო თავდაცვის 250-ე ბრიგადის მე-3 ბატარეის C-125 კომპლექსის „პეჩორამ" ჩამოაგდო (მეთაური – პოლკოვნიკი დანი ზოლტანი). NATO-ს მეთაურობის განცხადების თანახმად, თვითმფრინავი მოწყვლადი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ სერბული მოძველებული C-125 კომპლექსი გრძელ ტალღებზე მუშაობდა, მაშინ როდესაც F-117A კონსტრუირებული და გათვლილი იყო თანამედროვე მოკლეტალღურ რადიოლოკაციურ სისტემაზე. ამან მისცა საშუალება საჰაერო თავდაცვის სერბულ საშუალებებს აღმოეჩინათ და ჩამოეგდოთ „უჩინმაჩინი". პოლკოვნიკი ზოლტანი კი ამტკიცებდა, რომ ეს ამერიკელი პილოტების თავდაჯერებულობამ და დაუდევრობამ გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ F-117A-ები ფრენებს ერთსა და იმავე დროსა და მარშრუტზე ასრულებდნენ, ამიტომაც სერბებმა მოახერხეს „ჩასაფრება", ერთ-ერთი მანქანის გამოვლენა და განადგურება, რის შემდეგადაც ფრენის რეჟიმი მყისიერად შეცვალეს.

F-117A გამოიყენებოდა ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციებისას. ზოგიერთი შეფასებით ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა საბრძოლო მოქმედების დროს დაკარგეს 4 მანქანა. პირველი F-117A (არა საბრძოლო) ჩამოვარდა 1982 წლის 20 აპრილს. მაშინ აშშ-ის ავიაციამ დაკარგა პირველი სერიული თვითმფრინავი. ავარიის მთავარი მიზეზი ფრენის მართვის სისტემის გაუმართაობა იყო, რამაც აფრენისას თვითმფრინავის ამოყირავება და აალება გამოიწვია.

მეორე ავარია 1986 წლის 11 ივნისს, ღამით მოხდა, როდესაც მთის მწვერვალს შეასკდა სერიული F-117A-ს რიგით მერვე თვითმფრინავი. მფრინავი დაიღუპა. კატასტროფის მთავარ მიზეზად ადამიანური ფაქტორი დასახელდა. ინციდენტის მისაჩქმალავად თვითმფრინავის ყველა ნამსხვრევი შეაგროვეს და მათ ნაცვლად ძველი თვითმფრინავის F-101A Voodo ნაწილები დაყარეს.

მესამე „ღამის ქორი" 1987 წლის 14 ოქტომბერს ღამით, კვლავ ადამიანური ფაქტორის გამო, ნელისის ავიაბაზის პოლიგონზე ხმელეთს შეეჯახა. ეს იყო 31-ე სერიული თვითმფრინავი. ავარიის მიზეზად პილოტის მიერ ღამის პირობებში ორიენტაციის დაკარგვა დასახელდა.

ავარიების გამო აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურობამ გადაწყვიტა, თვითმფრინავი დღისით გამოეყენებინა. 1988 წლის 10 ნოემბერს პენტაგონმა ოფიციალურად აღიარა „უჩინმაჩინი" თვითმფრინავის არსებობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეცვალა ღამის ფრენები დღისამ. აქამდე ის მხოლოდ ღამით დაფრინავდა და მხოლოდ ტონოპას ბაზიდან. F-117A-ის პირველი საჯარო დემონსტრაცია 1990 წლის 21 აპრილს, ნელისის ბაზაში შედგა.

1992 წლის 4 აგვისტოს ხანძრის შედეგად განადგურდა 18-ე სერიული მანქანა. 1997 წლის 14 სექტემბერს ავიაშოუს დროს ერთ-ერთ F-117A-ს ფრენისას ფრთა მოსძვრა. თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაშავდა 6 კაცი. პილოტმა მოასწრო კატაპულტირება. 1999 წლის შუა პერიოდამდე ექსპლუატაციიდან ამოიღეს ცხრა F-117A.

ამჟამად ერთი „ღამის ქორი" ნელისის ავიაბაზის შესასვლელში პოსტამენტზე დგას, ხოლო მეორე რაიტ-პატერსონის ავიაბაზის მუზეუმში. ბელგრადის მუზეუმში ინახება სერბების მიერ ჩამოგდებული F-117A-ის ნაწილები.

მიუხედავად წარმატებული ექსპლუატაციისა, თვითმფრინავი, რომელიც 27 წელზე მეტი ხნისაა, უკვე მოძველდა. პირველი „უჩინმაჩინები", რომლებმაც თავიანთი რესურსი ამოწურეს, შეიარაღებიდან 2007 წლის მარტში მოიხსნა.

F-117A-ს შეცვლას მრავალმიზნობრივი თვითმფრინავი F-22 „რაპტორითა" და F-35-ით აპირებენ, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება ბრძოლის წარმოების თანამედროვე მოთხოვნილებებს, უპირველესად ანტიტერორისტული ოპერაციების დროს.

**„ღამის ქორები" უსაქმოდ რჩებიან, თუმცა, შესაძლოა, ამერიკელებმა მეგობარ ქვეყნებს გადაუნაწილონ. მართალია საქართველოც შედის ამ მეგობართა სიაში, მაგრამ ვეჭვობთ, რომ F-117-ები ოდესმე ქართული შვიდქიმიანი ვარსკვლავით ბორტდამშვენებულები იფრენენ...**



ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი" ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება. (დასაწყისი იხ. „არსენალი" №11)

# ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

### შვეიცარიელების სამხედრო გამოცდილება

შვეიცარია ევროპის შუაგულში მდებარეობს და მთიანი ლანდშაფტის გამო ის თავისებურ სასაზღვრო რეგიონს წარმოადგენს. შუა საუკუნეებში შვეიცარიით დიდად იყვნენ დაინტერესებული მისი მეზობელი სახელმწიფოები, ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე სამხრეთისაკენ მიმავალი გზების გამო. ამ გზებზე მიმოსვლის ინტენსივობამ მოგზაურთა დაბეგვრის ინტერესიც გააჩინა, რამაც თავისუფლებისმოყვარე შვეიცარიელებსა და ავსტრიელ ჰაბსბურგებს შორის კონფლიქტი გამოიწვია. 1291 წელს სამმა კანტონმა (ადმ. ერთეული) — ურიმ, შვეისმა და უნტერვალდენმა საერთო თავდაცვის თაობაზე შეთანხმება მიიღეს.

1315 წელს მთიელებსა და ჰაბსბურგებს შორის დაპირისპირება ლეოპოლდ ავსტრიელისათვის ჯარის შეკრებისა და მთებში გალაშქრების საბაბად იქცა. მისი არმია 1000 მხედრისა და 2000 ქვეითი ჯარისკაცისაგან შედგებოდა. ალებარდებითა და არბალეტით შეიარაღებულმა შვეიცარიელებმა მორტჰანტერთან მას გზა გადაუჭრეს. როდესაც ავსტრიელების კოლონამ სვლა შეანელა, დაახლოებით 1000 შვეიცარიელი ხშირი ბუჩქნარით დაფარული მთის ფერდობებზე გამოჩნდა. მათ ქვების და ხის მორების სროლა დაიწყეს, შემდეგ კი კავალერიას შეუტიეს. სანამ შვეიცარიელები მხედრობას ანადგურებდნენ, ავსტრიელი ქვეითები უკანმოუხედავად გაიქცნენ. ლეოპოლდის ჯარმა მარცხი განიცადა. გამარჯვებით გახარებულმა ქალაქ ლუცერნისა და ბერნის მოსახლეობამ შვეიცარიელების კონფედერაციაში შესვლა მოისურვეს. გაერთიანება საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლდათ და მეზობელი ქვეყნებისა თუ ქალაქების უკმაყოფილება გამოიწვია. მეტოქე ქალაქ ფრაიბურგის შეშფოთებულმა ნობილიტეტმა ბერნზე გალაშქრება გადაწყვიტა, თუმც 1339 წელს ლაუპენთან შვეიცარიელებმა მათი სამხედრო ძალები სრულიად გაანადგურეს. თავიდან მხედრობა ახერხებდა კანტონების შეტევის შეკავებას, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლეს. ბერნელებმა ფრაიბურგელი ფეხოსნები გაანადგურეს, გადავიდნენ მათ ფლანგზე და ცხენოსნებიც დაარბიეს. მიუხედავად ამისა, ავსტრიელები არ ეპუებოდნენ მარცხს. შემდეგი ავსტრიული ლაშქრობის მონაწილეებს ღირსეულად დახვდნენ შვეიცარიელები 1386 წელს, ზემპახთან. ალებარდებით შეიარაღებულმა შვეიცარიელებმა შემაღლებული ადგილი დაიკავეს. ამჯერად ავსტრიელი რაინდები ქვეითად აპირებდნენ ბრძოლას. კარგად შეიარაღებულმა და თავდაცვაში უკეთ ორგანიზებულმა რაინდებმა შეავიწროეს შვეიცარიელები და ლუცერნიც აიღეს. მაგრამ ლეოპოლდ მესამემ არ იცოდა, რომ საქმე ჰქონდა შვეიცარიული არმიის მხოლოდ ერთ დივიზიონთან. როდესაც მათ დამხმარე ძალა დაემატათ, შვეიცარიელების ძირითადმა ნაწილმა მომხდურთა ფლანგს შეუტია. ავსტრიელები დამარცხდნენ, ლეოპოლდი კი დაიღუპა.

ამის შემდეგ შვეიცარიელები თავად იქცნენ დამპყრობლებად, რომლებიც ცდი-



ტრიფელსის ციხესიმაგრე, სადაც ლეოპოლდ ავსტრიელს რიჩარდ ლომგული ჰყავდა დატყვევებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდნენ, თავიანთი კანტონებისათვის მიეერთებინათ მიმდებარე მთიანი ტერიტორიები. ამ მიზნით, 1422 წელს, მილანის საჰერცოგოზე თავდასხმა ბრძოლაში გადაიზარდა. შვეიცარიელებს მხოლოდ 4000 კაცი ჰყავდათ (მესამედი შუბოსნები და ორი მესამედი მეარბალეტე). როდესაც იტალიური კავალერია მოწინააღმდეგის შუბებს წამოეგო, გამოცდილმა მეთაურმა კარმანოლამ შვეიცარიელების ფლანგს მეარბალეტეები მიუსია, ხოლო ქვეითად მებრძოლი მძიმედ შეიარაღებული მხედრობა ცენტრისაკენ გაგზავნა ეშელონებად. სასტიკ ბრძოლაში უპირატესობა თანდათან იტალიელებმა მოიპოვეს, მაგრამ ამ დროს იტალიელების ფლანგზე გამოჩნდნენ შვეიცარიელი მეფურაჟეები. კარმანოლას ეგონა, რომ მათ შვეიცარიელების ძირითადი ძალა მოჰყვებოდა კვალში და ამიტომ უკან დახევა გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქად შეიარაღებულმა შვეიცარიელებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, ამ ბრძოლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაზარდეს შუბოსნების რიცხვი, რადგან ალებარდებით მებრძოლ მეომრებთან შედარებით, მოკლე იარაღი რაინდებს მტერთან მაქსიმალურად მიახლოების საშუალებას აძლევდა. მათ ჰქონდათ უკეთესი შეიარაღებაც და საჭურველიც, რის გამოც უადვილდებოდათ მოწინააღმდეგის დამარცხება.

1444 წელს სენ-ჟაკობან-ბირთან შვეიცარიელების არმიას ფრანგებთან მოუწიათ შერკინებამ. ამ დროისათვის შვეიცარიელების ჯარი უმეტესად შუბოსნებისაგან შედგებოდა. რიცხობრივად გაცილებით მცირე შვეიცარიელებმა იერიში ფრანგთა ცენტრზე მიიტანეს, შემდეგ კი შილტრონის მწყობრში მოეწყვნენ და შუბები წინ მიმართეს. ფრანგთა კავალერია რამდენჯერმე თავს დაესხა მათ, შუალედებში კი დისტანციური ბრძოლის იარაღით უმასპინძლდებოდა, მაგრამ ამაოდ, — მთიელები შეუპოვრად აგრძელებდნენ წინააღმდეგობას. ბრძოლა გამარჯვებულის გამოვლენის გარეშე დასრულდა. ტაქტიკური თვალსაზრისით, შვეიცარიელები არც ისე ძლიერი იყვნენ. მათ ჰყავდათ მეარბალეტეთა რაზმები და არცთუ ისე ძლიერი მხედრობა. ძლიერი კავალერიის შექმნა მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც კავშირი შეკრეს ლოთარინგიის ჰერცოგთან. შვეიცარიელების ძირითადი ძალას წარმოადგენდნენ შუბოსნები, რომლებიც, როგორც წესი, სამ ნაწილად იყოფოდნენ: ფორჰუტი, ანუ ავანგარდი, ძირითად ნაწილს გევალტჰუტი და არიერგარდი — ნაჰუტი ქმნიდნენ. თითოეულ ფორმირებას ხელმძღვანელობდა იმ კანტონის ყველაზე მნიშვნელოვანი პირების კომიტეტი, რომლის მცხოვრებნიც შეადგენდნენ ამ ნაწილს. სტრატეგიას ბრძოლის წინ იმუშავებდნენ, თანაც, ძალზე დემოკრატიული პრინციპით. საბრძოლო გეგმას, ძირითადად, სიმამაცისა და თავდადების წყალობით ასრულებდნენ. ბრძოლაში სამ ეშელონად გაშლა ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ გაცილებით უფრო ეფექტიანი იყო შვეიცარიელებთან, რადგანაც ისინი სიღრმისეულ მწყობრში ეწყობოდნენ და არ ჰქონდათ მძიმე აღჭურვილობა, რაც საშუალებას აძლევდათ, სწრაფად მოებრუნებინათ კოლონები. ამასთან, შვეიცარიელების ჯარში უმკაცრესი დისციპლინა იყო, რაც ერთიან, შეკრულ სისტემას ქმნიდა. ასე რომ, როდესაც ერთი კოლონა თავის პოზიციაზე მოწინააღმდეგეს ამარცხებდა, ის მეორის დასახმარებლად გადადიოდა.




## კარლოს მამაცი

ბურგუნდიის ჰერცოგმა კარლოს მამაცმა 1463 წლიდან დაქუცმაცებული, მაგრამ საკმაოდ დიდი სამფლობელო მიიღო მემკვიდრეობით. ამიტომაც კარლოსმა მისი გაერთიანება და გაძლიერება დაისახა მიზნად. მისი გეგმის ხორცშესხმას ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, საფრანგეთის მეფე, მეორე მხრივ კი — გერმანიის იმპერატორი. კარლოსმა არმიაში საუკეთესო მეომრებს მოუყარა თავი. იტალიელებმა გამოუყვეს მძიმედ შეიარაღებული კავალერია, ქვეითი მეარბალეტეები, ცეცხლსასროლი იარაღის მსროლელები და შუბოსნები. კარლოსი აგროვებდა ინგლისელ მხედარ მშვილდოსნებს, რომლებიც საუკეთესონი იყვნენ ევროპაში, ფლამანდიიდან კი შუბოსნები მოიწვია. არტილერიის რაოდენობამ 500 ზარბაზანს გადააჭარბა. 1471 წლიდან, ყოველ წელიწადს, საგანგებო ბრძანებებით განისაზღვრებოდა არმიის გაშლა.

კარლოსის მიზანი იყო, მოეხდინა ყველა სახის ჯარის ინტეგრაცია და უზრუნველეყო არმიის ურთიერთშეთანხმებული მოქმედება. მაგალითად, შუბოსნები მშვილდოსნებთან ერთად იბრძოდნენ, მხედარი მოისარნი კი მძიმედ აღჭურვილი კავალერიის თანხლებით მოქმედებდნენ. არტილერია პოზიციებზე ისე იყო განლაგებული, რომ მოწინააღმდეგის მიმართ კუთხეს ქმნიდა. როგორც ჩანს, კარლოსმა ეს მანევრი ფრანგებისგან გადმოიღო და წარმატებით გამოიყენა კასტილიონთან, 1453 წელს (ამ შეტაკებით დასრულდა ასწლიანი ომი), როდესაც ზარბზნებმა დიდი დარტყმა მიაყენეს ინგლისელთა მოიერიშე ჯარს.

სამწუხაროდ, სისტემა სირთულის გამო ბევრ უარყოფით ნიუანსსაც შეიცავდა. მიუხედავად ჯარის საუკეთესო მომზადებისა, წარმატების მოსაპოვებლად საჭირო იყო კარგად შეთანხმებული მოქმედება.

კარლოსმა დროს დაახლოებით 150 წლით გაუსწრო. მან შუბებითა და მუშკეტებით შეიარაღებული მეომრებისაგან შემდგარი პატარა ბატალიონები, ასევე, ხშირი ზალპის მსროლელი არტილერია და კავალერიის დროული და შეთანხმებული მოქმედება გამარჯვების საწინდარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბინაციად ექცია. ერთი სიტყვით, საჭირო იყო დრო შეიარაღებისათვის და დისციპლინის განსამტკიცებლად, ამის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

## ბურგუნდიელები შვეიცარიელების წინააღმდეგ 1476-1477 წწ. – გრანსონი, მურტენი, ნანსი

შვეიცარიელების სამხედრო წარმატება სამმა შეტაკებამ განაპირობა, რომლებმაც მათ კარლოსის „ულტრათანამედროვე“ არმიაზე გამარჯვება მოუტანა. 1476 წელს კარლოსმა დაიპყრო შვეიცარიელების კუთვნილი ქალაქი გრანსონი, ხოლო გარნიზონის ჯარისკაცები ჩამოახრჩო. ქალაქის გადასარჩენად მომავალი შვეიცარიელები არ დალოდებიან ჯარის სრულ მობილიზებას, ისე გადავიდნენ შეტევაზე. მათ შესაფერხებლად კარლოსმა მძიმედ შეიარაღებული კავალერია ორჯერ გადაისროლა. შემდეგ ბურგუნდიელებისგან შემდგარ ცენტრს უბრძანა, უკან დაეხია, რათა შვეიცარიელებს იერიში არ მიეტანათ. კარლოსმა არტილერია გამოიყენა მტრის შუბოსნების გასანადგურებლად და შემდეგ შუბოსნებითა და მშვილდოსნებით შეავიწროვა ისინი. ამ დროს ბრძოლის ველზე გამოვიდა შვეიცარიული ჯარის ძირითადი ბირთვი და არიერგარდი. დანარჩენები, კერძოდ კი შუბოსნები, მთის ფერდობზე იყვნენ ჩასაფრებული. ცენტრის მოულოდნელი უკან დახევით დაბნეული ბურგუნდიელებიც მათ მიჰყვნენ. კავალერიის არყოლა ხელს უშლიდა შვეიცარიელებს, დადევნებოდნენ მათ. შეტაკება უშედეგოდ დასრულდა.

ამის შემდეგ კარლოსმა ისევ მოამზადა უფრო დიდი არმია და შვეიცარიელების წინააღმდეგ დაიძრა. ბერნისაკენ მიმავალმა ალყა მურტენს შემოარტყა. ფიქრობდა, რომ შვეიცარიელები ქალაქის დასახსნელად გამოვიდოდნენ. კარლოსმა ბანაკის წინ რამდენიმე მესერი ააგებინა, რომლის უკანაც ზარბაზნები განალაგა. შვეიცარიელებს 25 ათასი კაცისაგან შემდგარი არმია და რამდენიმე ასეული მხედარიც ჰყავდათ. მათ რენე ლოთარინგიელი მეთაურობდა. როგორც ჩანს, მათ გათვალეს იერიშის მიტანის დრო, რადგან როდესაც მესერს მიუახლოვდნენ, მათ ფლანგები დაუცველი დახვდათ. მეომრები სასადილოდ იყვნენ წასული. ზარბაზნები ვერ ასწრებდნენ გადატენვას, ფლანგებზეც ძალზე ცოტა მეომარი იდგა, რომ შუბოსნების შეტევა მოეგერიებინათ, რომლებმაც გაარღვიეს წინაღობა და ბანაკისაკენ დაიძრნენ. ბურგუნდიელები ეშელონებად ხვდებოდნენ მათ, მათ მოიერიშეები ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდნენ და ბოლოს მტერი ბანაკის უკან მდებარე ტბასთან მოიმწყვდიეს. ბრძოლის ბედი შვეიცარიელების მხარეს გადაიხარა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მარტივ ტაქტიკასა და ძლიერ ზეწოლას შეუძლია გამარჯვება ყველაზე ორგანიზებულ და კარგად შეიარაღებულ სამხედრო ძალაზეც კი მოიპოვოს.



კარლოსი ვერ ეგუებოდა მარცხს. მან კვლავ შეუტია შვეიცარიელებს, მაგრამ ამჯერად სამოქმედოდ ზამთარი აირჩია. 1476-1477 წწ. ის ნანსს გარს შემოერტყა. იანვარში ქალაქს შვეიცარიელების დებლოკირებული ძალები მოადგნენ. კარლოსს მხოლოდ 5000 კაცი ჰყავდა, ჰერცოგ ლოთარინგიელს 12000 და კიდევ 10000 შვეიცარიელი. კარლოსმა თავდაცვითი ტაქტიკა აირჩია და ისე განლაგდა, რომ მარცხენა ფლანგზე მდინარე მერტი, ხოლო მარჯვენაზე – ტყე ესაზღვრებოდა. ფრონტის წინ კი პატარა ნაკადული მოჩუხჩუხებდა. თუმც ვერც ამან შეძლო მისი გადარჩენა. შვეიცარიულმა ავანგარდმა კარლოსს მარჯვენა მხრიდან, ტყის გავლით მოუარა, მაშინ როდესაც მოიერიშეთა ძირითადი ბირთვი და მათი არიერგარდი ცენტრს უტევდა. ბურგუნდიულმა ჯარმა ვერ გაუძლო, გაიფანტა და თავად კარლოსიც დაიღუპა. შვეიცარიელების სახელი მთელ ევროპაში გავრცელდა, მათ დაუმარცხებლობაზე ლეგენდებს თხზავდნენ, ხოლო მედგარი შუბოსნები მისაბაძ მაგალითებად იქცნენ. ასე რომ, ფლამანდიელმა შუბოსნებმა და გერმანელმა ქვეითებმა მათი გამოცდილების გაზიარება დაიწყეს. ფრანგებმა ზოგიერთი შვეიცარიული კანტონებიდან შუბოსნების რეკრუტირებაც სცადეს. XV საუკუნის დასასრულს შვეიცარიელები ყველაზე სასურველ დაქირავებულ ჯარისკაცებად იქცნენ.

თანამედროვენი დარწმუნდნენ, რომ შუბოსნების მოწინავე რიგებში ელიტის წარმომადგენლების ჩაყენება, რომლებსაც სახიფათო მომენტში ბრძოლის ველის დატოვების შესაძლებლობა ერთმეოდათ და რიგით ჯარისკაცებთან ერთად მიდიოდნენ იერიშზე, შვეიცარიელებს მორალურ უპირატესობას ანიჭებდა სხვას ფეხოსნებთან შედარებით. როდესაც მოწინააღმდეგემაც შექმნა შუბოსნების რაზმები, შეტაკებები გაცილებით უფრო სისხლისმღვრელი გახდა. შვაბის ომის დროს, 1499 წელს, ერთნაირად შეიარაღებული და ორგანიზებული გერმანელების რაზმებმა შეძლეს შვეიცარიელების იერიშის შეკავება და ეს ომი შვეიცარიელებს მხოლოდ თავდადებამ და გამარჯვების სურვილმა მოაგებინა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასასინები

## მკვლელთა საიდუმლო ორგანიზაცია



ალამუთის ციხესიმაგრის ნანგრევები დღეს

გაგრძელება
დასაწყისი იხ. „არსენალი“ №6

ტიტულ და უფლებამოჩამორთმეული ჰასანი ჩრდილოეთში გადაასახლეს. იმ დღიდან შურისძიება იქცა მისი ცხოვრების არსად და მიზნად. იმ დღიდან დაიწყო ჰასან იბნ ას-საბაჰმა თავისი ძლევამოსილი იმპერიის საძირკვლის ჩაყრა. ლეგენდა მოგვითხრობს, როგორ დაეპატრონა ჰასანი ალამუთის ციხესიმაგრეს. მან ქალაქისთავს სთხოვა, მიეყიდა მისთვის იმხელა მიწის ნაკვეთი, რასაც ხარის ტყავი შემოსწვდებოდა. ქალაქისთავმა გაიცინა და დათანხმდა. ჰასანმა ნასყიდობის საბუთის გაფორმება მოითხოვა. მალე პერგამენტზე ორივე მხარემ და მოწმეებმა საბუთზე ხელი მოაწერეს. მხარის მბრძანებელს, როცა ფულს ითვლიდა, სახიდან დამცინავი ღიმილი არ მოსცილებია, თუმცა მაშინვე ფერი ეცვალა, როცა ჰასანმა ხარის ტყავის თხელ თასმად დაჭრა ბრძანა. ჰასანმა გრძელი ტყავის თასმა ციხესიმაგრეს შემოავლო და ამ ხერხით თავის საკუთრებად გამოაცხადა. მხარის მმართველმა, რა თქმა უნდა, ქოში უკულმა ყარა, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ მყიდველს დაუჭირა მხარი, — განა ნასყიდობის საბუთი წესის დაცვით არ გაფორმდა? განა მმართველმა ნებით არ გაასხვისა მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე უძრავი ქონება? განა მან არ მიიღო ფული?..

იმ დროისთვის ჰასანს უკვე ჰყავდა მიმდევრები მთელ ქვეყანაში. თავად ისმაილიტი, თავის ერთგულ ხალხს არაორაზროვნად მიანიშნებდა ხოლმე, რომ მან ამოხსნა სარწმუნოების იდუმალი აზრი და ღვთაებრივ საიდუმლოს ჩასწვდა და რომ სამოთხე, რომელსაც წინასწარმეტყველი მართლმორწმუნეებს სიკვდილის შემდეგ ჰპირდება, ჰასანს შეუძლია სიცოცხლეშივე ანახვოს მოკვდავთ. ამისათვის მხოლოდ ორი რამ არის საჭირო, — ჰასანის შეურყეველი ერთგულება და უსიტყვო მორჩილება. ის, ვინც მისი ერთგულია, ალაჰის ერთგულიც არის.

მაგრამ ჰასანი „სამოთხის კარს“ მხოლოდ ყველაზე სანდო და რჩეულ ქვეშევრდომებს ულებდა. როცა ჰასანმა თავისი გეგმის ხორცშესხმას მიჰყო ხელი, კარგად იცოდა, რომ წაუგებელი თამაში წამოიწყო. უმაღლეს სასამართლო ინსტანციებში მას ჰყავდა ისეთი ხალხი, რომლებიც არამცთუ გაამრუდებდნენ სამართალს, არამედ მის ნებისმიერ სურვილს უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ.

დღეს სოციოლოგები ამ მოვლენას, ინდივიდის განსაზღვრული სოციალური როლისკენ თანდაყოლილ მიდრეკილებას უწოდებენ. არსებობენ პიროვნებები, რომელთა ხასიათის თავისებურებები მათ ლიდერობისკენ უბიძგებენ, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც არა მარტო მორჩილებისკენ არიან მიდრეკილი, არამედ მორჩილებაში ხედავენ თავიანთ ჭეშმარიტ სოციალურ როლს და ფსიქოლოგიურ კომფორტს ამით იქმნიან. სწორედ ამ ტიპის ადამიანებში პოვა ჰასანმა მიმდევრები.

არავინ იცის, რამდენად ჰქონდა მას გაცნობიერებული ეს ფსიქოლოგიური მექანიზმი, მაგრამ ფაქტია, — ინტუიციით სწვდებოდა მის აზრს. ხვდებოდა, იმ ავტორიტეტსა და ძალაუფლებას, რომელიც მოიპოვა, გამყარება სჭირდებოდა ისეთი მაგალითით, რომელიც გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრე სიტყვა.



ძველი მინიატურა — „ჰასანის სამოთხეში“ მოხვედრილი რჩეულები ჰურიათა გარემოცვაში

სიტყვას საქმით განმტკიცება სჭირდებოდა.

— ფარიდ, — უთხრა ერთხელ ერთ თავის მიმდევარს, — უფლისგან მინიშნება მივიღე. მსურს, წყალობა მოგაგოთ შენ და აჰმადს. ამცნე ეს მას. თქვენ სამოთხეს იხილავთ. ამ საღამოს ჩემთან გელით ორივეს.

ციხესიმაგრის ერთ-ერთ დარბაზში სტუმრებს დიდებული სუფრა ელოდა. თვით ჰასანმა გაინაწილა ტრაპეზი მათთან, თუმც მისი ღრმააზროვანი სიტყვები სტუმართათვის მიუწვდომელი იყო. უხერხულად შეიშმუშნენ სტუმრები, როცა სუფრაზე ღვინო მოიტანეს, რადგან წინასწარმეტყველი მართლმორწმუნეთ უკრძალავს ღვინის დალევას. მაგრამ მოძღვარმა ბრძანა, რომ არსებობს ორი ჭეშმარიტება: ერთი — მდაბალთათვის, მეორე — რჩეულთათვის. ის, რაც ულირსთათვის აკრძალულია, მათთვის, რჩეულთათვის, ვინც უფლისგან უკვე მოიპოვა სულის კურთხევის უფლება, ნებადართულია. მოძღვრის სიტყვებს სხვა საიდუმლო მნიშვნელობაც აქვს, დროთა განმავლობაში ისინი ჩაწვდებიან მათ არსს. მალე სტუმრებმა იმის გაგების უნარიც დაკარგეს, სად იყვნენ და რა ხდებოდა მათ თავს. ან ღვინო იყო ერთობ მათრობელი, ან ბანგი იყო მასში გარეული. სტუმრებს ქუთუთოები დაუმძიმდათ და ძილს მისცეს თავი.

არანაკლებ საოცარი და სასიამოვნო იყო მათი გამოღვიძებაც. როცა ფარიდმა ადრიან დილით თვალი გაახილა, ბაღში იყო. მიიხედ-მოიხედა, ლელვის მწიფობის დრო ჯერ არ დამდგარიყო, მან კი მწიფე ნაყოფით დახუნძლული ლელვის ხეები დაინახა. იქვე ვარდისფერი, მწიფე ატმებით მსხმოიარე ხეები დალანდა, მერე ქარვისფერი ყურძენი, მწვანე რტოებიდან კი ბროწეულის წითელი ნაყოფი ანათებდა.

„სად ვარ, როგორ გავჩნდი აქ?“ — გაიფიქრა ფარიდმა.

ახლაღა იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალებდა, — სამი ყმაწვილი ქალი შემოსცქეროდა ვარდის აყვავებული ბუჩქებიდან. როცა მიხვდნენ, ჭაბუკმა შეგვნიშნაო, არც დაურცხვენიათ, სახე არ დაუფარავთ. პირიქით, ფარიდს მიუახლოვდნენ და მიესალმნენ. მერე ყველა ერთად ამღერდა:

„ო, მბრძანებელო ჩაიფიქრე სურვილი შენი

და მოგვანიჭე მისი ამოხსნისა და აღსრულების ბედნიერება“.

თითქოს ნისლი გაიფანტაო ფარიდის თვალთაგან, ახლაღა გაახსენდა, რას შეჰპირდნენ გუშინ. დიახ, ის სამოთხეში იყო. ეს გოგონები კი ჰურიები იყვნენ, რომელთა შესახებაც ალაჰი თავისი წინასწარმეტყველის, მუჰამედის მეშვეობით მოუთხრობდა მართლმორწმუნეებს.

უცებ იასამნის ყვავილოვანი ბუჩქებიდან სხვა ჰურიები გამოვიდნენ, ზოგს ნუგბარი კერძი მოჰქონდა, ზოგს შარბათითა და სხვა სასმელებით სავსე სურები.

რამდენიმე დღე დაყო ფარიდმა სიყვარულსა და სიხარულში, ხოლო როცა მის სულს მოწყენის ჭმუნვა მიეახლა და სამოთხის ბაღში გაისეირნა, მეორე მხარეს აჰმადს გადაეყარა. ჰურიებმა მათ ნარდი მიართვეს, თან ღვთაებრივ სიმღერებს მღეროდნენ და ნარდის მოთამაშეთა ყოველ სურვილს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ასე გაგრძელდა დიდხანს, სანამ დაღლილობამ არ სძლია გონებას და ნებიერმა ძილმა წამწამები არ დაუმძიმა მათ. როცა გათენდა და თვალი გაახილეს, კვლავ ალამუთის ციხესიმაგრეში იყვნენ.

— რას იტყვით, — ჰკითხა მათ ჰასანმა, — მოგეწონათ სამოთხე?

ფარიდი და აჰმადი უსიტყვოდ განერთხნენ მის ფერხთით.

ეს ორი პირველები იყვნენ...

გავიდა დრო და მათი რაოდენობა, ვინც იგემა სამოთხის ნეტარება, უსაზღვროდ გაიზარდა. მას შემდეგ მათთვის ერთადერთ სათაყვანებელ მოგონებად, ერთადერთ ოცნებად სამოთხეში დაბრუნება გადაიქცა.

„თუკი ის, რაც სიკვდილის შემდეგ მელის ასე მშვენიერია, რატომღა გავაგრძელო მიწიერი არსებობა?“ — ფიქრობდნენ ჰასანის მიმდევრები და ერთიმეორის მიყოლებით თვითმკვლელობით ასრულებდნენ სიცოცხლეს. მათი მბრძანებელი არ მოელოდა საქმის ასეთ შემობრუნებას.

— არა, — არწმუნებდა მათ ჰასანი, — თვითმკვლელები მკრეხელები არიან, ისინი სამოთხეში არ მოხვედრილან, გზა სამოთხისაკენ მხოლოდ ჩემს მორჩილებაზე, ჩემი ბრძანების შესრულებისას სიკვდილზე გადის.

— შენც ადექი და გვიბრძანე! — შეჰღაღადეს მოჯადოებულებმა.

და ჰასანმაც დაიწყო მბრძანებლობა.

მკვლევართა ერთი ნაწილი სიტყვა „ასასინს“ არაბულ „ჰაშიშს“ უკავშირებს: როცა მორიგი პროზელიტის „სამოთხეში გადაყვანა“ იყო საჭირო, ჰასანის ხალხი ხშირად ამ ნარკოტიკს იყენებდა.

მბრძანებლის ბრძანებები ყოველთვის მოკლე და გასაგები იყო, — წადი იქ და მოკალი ის. რაც უფრო ძნელი და სახიფათო იყო დავალება, მით ხალისით მიდიოდნენ მის შესასრულებლად ასასინები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა მსხვერპლს მოკლავდნენ, დამალვას ან გაქცევას არც ცდილობდნენ. როცა რომელიმე მათგანი დავალების შესრულების შემდეგ უკან საღ-სალამათი ბრუნდებოდა, მას როგორც უბედურს ან ალაჰისგან უარყოფილს უყურებდნენ. სიკვდილი უფრო დიდ ბედნიერებად ითვლებოდა, ვიდრე დავალების შესრულება და უკან დაბრუნება.

ჰასანს კარგი მეხსიერება ჰქონდა, მაგრამ მისი გონება მხოლოდ ბოროტს იმახსოვრებდა. ერთხელ, როცა დიდვეზირი ნიზამ ალ-მულკი მეჩეთიდან გამოვიდა, რამდენიმე ათეულმა მკვლელმა ხანჯალი იშიშვლა და თანმხლებ მცველებთან ერთად აკუწა იგი. როცა სულთანმა ეს შეიტყო, გლოვა გამოაცხადა. ეს გლოვა მარტო ვეზირს არ ეხებოდა, სულთანმა იცოდა, რომ ჰასანი არც მას დაინდობდა, მაგრამ შეცდა: ყოფილმა მინისტრმა არ დალვარა ყოფილი ბატონის სისხლი, — მან იგი მოაწამვლინა.

ახალმა სულთანმა გადაწყვიტა გველი მისსავე ბუნაგში მოეხრჩო, შეაგროვა ჯარი და ჩრდილოეთისკენ დაიძრა ალამუთის ციხესიმაგრის მიწასთან გასასწორებლად. ერთხელ რაღაც ხმამ გამოაღვიძა სულთანი და მან სასთუმალთან დასობილი ასასინების ხანჯალი დაინახა. არც მრავალრიცხოვან ცხენოსნებს, არც საომარ სპილოებს და არც საგანგებო მცველებს არ შეეძლო მისი დაცვა, სულთანი მიხვდა ამას და იმავე დღეს საომარმა საყვირებმა უკან დახევის ბრძანება აუწყეს ჯარებს.

არავინ იცოდა, ვინ იქნებოდა შემდეგი, რადგან მსხვერპლის არჩევაში არცთუ ყოველთვის გამოსჭვიოდა ლოგიკა. ფრანკთა მეფემაც იცოდა, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, ვერავინ უშველიდა. მაინც ჩაეჭიდა ხავსს და პირად მცველთა რაზმი შექმნა, სადაც უნდა ყოფილიყო მეფე, ეს რაზმი უნდა ხლებოდა თან.

ერთ მშვენიერ დღეს ჰასანმა გადაწყვიტა, რომ ერთ-ერთი გავლენიანი ფრანგი პრინცის აღსასრულის დღე დადგა და ადრეულ გაზაფხულზე მისი ორი ასასინი გზას დაადგა. პრინცის სამფლობელოს მხოლოდ შემოდგომას მიაღწიეს. იქაურებისთვის უცხო ხილი არ იყო აღმოსავლელი ვაჭრების ჩამოსვლა და ასასინებსაც არავინ მიაქცია ყურადღება. სამაგიეროდ, თვითონ აკვირდებოდნენ ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა კი იმას, რაც პრინცთან იყო დაკავშირებული, — სად დადის, როდის შეიძლება მასთან ადვილად მიახლოება და ვინ იცავს. თურმე პრინცთან მიახლოება მხოლოდ ტაძარში, სადაც სალოცავად დადიოდა, იყო შესაძლებელი. მაშინ ჯერ ერთი ვაჭარი „გამოტყდა", რომ მუჰამედის სარწმუნოების ამაოებაში დარწმუნდა და ქრისტიანად მოინათლა, მალე მეორემაც მიჰბაძა. ზედმიწევნით ღვთისმოსავნი გახდნენ, ტაძარს მდიდრული განძი შესწირეს, არ ტოვებდნენ არც ერთ წირვას და მალულადიმ დღისთვის, იმ წამისათვის ემზადებოდნენ, როცა მსხვერპლი ხანჯლიანი ხელის მისაწვდომ მანძილზე აღმოჩნდებოდა. ეს დღეც დადგა და პრინცის სისხლით შეიღება ტაძრის მოზაიკის იატაკი. ერთ-ერთი თავდამსხმელი მცველებმა ადგილზევე მოკლეს, მეორე არეულობაში ბრბოში ჩაიკარგა, მაგრამ როცა გაიგო, პრინცი ჯერ კიდევ სუნთქავსო, ბრბო გაარღვია და ყველას თვალწინ ჩასცა მახვილი. მეორე დღეს მას წამებით ამოხადეს სული, — სინანულის გარეშე, სიხარულით მოკვდა.

ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში მეფობდა „მთიელი მოხუცი". ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაუტოვებია ალამუთი. ეს არც იყო საჭირო: მისი თვალი, ყური და გრძელი ხელები ყველგან სწვდებოდა. წლიდან წლამდე იზრდებოდა მის მიმდევართა რიცხვი. ახალგაზრდები მიდიოდნენ ციხესიმაგრის კარიბჭესთან, წარმოთქვამდნენ მაგიურ სიტყვას და კარი მძიმედ იღებოდა მათ წინ. ციხესიმაგრეში შესვლისთანავე ისინი უკვე ფანატიკოსები იყვნენ.

შიგადაშიგ ციხესიმაგრეში დამნაშავეებს სჯიდნენ. ჰასანი იტყოდა, რომ ამა და ამ კაცით უკმაყოფილო იყო და ბრძანებდა, თავი მოეკვეთათ მისთვის. ჩვეულებრივ, შერისხული ადრე მასთან დაახლოებული და ყველასათვის ცნობილი კაცი იყო. როცა სასჯელი აღსრულდებოდა, ჰასანი კურთხევის მისაღებად მისულ ახალგაზრდებს შეკრებდა და სინზე დადებულ სისხლიან თავს დაანახვებდა.

— ამ კაცმა მომატყუა, — ამბობდა ჰასანი, — მას სურდა თავისი ავკაცობის დამალვა, მაგრამ ალაჰის ნებით ჩემთვის ყოველივე დაფარული განცხადებულია. ახლა ის მკვდარია, მაგრამ მკვდარიც ჩემს ბრძანებებს ემორჩილება. საკმარისია, მოვისურვო და მოკვეთილი თავი გაცოცხლდება.

შემდეგ ლოცვას აღავლენდა, ჰაერში მაგიურ ნიშნებს მოხაზავდა და შეძრწუნებული მაყურებლის თვალწინ თავი ცოცხლდებოდა, — გასისხლიანებულ თვალებს ახელდა და ლაპარაკს იწყებდა.

— მოწყალე ალაჰის სახელით გეკითხები! შენი ის ფარიდი ხარ, რომელიც ერთ-ერთი პირველი ამომიდგა გვერდში?

თავი პასუხობდა:

— დიახ, მე ვარ ფარიდი, მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, რომელსაც შენ სამოთხით ტკბობის ბედნიერება მიანიჭე. მე არ ვარ შენი წყალობის ღირსი, დაე დაგლოცოს ყოვლისშემძლე ალაჰმა.

ყველა ცნობდა მოჭრილი თავის ხმას. დაეჭვებაც შეუძლებელი იყო, — ნამდვილად ფარიდის მოჭრილი თავი ლაპარაკობდა.

— შეეკითხეთ, რაც გსურთ, და ჩემი ჯადოსნობის წყალობით თავი გიპასუხებთ, — აგრძელებდა ჰასანი.

ენადაბმული ახალგაზრდები ეკითხებოდნენ ლანგარზე დადებულ მოკვეთილ თავს და ისიც პასუხობდა მათ. ასე იზრდებოდა მის მიმდევრებში იმ უდიდესი ძალის შიში, რომლითაც მხოლოდ ჰასანი იყო დაჯილდოებული. „მკვდრებიც კი ემორჩილებიან მის ნებას", — ამბობდნენ მასზე.

მარტო დარჩენილი ჰასანი გასწევდა სინს, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა და ორმოში მჯდომი ეკითხებოდა:

— ხომ ისე ვილაპარაკე, ჩემო მბრძანებელო, როგორც დამარიგე?

— კარგი იყო, — აქებდა ჰასანი, — სწორედ ისე ილაპარაკე, როგორც საჭირო იყო, მე კმაყოფილი ვარ.

რამდენიმე საათის შემდეგ კი მათ, ვინც მოკვეთილ თავთან ლაპარაკობდნენ, კვლავ შეეძლოთ ფარიდის ნახვა, — ის ამჯერად კარიბჭესთან მარგილზე იყო წამოგებული. კარიბჭესთან თავმოყრილი ახალგაზრდები ამტკიცებდნენ, ეს-ესაა მის მოკვეთილ თავს ველაპარაკეთო. ამის შემდეგ ვისღა შეეპარებოდა ეჭვი ასისინების წინამძღოლის ზებუნებრივ ძალმოსილებაში.

მაგრამ დრო არ ინდობდა არა მარტო ჰასანის მტრებს, მათ, ვისაც იგი არ ინდობდა, არამედ თავად ჰასანსაც შეახო მსახვრალი ხელი.

მას ორი ვაჟი ჰყავდა, ორი ერთგული მიმდევარი, წესით, ხელისუფლება და „საქმე" ორივესთვის ან ერთ-ერთი მათგანისთვის უნდა გადაეცა, მაგრამ იცოდა, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში, მემკვიდრეებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლას ორგანიზაციის მტრულ სექტებად დაყოფა მოჰყვებოდა. მისი შვილები საკუთარ თავში უმთავრესის, მისი პირმშოს — ასასინების ორდენის დაღუპვის თესლს დაატარებდ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



1256 წელს, როცა დამანგრეველმა მონღოლურმა ურდოებმა სპარსეთზე გადაითარეშეს, ალამუთი დაეცა...

ნენ. ამიტომაც ორივე შვილი მოკლა.

როცა ჰასანმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ორდენის ხელისუფლება მათ გადასცა, რომლებიც, მისი აზრით, შეძლებდნენ საქმის გაძღოლას. ქმნა თუ არა ეს, იმავე დღეს მოკვდა.

ჰასანის მემკვიდრეებმა გააგრძელეს ერთხელ გაკვალული გზა. პოლიტიკური სექტის სიდიადე ისევ ზენიტში იყო. იმპერატორები და მეფეები ალამუთის ციხესიმაგრეში აგზავნიდნენ თავიანთ სრულუფლებიან ელჩებს და უხაროდათ, თუკი ასასინების მეთაური მოწყალედ შეხვდებოდა. როცა ჯვაროსნებმა, ბოლოს და ბოლოს, მათთან ფარულ კავშირს მიაღწიეს, ეს დიდ მიღწევად ჩათვალეს.

– როცა ჰასან მეორე, საძულველად წოდებული, ჩაუდგა ორდენს სათავეში, ყველას ეგონა, რომ საიდუმლო ორდენის მზე ჩაესვენებოდა, რადგან ის ნამდვილი შლეგი იყო. მან არ იკმარა მესიის როლი, რომ უფალი მეტყველებდა მისი სახით. და აი, დანიშნულ დღესა და საათზე ალამუთის მთის ძირას შეიკრიბნენ ასასინები და ისმაილიტები, ისლამის იმავე განშტოების მიმდევრები, რომელსაც ასასინები ეკუთვნოდნენ. ციხესიმაგრის ქონგურზე გამოჩნდა ჰასან მეორე და დამსწრეთ განუცხადა, – მე თვით ღმერთი ვარო. ვინც მას იწამებდა, თავისუფლდებოდა ყველა აკრძალვისაგან, რიტუალისაგან და შეგონებისაგან, ყოველ მათგანს შეეძლო მოქცეულიყო ისე, როგორც მოესურვებოდა. არავინ იყო მათი შემზღუდავი, გარდა ღმერთისა, რომელიც ჰასანის სახით მათ თვალწინ ციხის ქონგურზე იდგა.

ორდენმა ამ გამოცდასაც გაუძლო, ისევე როგორც ჰასან საძულველის შვილის, მუჰამედ მეორის ზეობას.

მუჰამედს თავი ღმერთად არ გამოუცხადებია, მაგრამ თავი დიდ პოეტად და ფილოსოფოსად მოჰქონდა. მისი მმართველობის დროს დაივიწყეს გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა-ქიშპობა. მტრებად მუჰამედმა ის ხალხი გამოაცხადა, ვისაც ოდნავ მაინც ეპარებოდა ეჭვი მის ნიჭიერებაში, ვინც ვერ სწვდებოდა მისი პოეზიის ღვთაებრივ არსს. ერთ-ერთმა სპარსმა სწავლულმა წინდაუხედავად მუჰამედ მეორის პოეზია აუგად მოიხსენია და მალე მძინარეს თავს ალამუთელი მაცნე დაადგა, ხანჯლის წვერი მიაბჯინა ყელზე და ჰკითხა: – სიცოცხლე და სიმდიდრე გირჩევნია თუ მყისიერი სიკვდილი? სწავლულმა პირველი არჩია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუჰამედ მეორის პოეზიას ხოტბას ასხამდა.

1256 წელს, როცა დამანგრეველმა მონგოლურმა ურდოებმა სპარსეთზე გადაითარეშეს, ალამუთი დაეცა.

ორი ათეული წლის შემდეგ, სირიასა და ლიბიაში, სექტას მამლუქებმა მიაყენეს გამანადგურებელი დარტყმა. ასე განადგურდა ასასინების ორდენი. თუმც 1810 წელს, ალეპოში (სირია), როცა საფრანგეთის კონსული თავისი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან ცნობებს აგროვებდა, მოულოდნელად ასასინების საბუდარს გადააწყდა. ისტორიის სარბიელიდან გამქრალი და მივიწყებული ორდენი თურმე არსებობას აგრძელებდა. ასასინების ბელადი თეირანსა და ისპაჰანს შორის პატარა სოფელში ცხოვრობდა მცველებითა და მიმდევრებით გარშემორტყმული. მას ისე სცემდნენ პატივს, როგორც ღმერთს, მისი სიტყვა კი კანონი იყო. „ბელადის თაყვანისმცემლები ირწმუნებიან, – წერდა კონსული, – რომ მას სასწაულების მოხდენა შეუძლია“.

მეორეჯერ ასასინები 1866 წელს მოიხსენიეს, როცა ბომბეიში ინგლისის კოლონიური სასამართლო ერთ უცნაურ საქმეს განიხილავდა. სარჩელი სასამართლოში ასასინების მეოთხე წინამძღოლის შთამომავალმა, აღა-ხანმა შეიტანა. იგი უჩიოდა ბომბეის ერთ-ერთ კასტას, რომელმაც გაბედა და ხარკის გადახდა შეუწყვიტა. საქმე იმ დროისათვის უზარმაზარ თანხას, – 10.000 გირვანქა სტერლინგს ეხებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კასტა ოთხი საუკუნის წინ მართლაც მიიღეს ასასინების ორდენში და რომ აღა-ხანი, ისმაილიტების ბელადი, ნამდვილად ითვლება მათ წინამძღოლად. ასასინების ტრადიციებისამებრ, ეს ტიტული შთამომავლობით არ გადაეცემა, – თითოეული აღა-ხანი თვითონ ნიშნავს მემკვიდრეს. უკანასკნელი (1988 წელს ცოცხალი იყო) აღა-ხანი 1957 წელს დანიშნა მისმა პაპამ. ახალ წინამძღოლ ჭაბუკს სპორტული მანქანები ჰყვარებია. ეს არის და ეს, სხვა მასზე არაფერია ცნობილი. ის ისმაილიტთა 49-ე იმამად, აღა-ხან ქერიმ მეოთხედ მოიხსენიება. ტრადიციის თანახმად, იმამის მიმდევრები მას წელიწადში ერთხელ სახალხოდ წონიან ხოლმე და იმდენ კილოგრამ ოქროს უხდიან ხარკად, რამდენსაც იწონის. მის წინამორბედ აღა-ხანს ამავე წესით უხდიდნენ ხარკს, ოღონდ არა ოქროთი, არამედ პატიოსანი თვლებით. მას შემდეგ, რაც ასასინების ორდენი ისტორიის სცენიდან გაუჩინარდა, მრავალი საუკუნის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ ის გაქრა, არსებობა შეწყვიტა. თურმე არც მთლად ასე ყოფილა საქმე. იქნებ ასასინებმა თავი მოიმკვდარუნეს, რათა დავიწყებას მისცემოდა მათი ხსოვნა და კვლავ ორდენის ერთგულებად დარჩნენ?

სიტყვა „ასასინი“ ევროპის ქვეყნების მრავალ ერთა ენაში დამკვიდრდა. ადამიანებმა, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარობენ მას, არ იციან, საიდან გაჩნდა ეს სიტყვა მათ ლექსიკონში. ერთი რამ კი ცხადია, – ყველა ენაზე სიტყვა „ასასინი“ მხოლოდ მკვლელს ნიშნავს.

ასასინებმა, რომლებმაც ევროპა ყველა მიმართულებით დასერეს, სიკვდილის გარდა, აქ საიდუმლო ორდენების შექმნის ტრადიციაც დაამკვიდრეს; ორდენებისა, რომლებსაც მკაცრი ორგანიზაცია და ურყევი დოქტრინები ჰქონდათ. ბევრი საიდუმლო ორგანიზაცია, რომლებიც მოგვიანებით ევროპაში წარმოიშვა, თავისი ფესვებითა და მისწრაფებებით სწორედ იმ ციხესიმაგრის სულიერი ნათესავია, რომლის ნანგრევების ხილვა დღესაც შეიძლება, ირანის ჩრდილოეთ მთიანეთში, ავადსახსენებელ ალამუთის მთაზე.

თამაზ ჟორჟოლიანი



# არალეტალური იარაღი

## კონცეფციები და პერსპექტივა

გასული საუკუნის 80-იან წლებში კაგე-ბეს მუზეუმში საკმაოდ საინტერესო ექსპონატები გამოჩნდა, რომლებიც ამერიკის სპეცსამსახურის თანამშრომლებს ჩამოართვეს. ეს გახლდათ არალეტალური იარაღი, რომელიც დაახლოებით სამი მეტრის მანძილზე გამტარებიან ორ ისარს ისროდა. ისინი ადამიანის სხეულს ეკვროდა და ელექტრომაბვის მუხტის მეშვეობით კოორდინაციისა და მოძრაობის უნარს უკარგავდა. ამჟამად ტაზერებს (TASER – ასე უწოდებენ ამ იარაღს) ინტენსიურად იყენებენ ამერიკისა და სხვა ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები. მეტიც, სულ ცოტა ხნის წინ პენტაგონმა ერაყში ამერიკელი სამხედროებისათვის 1,8 მლნ დოლარის ღირებულების ტაზერები შეიძინა.

2006 წელს ამერიკაში შეიქმნა სპეციალური ქსოვილი, ე.წ. ფარი, რომელსაც შეუძლია ადამიანი ტაზერის ზემოქმედებისაგან დაიცვას. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არალეტალური იარაღის გამოყენების მასობრივ ხასიათს, რომლის არსებობას არარეალურად მიიჩნევდნენ და სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინ მხოლოდ სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის კუთვნილებად მიიჩნევდნენ.

სამშვიდობო ოპერაციებში შეიარაღებული ძალების მონაწილეობამ სპეციალური სახეობის ტყვია-წამალსა და არალეტალური ზემოქმედების იარაღზე მოთხოვნილება წარმოქმნა, რომლის გამოყენება კონფლიქტის ზონაში მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლისას მსხვერპლის გარეშე ნეიტრალიზაციის შესაძლებლობას იძლევა.

არალეტალური ზემოქმედების იარაღის შექმნით დაინტერესებული არიან სამართალდამცავი ორგანოებიც, რადგან მათ უფრო ხშირად უწევთ კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა. ხშირად ამგვარი ოპერაციები ქალაქში ტარდება, რასაც არაერთხელ მოჰყოლია მშვიდობიანი მოქალაქეების მსხვერპლი.

სამართალდამცავთათვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანია არალეტალური იარაღის გამოყენება მასობრივი არეულობების ლოკალიზებისთვის და ბოროტმოქმედთა დაკავებისთვის; სხვადასხვა ობიექტის დაცვის მიზნით თანამედროვე საინჟინრო-ტექნიკური და ანტიტერორისტული საშუალებების შექმნისას მისი გათვალისწინება; ამგვარი იარაღის სამართალდამცავ ორგანოთა და კერძო დაცვის შეიარაღებაში მიღებისა და რიგითი მოქალაქეებისათვის თავდაცვის საშუალებად ლიცენზირების საკითხი.

დღეს შექმნილი საცდელი-საკონსტრუქტორო ნიმუშებიდან გამოირჩევა შემდეგი სახეები:

1) სპეციალური აირები პოლიციისათვის; (სამწუხაროდ ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე არცთუ დიდი ხნის წინ, საკმაოდ ახლოს გაეცნო ამ აირების ზოგიერთ წარმომადგენელს)

2) ინფორმაციულ ომზე ორიენტირებული არალეტალური იარაღი;

3) არალეტალური ზემოქმედების იარაღის მიწოდების საშუალებები და ობიექტების დაცვის საინჟინრო-ტექნიკური და ანტიტერორისტულ საშუალებებში მისი გამოყენება;

4) მადეზორიენტირებელი საშუალებები: გამაღიზიანებელი და გამაყრუებელი შუქბგერითი, ლაზერული და სხივური იარაღის დამაბრმავებელი სისტემები;

5) სხვადასხვა სახეობა, რომელთა მიზანია ადამიანსა და ტექნიკაზე მოახდინონ აკუსტიკური, ელექტრომაგნიტური და ინფრაბგერითი ზემოქმედება.

არალეტალური იარაღის შექმნაში პირველობა ამერიკის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნის. 1997 წელს პენტაგონმა მოიწონა ამგვარი იარაღის შემუშავების თაობაზე გამართული სპეციალური პროგრამა (ე.წ. Non Lethal Weapons Program (NLWP) და სამუშაოების კოორდინირება საზღვაო ქვეითების კორპუსს დაავალა. ამ მიზნით სახელმწიფო ყოველწლიურად 15-20 მლნ დოლარს ხარჯავდა.

იარაღისთვის წაყენებული ძირითადი მოთხოვნები და მიმართულებები ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა ჩამოაყალიბეს. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო არალეტალურ იარაღად მიიჩნევს მოწინააღმდეგის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მწყობრიდან გამოყვანისათვის განკუთვნილ საშუალებას, რომელსაც შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს დახოცილთა თუ დაჭრილთა რაოდენობა და გარემოს დაბინძურება. ამასთან, ის უნდა ავსებდეს და არა ცვლიდეს ჩვეულებრივ შეიარაღებას და გამოიყენებოდეს საბრძოლო მოქმედებების საწყის ეტაპზე პრევენციის სახით, როდესაც შესაძლებელია ვითარება ცეცხლსასროლი იარაღის გარეშეც განიმუხტოს. მეორე – ის უნდა ფლობდეს დროებითი ნეიტრალიზაციის უნარს და არ უნდა გამოიწვიოს საზოგადოების მძაფრი უარყოფითი რეაქცია. მესამე – არალეტალურ იარაღს უნდა ჰქონდეს არასასიკვდილო რეჟიმიდან ჩვეულებრივზე გადასვლის საშუალება.

პენტაგონში დღეს ნაწილობრივ შესრულებულია და მუშავდება შემდეგი პროექტები:

1) ხალხის მასების დაშლის მიზნით 40-მილიმეტრიანი არალეტალური ყუმბარის შექმნა M203 ტიპის ყუმბარსტყორცნიდან სასროლად;

2) საკვამლე, შუქისა და სხვა არამომაკვდინებელი ყუმბარების სატყორცნი დანადგარების შემუშავება;

3) ნაღმსატყორცნისათვის სპეციალური ნაღმების შექმნა;

4) იმპულსური ელექტრომაგნიტური მოწყობილობის დამუშავება, რომელსაც ძლიერი მიკროტალღური სიგნალების მეშვეობით შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს ავტომობილებისა და გემების ელექტროსისტემები;

5) ხაფანგი ავტომობილისათვის (Car Catcher). გზის საფარზე დამონტაჟებული ეს ხელსაწყო მოქმედებისას ისვრის მავთულის ბადეს, რომელსაც შეუძლია 120 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი მანქანის შეჩერება;

6) დახურული ზონების დაცვისათვის არალეტალური ზემოქმედების ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის შექმნა, რომლის შიგთავსს წარმოადგენს მავთულის ეკლები, სუნიანი სლებავი ნივთიერება ან მჭრელი ელემენტებისაგან შემდგარი ბადე;

7) ბლანტი, ქაფოვანი მასისა და მისი სფრქვეველი სისტემის შემუშავება;

8) არალეტალური ჭურვების მცირე დისტანციაზე გადამგდები საშუალებების შექმნა;

9) დამრტყმელი საჰაერო ტალღების გამოყენებით ზემოქმედებაზე ორიენტირებული სპეციალური აპარატის შექმნა;

10) სხვადასხვა ბიოფიზიკური ეფექტის გამოცდა ადამიანის ორგანიზმზე გარე და შიდაგამაღიზიანებლების ზემოქმედების შესწავლის მიზნით.

მეცნიერები მუშაობენ ისეთი აპარატის შექმნაზე, რომელიც შეძლებს 100 მეტრის მანძილიდან 165 დეციბალზე მეტი ძალის ბგერითი რხევებით ადამიანის დაზიანებას.

ჩამოთვლილი ტექნოლოგიების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს ნაციონალური ლაბორატორია და შვედეთის თავდაცვის სამინისტროს ნაციონალური კვლევითი ორგანიზაცია.

ზემოხსენებული მიმართულებით, მიმდინარე სამუშაოების ჩარჩოში, ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ლაზერული იარაღი, რომელსაც შეუძლია დროებით ან სამუდამოდ დააკარგვინოს ადამიანს მხედველობა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, ის 1995 წელს სომალიში, სამშვიდობო ოპერაციებში გამოიცადა. თუმცა მაშინ ამ საშუალებით აღჭურვილმა აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარის ხელმძღვანელობამ ადამიანისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა, შეესუსტებინა სხივის ინტენსივობა. ამის შემდეგ აპარატი მხოლოდ სამიზნის გამოვლენისათვის და მინიშნებისათვის გამოიყენებოდა. ამერიკელი მშვიდობისმყოფელების ქმედება საერთაშორისო წითელი ჯვრისა და აშშ-ის საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით იყო ნაკარნახევი. ამერიკელები იძულებული გახდნენ 1980 წელს მიღებული საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება მოეხდინათ, რომელიც ადამიანის მხედველობისათვის ზიანის მომტანი იარაღის შექმნას კრძალავდა.

სამუშაოები მიმდინარეობს მიკროტალღური იარაღის შექმნაზეც, რომელსაც შეუძლია ადამიანის სხეულის ტემპერატურა 200 მეტრის მანძილზე 58 °C-მდე გაზარდოს, იწვევს ციებ-ცხელებასა და სხვა უსიამოვნო შეგრძნებებს, ხოლო 10 მეტრის დისტანცია მომაკვდინებლად მოქმედებს ორგანიზმზე.

მიმდინარეობს ასევე ელექტრომაგნიტური იარაღის შექმნა, რომელსაც შეუძლია ჯანმრთელ ადამიანს ეპილეფსიის შეტევა დამართოს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აშშ-ის გადამდგარი ადმირალის, ჯონ ჰოგის აღიარება, რომელიც სამეცნიერო-ფანტასტიკურ გამონაგონად მიიჩნევა. მისი თქმით, ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებაზე გათვლილი ძლიერი ელექტრომაგნიტური ხელსაწყოების შემუშავება 1995 წლიდან აშშ-ის საზღვაო ძალების სტრატეგიული კვლევების ჯგუფმა დაიწყო. ელექტრომაგნიტური იმპულსების ენერგია ყველაზე სავალალოდ ზემოქმედებს ტვინზე. შეუძლია სხეულის სხვადასხვა ნაწილში გაზარდოს ტემპერატურა. შედეგად, წარმოიქმნება წნევა, რომელიც ახდენს სმენითი ჰალუცინაციების პროვოცირებას და ადამიანი ვეღარ აკონტროლებს თავს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ძილი, დეპრესია, მეხსიერებისა და მოძრაობის უნარის დაკარგვა. მეტიც, ელექტრომაგნიტური გამოსხივების დროს ადამიანის [illegible] ძლება გაჩნდეს ე.წ. [illegible] რომელსაც ძალუძს აღიქვას და შეასრულოს გარედან მიღებული ბრძანებები. შედეგად, სისტემის ოპერატორს, რომელიც ამგვარად ზემოქმედებს ადამიანზე, შეუძლია კორექტირება შეიტანოს და აკონტროლოს ადამიანის გონებრივი პროცესებიც.

ამერიკის კანონმდებლობა მკვეთრად გამიჯნავს არალეტალურ და ლეტალურ იარაღს ერთმანეთისაგან. ამ უკანასკნელის მოხმარება სამხედრო შეტაკებებისას დაყვანილია მინიმუმამდე, რათა შემცირდეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, ბოროტმოქმედთა თუ შემთხვევითი პირების სიკვდილიანობა. შემუშავებულია ე.წ. გონიერი იარაღის (Smart gun) ნიმუში, რომელიც კოდირებული რადიოსიგნალის მიღების შემდეგ მხოლოდ მფლობელის ხელში ისვრის. ამჟამად სპეციალისტები ცდილობენ, შექმნან ლაზერული ნათების გენერატორი, რომლის ფუნქცია იქნება მხედველობისათვის მნიშვნელოვანი დაზიანების მიყენების გარეშე ადამიანის დეზორიენტირება.

სხვადასხვა არალეტალური იარაღის შექმნამ საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ყურადღება მიიქცია. ის ცდილობს მსგავსი იარაღის შექმნისა და გამოყენების პირობებზე განსაზღვრული წესები შეიმუშაოს. ამ მიზნით შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია „არალეტალური ზემოქმედების იარაღზე მომუშავე ევროპული ჯგუფი", რომელშიც მონაწილეობენ რუსეთის, ავსტრიის, შვეციის, ჩეხეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, შვეიცარიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები.



Taser-ი მოქმედებაში



კონცეპტუალური Smart gun

# სამხრეთამერიკული დებიუტი

კოლუმბიას, ეკვადორსა და ვენესუელას შორის ურთიერთობის მკვეთრმა გაუარესებამ, შესაძლოა, ლათინურ ამერიკაში შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვიოს. ვენესუელამ რამდენიმე კვირის წინ უკვე დაიწყო მობილიზაცია და კოლუმბიის საზღვრისაკენ ჯარების გადასროლა. ეკვადორმა დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა ბოგოტასთან და თავს უყრის სამხედრო ძალას კოლუმბიის საზღვრისპირა რაიონებთან. მართალია ეს კონფლიქტი (მადლობა ღმერთს) ჯერჯერობით ე.წ. „საკუთარ წვენში" ჩაიხარშა და ჩაგუბდა, მაგრამ არავინ უწყის როდის აგიზგიზდება ახალი ძალითა და მცხუნვარებით. შეგახსენებთ, რომ სიტუაციის გამწვავების საბაბი ეკვადორის ტერიტორიაზე კოლუმბიის სამთავრობო ჯარების შეჭრა შეიქნა ე.წ. კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების ბოევიკთა ბანაკების გასანადგურებლად. ოპერაციის დროს, როგორც კოლუმბიის ხელისუფლება ამტკიცებს, ხელთ ჩაიგდეს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ბოევიკების დაფინანსებაში ვენესუელისა და ეკვადორის მონაწილეობას. კონფლიქტში ჩაერთო ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი, რომელმაც მხარდაჭერა აღუთქვა ეკვადორს და განაცხადა, რომ ვენესუელის ტერიტორიაზე ანალოგიურ კონფლიქტს დაუყოვნებლივ ომი მოჰყვებოდა. ამ დაძაბულობის ფონზე, ძალზე საინტერესოა ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნების შეიარაღებული ძალების შედარება ერთმანეთთან.

## ვენესუელა

სამ ლათინურამერიკულ ქვეყანას შორის ყველაზე ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები ვენესუელას ჰყავს. ვენესუელის შეირაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ძალებისგან, ნაციონალური გვარდიისგან და ნაციონალური რეზერვისგან. რეგულარული ჯარების საერთო რაოდენობა 82000-ზე მეტ კაცს შეადგენს, აქტიური რეზერვი კი 8000 სამხედრო მოსამსახურეს ითვლის.



ვენესუელის შეიარაღებული ძალების ძირითადი სახეობაა სახმელეთო ჯარები 34000 კაცის შემადგენლობით, პლუს სასწრაფო სამსახურის 27000 სამხედრო მოსამსახურე. სახმელეთო ჯარების სტრუქტურაში შედის:

ერთი ჯავშანსატანკო დივიზია;

სამი სახმელეთო დივიზია;

ერთი მსუბუქი ქვეითთა დივიზია;

ერთი ცალკეული საჰაერო-სადესანტო ბრიგადა;

სამი ცალკეული საინჟინრო პოლკი;

სამი საარმიო ავიაციის მეთაურობის ბატალიონი;

ორი ზურგის უზრუნველყოფის მეთაურობის პოლკი.

ვენესუელის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაშია:


AMX-30


SCORPION-90


LVTP-7

81 AMX-30 ტანკი;

109 მსუბუქი ტანკი, მათ შორის 31 AMX-13 და 79 SCORPION-90;

431 სადაზვერვო მანქანა, მათ შორის 42 DRAGOON 300 LFV2, 79 V-100/-150 და 310 UR-53AR50 TIUNA;

71 ჯავშანტრანსპორტიორი, მათ შორის 25 AMX-VCI, 10 TRANSPORTPANZER 1, 25 DRAGOO 300 APC, 11 DRAGOON 300PC;

347 სხვადასხვა ტიპის საარტილერიო სისტემა, მათ შორის 25 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა AMX-13/LAR-160 და 10 155მმ კალიბრის თვითმავალი ჰაუბიცა AMX-13/MLE F.3;

გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები RBS-70 და MISTRAL-ი, ასევე საზენიტო დანადგარები, 6 თვითმავალი AMX-13 RAFAGA-ს ჩათვლით;

12 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი;

56 შვეულმფრენი, 1-საცეცხლე მხარდამჭერის შვეულმფრენი VB-35-ის ჩათვლით, 20 სამხედრო-სატრანსპორტო VB-17-1D და 20 VB-26.

სასროლ იარაღში შედის საიერიშო შაშხანები FAL-ი და FNC-ი, ავტომატები UZI, ასევე რუსული AK-103 (ვენესუელამ 100000 AK-103 შეისყიდა მოძველებული ავტომატიზებული იარაღის სახეობების შესაცვლელად). სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაშია შაშხანები M82, ავტომატები MP5 და P90. პისტოლეტები წარმოდგენილია მოდელებით M-1935GP, ZAMORA, GLOCK 17/18, P226; ტყვიამფრქვევი MINIMI, MAG-ი, M2, M-60 და M-66. გარდა ამისა, სახმელეთო ჯარების შეიარაღებაშია ნაღმსატყორცნები CAZADOR-ი, M-19 და M-29A1, ასევე ტანკსაწინაღო კომპლექსები AT4 და MAPATS-2.

ვენესუელის სამხედრო-საჰაერო ძალები 7000 კაცს ითვლის. მისი მთავარი დამრტყმელი ძალაა 4 გამანადგურებელი ჯგუფი, რომელთა შეიარაღებაშია თვითმფრინავები MIRAJE, F-5, F-16 და Су-30MK2. ახლახან ვენესუელამ რუსეთისგან მიიღო ადრე შეკვეთილი 24-დან 14 გამანადგურებელი Су-30MK2, ჰყავს 10 გამანადგურებელი F-16. ჯარების, ტექნიკის, საბრძოლო მასალებისა და სხვა სამხედრო საშუალებების გადასატანად იყენებენ 48 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავსა და 23 შვეულმფრენს. ჰაერსაწინაღო თავდაცვის ძალებს შეიარაღებაში აქვს 10 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი BARAK-ი, 10 თვითმავალი საზენიტო დანადგარი ROLAND-ი, ასევე 230 საბუქსირე-საზენიტო დანადგარი.


M-163 VULCAN

ვენესუელის სამხედრო-საზღვაო ძალები 18000 კაცს ითვლის, მათ შორის 7000 საზღვაო ქვეითია. შეიარაღებაში ჰყავს 6 სარაკეტო ფრეგატი, 2 წყალქვეშა ნავი, საპატრულო და სადესანტო კატერები, ასევე, დამხმარე ხომალდები. სამხედრო-საზღვაო ავიაცია 3 საბრძოლო, 12 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებსა და საერთო დანიშნულების 13 შვეულმფრენს ითვლის. საზღვაო ქვეითების შეიარაღებაშია 38 ჯავშანტრანსპორტიორი EE-11 URUTU, 11 სადესანტო ჯავშანმანქანა LVTP-7, 6 40მმ კალიბრის თვითმავალი საზენიტო დანადგარი M-42, 15 105მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი M-56.

ნაციონალურ გვარდიაში შედის 23000 კაცი და შეიარაღებაში ჰყავს 44 ჯავშანტრანსპორტიორი, 150 ნაღმსატყორცნი, 23 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და 26 შვეულმფრენი, ასევე 52 კატერი.

## ეკვადორი

ეკვადორის შეიარაღებულ ძალებში დაახლოებით 56500 კაცია და მასში შედის სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები.

სახმელეთო ჯარები შეიარაღებული ძალების ძირითადი სახეობაა და 47000 კაცს ითვლის. შედგება შერეული შემადგენლობის 4 დივიზიისგან, ასევე ცალკეული შენაერთისა და ნაწილებისაგან. შეიარაღებაში ჰყავს 30-ზე მეტი ტანკი T-55 (შენახული), 24 მსუბუქი ტანკი AMX-13, 114 სადაზვერვო ჯავშანმანქანა, 113 ჯავშანტრანსპორტიორი, ასევე 930-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის საარტილერიო სისტემა, 10 თვითმავალი 155მმ კალიბრის ჰაუბიცა MK F3. საარმიო ავიაცია წარმოდგენილია 12 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით, 20 საცეცხლე მხარდაჭერისა და 16 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებით, 8 Ми-8MT-ის ჩათვლით. ჰაერსაწინაღო თავდაცვის შეიარაღებულ ძალების შეიარაღებაში შედის 200-ზე მეტი საზენიტო რაკეტა და 165 გადასატანი სარაკეტო კომპლექსი, მათ შორის რუსული წარმოების 20-ზე მეტი „იგლა-1“. საზენიტო არტილერია ითვლის 240 დანადგარს, 44 თვითმავალი M-163 VULCAN-ის ჩათვლით. სასროლი იაღარი, ძირითადად,წარმოდგენილია შაშხანებით FAL-ი და M16A1, ასევე, ავტომატებით UZI, სტანდარტული ტყვიამფრქვევით MAG-ი.

ეკვადორის სამხედრო-საჰაერო ძალები 4000 კაცს ითვლის. შეიარაღებაში ჰყავს მოძველებული ნიმუშის 53 საბრძოლო თვითმფრინავი, მათ შორის 14 გამანადგურებელი MIRAGE F-1J. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაცია შედგება 24 თვითმფრინავისგან. ჰაერსაწინაღო თავდაცვის საშუალებებში შედის რუსული წარმოების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ოსა“, 185-ზე მეტი გადასატანი კომპლექსი, მათ შორის „სტრელა-2“, „იგლა“ და „იგლა-


AMX-13

ეროვნული ბიბლიოთეკა

1", ასევე 110 საზენიტო-საარტილერიო დანადგარი, 28 თვითმავალი 20მმ კალიბრის M-35-ის ჩათვლით.

სამხედრო-საზღვაო ძალები 5500 კაცს ითვლის, მათ შორის 1700 საზღვაო ქვეითია. შეიარაღებაში ჰყავს 2 წყალქვეშა ნავი, 2 ფრეგატი, 6 კორვეტი, ასევე საპატრულო, სადესანტო და დამხმარე ხომალდები. საზღვაო ავიაციას ჰყავს 2 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და 2 შვეულმფრენი.

## კოლუმბია

კოლუმბიის შეიარაღებული ძალები რიცხობრივად ყველაზე დიდია სამ დაპირისპირებულ სახელმწიფოს შორის. ის 20800-ზე მეტ კაცს ითვლის. შეიარაღებულ ძალებში შედის სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები.

სახმელეთო ჯარებში გაერთიანებულია 178000 კაცი. ორგანიზაციულად ჯარები შედგება დივიზიის 6 შტაბისაგან, ერთი არმიისგან (რომლის შემადგენლობაშია 9 ანტიპარტიზანული ბრიგადა და 1 ნარკოტიკებთან მებრძოლი), 6 ცალკეული მექანიზებული ბრიგადა, 2 ცალკეული საჰაერო-სადესანტო ბრიგადა, 9 ცალკეული ქვეითთა ბრიგადა, 1 ცალკეული საგანგებო დანიშნულების ბრიგადა, 1 ცალკეული საარმიო ავიაციის ბრიგადა და სხვა შენაერთები და ნაწილები.

კოლუმბიის სახმელეთო ჯარების შეიარაღება შედგება:

135 შეჯავშნული სადაზვერვო მანქანისაგან, მათ შორის 130 EE-9 CASCAVEL-ისგან და 5 M-8-ისგან;

370 ჯავშანტრანსპორტიორისგან, მათ შორის 80 რუსული წარმოების БТР-80-ისგან;

730-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის საარტილერიო სისტემისაგან.




საარმიო ავიაციას შეიარაღებაში ჰყავს 2 რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავი B-200 SUPER KING AIR-ი, 12 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და 99 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი, 18 რუსული წარმოების Ми-17-ის ჩათვლით.

კოლუმბიის სამხედრო-საჰაერო ძალებში არის 8000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. შეიარაღებაში ჰყავს 24 გამანადგურებელი (10KFR C-7, 1TC-7, 11 MIRAGE-5COAM, 2 MIRAGE-SODM-ი) და 66 სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი; გარდა ამისა, 11 სადაზვერვო თვითმფრინავი. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციაში შედის 34 თვითმფრინავი და 116 შვეულმფრენი.

სამხედრო-საზღვაო ძალები შედგება 22000 კაცისგან. შეიარაღებაშია 4 წყალქვეშა ნავი, 4 კორვეტი, 96 საპატრულო და 8 სადესანტო ხომალდი. სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციას ჰყავს 2 საზღვაო საპატრულო თვითმფრინავი 2 CN-235-200, 9 სატრანსპორტო თვითმფრინავი, 2 ნავსაწინალო და 6 სატრანსპორტო შვეულმფრენები.

## ძალების ბალანსი

დაპირისპირებული მხარეების სამხედრო ძალისა და საშუალებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ კოლუმბიის შეიარაღებული ძალები, რომელიც უპირატესობით თითქმის ორჯერ აღემატება ვენესუელის არმიას, მაინც ჩამორჩება მას აღჭურვილობისა და ბრძოლისუნარიანობის დონით. ვენესუელის უდავო უპირატესობაა თანამედროვე საბრძოლო ავიაცია, უპირველესად, რუსული გამანადგურებლები Су-30MK2, რომლებსაც მოქმედების დიდი რადიუსი აქვთ და შეუძლიათ მოწინააღმდეგის ღრმა ზურგისთვის დარტყმის მიყენება. მით უმეტეს, რომ კოლუმბიას არ აქვს ჰაერსაწინაღო ეფექტიანი საშუალებები. გარდა ამისა, ვენესუელის შეიარაღებაშია რუსული დამრტყმელი შვეულმფრენები Ми-35-ები, რომელთა ეფექტიანად გამოყენება შეიძლება სახმელეთო ქვედანაყოფებისთვის დარტყმის მისაყენებლად.

ვენესუელის მხარეზეა უპირატესობა მძიმე ჯავშანტექნიკაშიც, რადგან კოლუმბიას სრულიად არ ჰყავს ტანკები. გასაკვირი არ არის, რომ ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესის განკარგულებით, კოლუმბიის საზღვრისკენ პირველ რიგში სწორედ სატანკო ბატალიონები გაგზავნეს. გარდა ამისა, ვენესუელის სახმელეთო ჯარები აღჭურვილია ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით, რომლებიც არ აქვს კოლუმბიას.

რაც შეეხება ეკვადორს, მისი შეიარაღებული ძალები გაცილებით ჩამორჩება რიცხობრივად კოლუმბიისას და არც აღჭურვილობით გამოირჩევა. სრულმასშტაბიანმა კონფლიქტმა, საეჭოა, მას დიდი წარმატება მოუტანოს.

ყველა შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ არც ერთი ქვეყანა არ არის დაინტერესებული ომის დაწყებით, რასაც, შესაძლოა, უმძიმესი ეკონომიკური და სხვა პრობლემები, მეტიც, ზოგიერთი ქვეყნის ჩარევაც მოჰყვეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოლუმბიის საზღვარზე სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების გაშლის შემთხვევაში, სიტუაციაში, შესაძლოა, ჩაერიოს აშშ-ის შეიარაღებული ძალები, რომელიც ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის სასარგებლოდ რადიკალურად შეცვლის ბალანსს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრეისერები და საკრეისერო ოპერაციები


„ტიკონდეროგას“ სერიის ბოლო კრეისერი „პორტ როიალი“

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის რიგი ლოკალური კონფლიქტები სამხედრო-საზღვაო ძალების აქტიური მონაწილეობით აღინიშნა, სადაც კრეისერები ისევ ომისდროინდელ დავალებებს ასრულებდნენ.

კორეისა და ვიეტნამის ომებში ამერიკული კრეისერების მთავარ დანიშნულებად სანაპირო სამიზნეებზე საცეცხლე ზემოქმედება და ავიამზიდების დაცვა დარჩა.

კომუნისტური კორეისა და ვიეტნამის შეზღუდული საზღვაო-საჰაერო შესაძლებლობები ამერიკულ ხომალდებს მოქმედების დიდ თავისუფლებას აძლევდა. მცირეოდენ საფრთხეს სანაპირო მობილური საარტილერიო ბატარეები და ავიაცია ქმნიდა.

ვიეტნამელთა სანაპირო ბატარეებმა კრეისერებს: „კანბერას“, „ოკლაჰომა-სიტის“, „ბოსტონსა“ და „ნიუ-პორტ ნიუსს“ რამდენიმე ჭურვი მოარტყეს, რასაც პატარა დაზიანებები მოჰყვა, მაგრამ ისეთი დიდი ხომალდის ჩასაძირავად, როგორიც კრეისერია, ეს საკმარისი არ იყო.

ჰაერში ამერიკული ავიაციის სრული ბატონობის პირობებში ვიეტნამელები ამერიკულ ხომალდებზე საჰაერო შეტევებს მაინც არ ერიდებოდნენ. 1968 წლის 16-17 ივნისს ვიეტნამელთა „მიგმა“ კრეისერ „ჩიკაგოს“ უშედეგოდ შეუტია. სამაგიეროდ, იმავე წლის 19 ივნისს ამერიკულმა საგემბანო თვითმფრინავებმა კრეისერი „ბოსტონი“ შეცდომით რაკეტებით დაბომბეს.

ვიეტნამის ომი პირველი თაობის საზღვაო საზენიტო-სარაკეტო სისტემების გამოყენების მხრივ საინტერესო გამოდგა. მაგალითად, 1972 წლის მაისში კრეისერ „ჩიკაგოს“ საზენიტო რაკეტა „ტეილორი“ ვიეტნამელთა МиГ-17-ს 70 კილომეტრის დაშორებიდან მოხვდა, ხოლო კრეისერმა „ლონგ ბიჩმა“ იმავე რაკეტებით რეკორდულ, 120 კილომეტრ მანძილზე, 2 „მიგი“ გაანადგურა.

ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა ვიეტნამელთა მსუბუქი საზღვაო ძალების მოქმედებებს და ერთ შემთხვევაში, 1972 წლის 21 აგვისტოს, კრეისერმა „ნიუპორტ ნიუსმა“ არტილერიით ვიეტნამელთა ერთი სატორპედო კატარღა შეტევისათვის მზადებისას ჩაძირა.

კიდევ ერთი კონფლიქტი, სადაც ამერიკულ კრეისერს საცეცხლე შესაძლებლობების გამოყენება მოუხდა, ლიბიას უკავშირდება. 1986 წლის დასაწყისში ამერიკა-ლიბიის ურთიერთობათა გართულებას ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო-საზღვაო ოპერაცია მოჰყვა.

ხმელთაშუა ზღვა ამერიკის მე-6 ფლოტის ოპერატიული მოქმედების ზონად ითვლება და ოპერაციის წინ ამერიკელთა განკარგულებაში იყო 3 ავიამზიდი, 5 სარაკეტო კრეისერი, 4 სარაკეტო საესკადრო ნაღმოსანი, 3 სარაკეტო ფრეგატი, 4 ატომური წყალქვეშა ნავი და სხვა ხომალდები.

ამერიკელთათვის რეალურ საფრთხეს ლიბიის ფლოტის 32 სარაკეტო კატარღა ქმნიდა და მათგან ოთხი უახლესი საბჭოთა პროექტი 1234-ით იყო აგებული.

1986 წლის 25 მარტს „იორკთაუნმა“ სიდრის ყურეში სარაკეტო კატარღა „ეინ ზაგუტი“ (პროექტი 1234) იმ დროს ამოიღო მიზანში, როცა ლიბიელებმა რადარი ცოტა ხნით ჩართეს, მაგრამ ეს სამიზნის კლასიფიკაციისათვის საკმარისი აღმოჩნდა. სროლის მანძილის სიმცირის გამო კრეისერის ორმა „ჰარპუნმა“ ლიბიელთა კატარღამდე სწრაფად მიაღწია და „ეინ ზაგუტს“ ცეცხლი მოედო, რომელსაც რაკეტებში დარჩენილი საწვავი კიდევ უფრო აძლიერებდა. რამდენიმე წუთში კატარღა ცეცხლმოდებულ ჩირაღდანს დაემსგავსა და 15 წუთის შემდეგ 60-კაციანი ეკიპაჟით ფსკერისკენ წავიდა.


რუსული ატომური სარაკეტო კრეისერი „ადმირალი ნახიმოვი“

ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთ ყველაზე ცხელ რეგიონად ითვლება, აქ ომები თუ კონფლიქტები იშვიათობას არ წარმოადგენს. რეგიონში მორიგი ომი ირანსა და ერაყს შორის 1980 წელს დაიწყო და ძალიან მალე დაპირისპირებულმა მხარეებმა სამიზნედ სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ნავთობის გადამტანი ტანკერები აქციეს. მშვიდობიან ნაოსნობას დიდი საფრთხე შეექმნა და მისი დაცვა დასავლეთის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებმა იკისრეს.

სპარსეთის ყურეში სხვა ხომალდებთან ერთად ამერიკული კრეისერი „ვინსენსი“ ორი ფრეგატის თანხლებით პატრულირებდა. 1988 წლის 3 ივლისს, დილის

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის სარაკეტო კრეისერი „მარშალი უსტინოვი“

10 საათზე, კრეისერის რადარმა ირანელთა სამი სწრაფსვლიანი კატარღა შენიშნა. კატარღები დანიური ტანკერისაკენ მიემართებოდნენ და მიახლოებისთანავე ცეცხლი გაუხსნეს.

შეტევის მოსაგერიებლად ირანელთა კატარღებისაკენ ამერიკული ფრეგატი და „ვინსენესის“ შვეულმფრენი გაგზავნეს. 10 საათსა და 47 წუთზე კრეისერის საბრძოლო-საინფორმაციო ცენტრმა ხომალდის მეთაურ უილიამ როჯერსს შეატყობინა, რომ ირანის ქალაქ ბენდერ-აბასიდან აფრენილი თვითმფრინავი კრეისერისაკენ მოემართებოდა.

ამის შემდეგ სიტუაცია აირია. ამერიკული ხომალდიდან გაგზავნილ შეკითხვებს ირანული თვითმფრინავი არ პასუხობდა, ხოლო მისი ბოლო მანევრი როჯერსმა საჰაერო შეტევისათვის მზადებად ჩათვალა.

თვითმფრინავის აღმოჩენიდან შვიდი წუთის შემდეგ კრეისერის საზენიტო-სარაკეტო სისტემამ სამიზნეს „სტანდარტის“ ტიპის ორი რაკეტა ესროლა. ფრეგატ „სტარკის“ ინციდენტმა ამერიკელებს ბევრი რამ ასწავლა და ახლა მკვეთრ მოქმედებებს მიმართეს, რაც უპირველესად ამერიკელი სამხედროების უსაფრთხოებას ითვალისწინებდა.

რამდენიმე წამში აფეთქების ხმა გაისმა და თვითმფრინავის ნამსხვრევები ზღვაში ჩაცვივდა. მალე გაირკვა, რომ ამერიკულმა რაკეტებმა ირანული აერობუსი A-300B ჩამოაგდეს. თვითმფრინავი ბენდერ-აბასი-დუბაის რეისს ასრულებდა, მის ბორტზე მყოფი 290 კაცი დაიღუპა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში გავრცელდა მოსაზრება, რომ თანამედროვე ომებში კრეისერმა, როგორც საარტილერიო ხომალდმა, თავისი მნიშვნელობა დაკარგა და დარჩა მისი გამოყენების ვიწრო სფერო — წყალზედა და წყალქვეშა ხომალდების ძებნა-განადგურება, სახმელეთო სამიზნეებზე სარაკეტო დარტყმები, საკუთარი დაჯგუფებების საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფა და სატრანსპორტო გემების გაცილება.

ოპტიმალური ტექნიკურ-ტაქტიკური პარამეტრების მატარებელი კრეისერების შესაქმნელად ამერიკული ვერფები ერთხანს ხომალდებს ჩვეულებრივ და ბირთვულ საწვავზე მომუშავე ენერგეტიკული დანადგარებით აგებდნენ, ამ უკანასკნელის უპირატესობა ცურვის სიშორეზე შესამჩნევი იყო.

პირველ ატომურ სარაკეტო კრეისერ „ლონგ ბიჩს“ 1962 წელს უფრო პატარა, 8600 ტონა წყალწყვის „ბეინბრიჯი“ და 1967 წელს 9200 ტონა წყალწყვის „ტრაქსთენი“ მოჰყვა.

„ტრაქსთენზე“ პირველად გამოჩნდა შეწყვილებული უნივერსალური გამშვები დანადგარი, Mk-26 საზენიტო რაკეტა standart SM-2-ისა (მარაგი 60 რაკეტა) და წყალქვეშა ნავების საწინალო რაკეტა „ასროკის“ (მარაგი 20 რაკეტა) საერთო სტარტით.

ცალკეული ატომური წყალზედა ხომალდის მშენებლობით მიღებული გამოცდილების შემდეგ ამერიკული ვერფები კრეისერების სერიულ აგებაზე გადავიდნენ და ფლოტს 1974-75 წლებში პირველი სერიული ატომური სარაკეტო კრეისერები „კალიფორნია“ და „საუთ დაკოტა“ გადაეცა.

ხომალდების შეიარაღებაში შევიდა შემტევი ხომალდსაწინალო „ჰარპუნის“, საზენიტო standart SM-2-სა და წყალქვეშა ნავების საწინალო „ასროკის“ ტიპის რაკეტები. წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის კიდევ ერთი დამატებითი საშუალება 324 მმ-იანი ტორპედოები იყო. საარტილერიო შეიარაღებიდან ორი 127 მმ-იანი ქვემეხი დარჩა.

1976-80 წლებში დასრულდა კიდევ ოთხი სერიული ატომური სარაკეტო კრეისერი: „ვირჯინია“, „ტეხასი“, „მისისიპი“ და „არკანზასი“. წინა სერიისაგან განსხვავებით, ეს 11 ათასი ტონა წყალწყვის ხომალდები უნივერსალური გამშვები დანადგარი Mk-26-ით აღიჭურვა და 2 შვეულმფრენი დაემატა.

კრეისერების მშენებლობაში დაწინაურებული მეორე ქვეყანა საბჭოთა კავშირი იყო. საარტილერიო კრეისერებიდან სარაკეტოზე გადასვლის ეტაპი 58-ე პროექტში მოხერხდა.

უცნაურ ფაქტად რჩება, რომ 58-ე პროექტის ხომალდებს თავიდან საესკადრო ნაღმოსნებად აგებდნენ, მაგრამ მშენებლობის პროცესში კლასიფიკაცია შეიცვალა და ხომალდები სარაკეტო კრეისერებს მიეკუთვნა.

1962 წლის დეკემბრის ბოლოს საბჭოთა ფლოტს 5380 ტონა წყალწყვის პირველი სარაკეტო კრეისერი „გროზნი“ დაემატა. ხომალდის შეიარაღებაში შევიდა ორი ოთხრაკეტიანი კონტეინერი ხომალდსაწინალო რაკეტებით, შეწყვილებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად რეაქტიული ბომბსატყორცნები, სატორპედო აპარატები და შვეულმფრენი. საარტილერიო შეიარაღება შეწყვილებული ორი 76 მმ-იანი დანადგარით იყო წარმოდგენილი.

კრეისერის □-35 ტიპის ხომალდსაწინალო რაკეტები 250 კმ-ზე დაფრინავდა, მაგრამ ასეთ მანძილზე სროლა სამიზნეზე ინფორმაციას საჭიროებდა, რომლის მოპოვება მთლიანად ავიაციაზე იყო დამოკიდებული. შორეული მოქმედების მზვერავი საზღვაო თვითმფრინავები კი საბჭოთა ფლოტისათვის ყოველთვის სუსტ წერტილად რჩებოდა.

პროექტის ძლიერ მხარედ ითვლებოდა ორიგინალური კონფიგურაციის ანძაზედნაშენი სხვადასხვა დანიშნულების ანტენებით.

სულ 16 კრეისერის აგება იყო გადაწყვეტილი, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ოთხი: „გროზნი“, „ადმირალი ფოკინი“, „ადმირალი გოლოვკო“ და „ვარიაგი“ დასრულდა. ამის მიზეზი იყო ხომალდებზე პირადი შემადგენლობის შეზღუდული საყოფაცხოვრებო პირობები, არასაკმარისი ცურვის სიშორე და ავტონომიურობა, სუსტი საჰაერო თავდაცვა და ა.შ..

მომდევნო, 1164 პროექტის სარაკეტო კრეისერებს უკვე გაზრდილი წყალწყვა, გაძლიერებული საჰაერო თავდაცვა და წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის უფრო სრულყოფილი საშუალებები ჰქონდა. პროექტის პირველი ხომალდი „სლავა“

მწყობრში 1983 წლის თებერვალში ჩადგა.

„სლავას" სრული წყალწყვა 11280 ტონა იყო. კრეისერის შეიარაღებაში შევიდა „ბაზალტის" ტიპის 16 ხომალდსაწინაღო რაკეტა, საშუალო და ახლო რადიუსის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „ფორტი" და „ოსა", ორი 130 მმ-იანი ქვემეხი და 30 მმ-იანი 6 ექვსლულიანი ავტომატი, წყალქვეშა ნავების საწინაღო რეაქტიული ბომბსატყორცნები, ტორპედოები და 1 შვეულმფრენი.

კრეისერები ნიკოლაევში შენდებოდა. სულ 6 ხომალდის აგება იყო დაგეგმილი, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამდე მხოლოდ სამი მათგანი დასრულდა.

მეოთხე კრეისერი დასამთავრებელი სამუშაოების მცირე მოცულობით დამოუკიდებელ უკრაინას დარჩა და სახელად „უკრაინა" დაერქვა. მორალურად და ტექნიკურად უკვე მოძველებული ხომალდი კიევს აღარ სჭირდება და არც სხვა ქვეყნისთვის მისი მიყიდვა ხერხდება.

საბჭოთა კრეისერმშენებლობის კიდევ ერთი, მიღწევა ატომური სარაკეტო კრეისერებია. 26 ათას ტონამდე წყალწყვის ეს გიგანტები უცხოელმა სპეციალისტებმა სამართლიანად მიაკუთვნეს სახაზო ხომალდების კლასს.

XX საუკუნის ბოლოს ამერიკული კრეისერების შეიარაღებამ გარკვეულწილად სტანდარტული სახე მიიღო და მასში შევიდა: ხომალდსაწინაღო ფრთიანი რაკეტები, საჰაერო თავდაცვის საშუალო და ახლო რადიუსის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის სისტემები. ამის ფონზე სახომალდო არტილერიამ დამხმარე ფუნქციები შეიძინა და მისი კალიბრი შესამჩნევად შემცირდა.

შეიარაღების ასეთი სქემა გამოყენებულია ამერიკულ არაატომურ სარაკეტო „ტიკონდეროგას" სერიის კრეისერებზე, რომლის პირველი ხომალდი 1983 წელს დასრულდა.

პირველი ხუთი კრეისერის შეიარაღების სისტემები „ვირჯინიის" სერიისაგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ მეექვსე „ბანკერ ჰილიდან" მოყოლებული ხომალდებზე ახალი ტექნოლოგიის შეიარაღება გამოჩნდა.

ასეთ სიახლედ უნდა ჩაითვალოს საჰაერო თავდაცვის სისტემა „იჯისი", რომელიც მოწინააღმდეგის ფრთიანი რაკეტებით მასირებული შეტევის მოსაგერიებლად თავდაცვის მეორე ზღუდეს ქმნის. თავიდან „იჯის" ხარვეზები ჰქონდა და მის სრულყოფას სამი წელი დასჭირდა.

სისტემაში შევიდა მრავალფუნქციური რადარი SPY-1, ცეცხლის მართვის პოსტი და ვერტიკალური სტარტის დანადგარი Mk-41.

რადარი SPY-1 თანხლებას ერთდროულად 128 სამიზნეს უკეთებს და 22 რაკეტით 18 სამიზნეზე სროლას უზრუნველყოფს.

დანადგარი Mk-41 საზენიტო standart SM-2-ებითა და ESSM-ებით, ხომალდსაწინაღო „ტომაჰავკებითა" და წყალქვეშა ნავსაწინაღო „ასროკებით" სროლის საშუალებას იძლევა. დანადგარში, სხვადასხვა თანაფარდობით, სულ 122 რაკეტა იტვირთება.

ამჟამად „ტიკონდეროგას" სერიის პირველი ხუთი კრეისერი ჩამოწერილია, ხოლო დარჩენილი ოცდაორი, საჰაერო თავდაცვის გაძლიერების მიზნით, 2015 წლამდე მოდერნიზაციას გაივლის. მოდერნიზებული ხომალდები უახლესი მოდელის standart SM-2-ს და SM-3-ს ტიპის რაკეტებითა და ახლო რადიუსის საზენიტო სისტემა RAM-ით გაძლიერდება.

მოდერნიზებულმა კრეისერმა „ლეიკ ერიმ" თავისი შესაძლებლობების დემონსტრირება უკვე მოახდინა. 2008 წლის 20 თებერვალს წარმატებით შესრულდა ზედაპირიდან 247 კილომეტრის დაშორებით SM-3-ს ტიპის რაკეტით ხელოვნური თანამგზავრის გადაჭრის ოპერაცია. რაკეტა თანამგზავრს დაეჯახა და ააფეთქა, ხოლო ნამსხვრევები ატმოსფეროს მკვრივ ფენებში 24-48 საათში დაიწვა.

ამერიკული კრეისერებისათვის ერაყის 1991 წლის კამპანია თვისებრივად სრულიად განსხვავებული საბრძოლო სამსახური გამოდგა. მასში მონაწილე სარაკეტო კრეისერების მთავარი ამოცანა ერაყელთა სარაკეტო კატარღების ფრთიანი რაკეტებისაგან ავიამზიდების დაცვა იყო. მოკავშირეთა დიდი უპირატესობის გამო კრეისერებს თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრირება არ მოუხდათ, თუმც ერაყელთა ნაღმისაგან დაზიანებას კრეისერი „პრინსტონი" ვერ გადაურჩა.

კამპანიის დასრულების შემდეგ ერაყი ამერიკის ფლოტის კონტროლქვეშ რჩებოდა, ხოლო იქ განლაგებული სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ დროდადრო საჰაერო-საზღვაო ოპერაციები ტარდებოდა.

1993 წლის 17 იანვარს, სარაკეტო კრეისერის მონაწილეობით, ბაღდადთან მდებარე ერთ-ერთ საწარმოს „ტომაჰავკები" დაუშინეს.

ერაყის 2003 წლის კამპანიის წინ, მარტის პირველ რიცხვებში, სხვადასხვა ხომალდთან ერთად ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ორი სარაკეტო კრეისერი, ხოლო სპარსეთის ყურესა და არაბეთის ზღვაში 6 სარაკეტო კრეისერი იყო.

20 მარტს, გამთენიისას, ბაღდადსა და ერაყის სამხრეთ ნაწილს საბრძოლო ხომალდებიდან პირველი სარაკეტო დარტყმები მიაყენეს. ამ ოპერაციაში წითელი ზღვიდან კრეისერი „კოუპენსი", ხოლო არაბეთის ზღვიდან კი „ბანკერ ჰილი" მონაწილეობდა. ამით კრეისერებმა ერაყის 2003 წლის ომში მცირედი წვლილი შეიტანეს.

ლოკალურ ომებსა თუ კონფლიქტებში დაღუპულ ბოლო კრეისერად, ალბათ, არგენტინელთა „გენერალი ბელგრანო" დარჩება. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ამერიკულმა კრეისერმა „ფენიქსმა" სახელმწიფო კუთვნილება 1951 წელს შეიცვალა, როცა არგენტინის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში ჩაირიცხა.

1982 წლისათვის კრეისერი იმდენად დაძველდა, რომ განიხილებოდა მისი საზღვაო მუზეუმად გადაკეთების საკითხი. ფოლკლენდის კუნძულების გამო ბრიტანეთთან დაწყებულმა კონფლიქტმა გეგმე-

**არგენტინის ფლოტის კრეისერი „გენერალი ბელგრანო"**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი შეცვალა და კრეისერი არგენტინის ფლოტის შემადგენლობაში დარჩა, თუმცა არტილერიითა და ტორპედოებით შეიარაღებული ხომალდი მნიშვნელოვან ძალად არ განიხილებოდა.

1982 წლის 2 მაისი კრეისერისათვის ტრაგიკული გამოდგა. ბრიტანელთა ატომური წყალქვეშა ნავ „კონკერორის" ტორპედომ ხომალდი მძიმედ დააზიანა და გადარჩენისათვის ეკიპაჟის 36-საათიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ „გენერალი ბელგრანო" 323 კაცთან ერთად ატლანტის ოკეანეში ჩაიძირა.

საბჭოთა კრეისერების ბევრად უფრო მშვიდობიან სამსახურში დასამახსოვრებელი ეპიზოდები მეტწილად საბჭოთა ბელადებისა თუ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტ ლიდერთა სტუმრობას უკავშირდებოდა. პირველი მაგალითი სტალინმა აჩვენა, როცა 1947 წლის 19 აგვისტოს კრეისერ „მოლოტოვით" იალტიდან სოჭში ჩავიდა. სტალინმა თანმხლებ პირებთან ერთად ხომალდის გემბანზე გაიარა და მთავარი კალიბრის პირველი კოშკურა დაათვალიერა.

ამჟამად ამერიკელი სპეციალისტები 25 ათასი ტონა წყალწყვის მძიმე ატომური კრეისერის CGN(X) პროექტზე მუშაობენ. თანამედროვე ტენდენციათა გათვალისწინებით შექმნილი უნივერსალური ხომალდი აღიჭურვება საჰაერო-რაკეტსაწინაღო თავდაცვის ეფექტიანი სისტემებით, ხოლო საზღვაო დესანტს საცეცხლე მხარდაჭერას 152 მმ-იანი ან 203 მმ-იანი ქვემეხები გაუკეთებენ. ახლანდელი კრეისერების არტილერია ისევ დამხმარე ფუნქციებს ასრულებს და იშვიათად საჰაერო თავდაცვის ახლო ზონაში გამოიყენება.

ლიბანის 1982 წლისა და ერაყის 1991 წლის კამპანიებმა 30-40 კილომეტრის მანძილზე მსხვილკალიბრიანი არტილერიის საჭიროება ცხადყო. ფრთიან რაკეტებსა და საცეცხლე მხარდაჭერის შვეულმფრენებთან შედარებით საარტილერიო ჭურვები ბევრად იაფია. ამასთან, რაკეტასთან შედარებით საარტილერიო ცეცხლის კორექტირება უფრო სწრაფად და მარტივად შეიძლება.

ერთხანს ამერიკელები კრეისერების ელექტრომაგნიტური ქვემეხით აღჭურვის შესაძლებლობასაც კი განიხილავდნენ, მაგრამ ასეთი ქვემეხების პრაქტიკულ ნიმუშად ქცევას ჯერ კიდევ დრო სჭირდება.

2030 წლისათვის ამერიკის ფლოტს ახალი პროექტებით აგებული 5 მძიმე ატომური და 15 არაატომური მსუბუქი კრეისერი უნდა ჰყავდეს.

*თემურ ჩაჩანიძე*

# რიონის მნიშვნელობა ქართული ზღვაოსნობის ისტორიაში



რუსი მხატვრის გრიგოლ გაგარინის ცნობილი ტილო, სადაც რედუტ-კალეა გამოსახული

**იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ XVII საუკუნის პირველი ნახევრის კოლხეთის სანაპიროს საინტერესო აღწერა დაგვიტოვა: „ზღვის ნაპირი თითქმის სულ დაცულია ტყეებითა და გაუვალი ჭაობით. ეს ტყეები და ჭაობი კედლებისა და თხრილების მაგივრობას ასრულებენ და ამრიგად უშიშრად ხდიან ამ კუთხეს გარეშე მტრების თავდასხმებისაგან".**

ბუნებრივი დაბრკოლებებით დაცული სანაპირო მტერს შემოჭრას უძნელებდა, ამიტომ დასავლეთ საქართველოს სიღრმეში შეღწევის მოსახერხებელ და, ალბათ, შედარებით უსაფრთხო გზად მდინარეები ითვლებოდა. წყალუხვი რიონით ჯერ კიდევ არგონავტებმა ისარგებლეს.

რიონით საქართველოს სიღრმეში შემოღწევა და იქიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა თურქებმა 1578 წელს სცადეს, როცა ირანთან მორიგი ომი დაიწყო.

ომი თურქების უპირატესობით მიმდინარეობდა. თურქეთის არმიამ ირანელებს თბილისი წაართვა და შემდეგ თავად ირანის დამორჩილებას შეეცადა. ომი დამხმარე ძალებს მოითხოვდა.

თურქებმა ჩათვალეს, რომ რიონით დასავლეთ საქართველოში შემოყვანილი ჯარის აღმოსავლეთში გადაყვანა ბევრად ჩქარი და ნაკლებსაზარალო იქნებოდა. ამ გეგმაში ქუთაისს საკვანძო ადგილი ეკავა.

როგორც ლამბერტი წერს, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თურქების გალერები ფასისში შევიდნენ და როგორც კი ქუთაისს მიუახლოვდნენ, თოფებით შეიარაღებული ქართველების ჯარი დახვდათ. მდინარის ვიწრო კალაპოტში ორივე ნაპირზე ჩასაფრებულმა ქართველებმა ისეთი სროლა ატეხეს, რომ თურქებმა ჩანაფიქრის შესრულებას თავი მაშინვე დაანებეს.

ლეპანტოს ბრძოლაში დამარცხების შემდეგ თურქეთის ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში პოზიციას ნელ-ნელა თმობდა, მაგრამ შავ ზღვაში ძველებურ სიძლიერეს ინარჩუნებდა.

ევროპის ქვეყნებს შორის თურქეთის ფლოტი ერთ-ერთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო. საზღვაო-სამდინარო დანიშნულებას უიარაღო დიდი ნავი, ანუ ად-კაიკა ასრულებდა. ასეთი ნავი ნაპირთან ახლოს მოსახსნელანძიანი ირიბი იალქნის გამოყენებით დაცურავდა და მდინარეშიც შედიოდა. დიდ ად-კაიკას ბაგირებით ჩაბმული 16-18 ცხენი ეწეოდა. უფრო პატარა იყო კოზ-კაიკა, ტეზ-კაიკა, პიადე-კაიკა და სხვები.

ჯარით დატვირთული ნავებით რიონზე აღმა ცურვა, გამწევ ძალად ცხენების გამოყენებით, განსაკუთრებით ვიწროებში, თურქებს გაუჭირდებოდათ. ჩასაფრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ქართველებს კი პირიქით, — საკმარისი იყო, ცხენები დაეხოცათ, რომ დინება ნავებს უკან წაიღებდა ან ნაპირზე გამორიყავდა.

ზღვაოსნობისაგან განსხვავებით მდინარეში ნაოსნობას თავისებურებები ახასიათებს. ზოგიერთ ადგილზე მდინარის არასაკმარისი სიღრმე საზღვაო გემებს ცურვის საშუალებას არ აძლევს, ამიტომ მდინარეებისათვის სპეციალური მცურავი საშუალებები იგება, განიერ-ბრტყელი ფსკერითა და პატარა წყალჯდომით.

ძველ დროში დიდ სირთულეს მდინარის დინების საწინააღმდეგოდ, აღმა ცურვა წარმოადგენდა და მეტწილად გამწევი ძალის მოვალეობას ადამიანი ასრულებდა, რომელსაც ნავის მდინარის სანაპიროდან ჭაპანით გაწევა უხდებოდა. ეს ძნელი და შრომატევადი საქმე იყო.

ფრანგი მოგზაური შევალიე გამბა, რომელმაც 1819-24 წლებში სამხრეთ კავკასია და საქართველო მოიარა, რიონზე აღმა ცურვაზე წერდა, რომ 1 საათში 1 ვერსტის, ანუ 1 კილომეტრზე ცოტა მეტის გავლაა ძლივს ახერხებდა. ამისათვის მეჭაპანე ნაპირიდან გადმოხრილ ხეების ტოტებს იშველიებდა, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არ იყო, ჭაპანით მიათრევდა.

ინგლისში XVII-XIX საუკუნეებში არხებში აღმა ცურვისათვის ნავების გასაწევად ცხენებს იყენებდნენ. ცხენს ადამიანთან შედარებით ბევრად მეტი ძალა და გამძლეობა ჰქონდა.

გამწევ ძალად ცხენების გამოყენების ტრადიცია რუსეთშიც არსებობდა, სადაც სამდინარო გემებს თუ ბარჟებს კარგა ხნის მანძილზე ოკაზე, დნეპრზე, ვოლგის ზედა წელზე, შეკსნასა და ციმბირის მდინარეებზე მიაცურებდნენ.

უშედეგო სამხედრო-სამდინარო ექსპედიციის მიუხედავად, თურქები რიონის შესართავს დიდხანს საიმედოდ იცავდნენ. რუსეთის პირველი ელჩი ოსმალეთში 1707-14 წლებში გრაფი პეტრე ტოლსტოი წერდა, რომ „ფასისის შავ ზღვასთან შეერთების ადგილი წყნარი და ფართოა, სადაც დიდი თუ პატარა სამხედრო ხომალდების უსაფრთხო დაყენება შეიძლება. იქ თურქებმა პორტის დასაცავად ახალი ქალაქი ააშენეს, სადაც 5 ანდატი და 3 ასეული განალაგეს.

რიონის, როგორც სატრანსპორტო არტერიის, მნიშვნელობა განსაკუთრებულად გაიზარდა XIX საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოში რუსების ჯარი შემოვიდა. ქვეყნის სიღრმეში შემოსაღწევად ყველაზე მოსახერხებელ გზად ისევ რიონი რჩებოდა, მაგრამ მდინარის შესართავს ფოთიდან თურქები აკონტროლებდნენ.

1804 წელს მდინარე ხობის შესართავთან, ახლანდელი ყულევის ადგილზე, რუსებმა რედუტი მოაწყვეს და დასახლებას რედუტ-კალე ეწოდა. მალე რედუტ-კალე მთავარი საზღვაო პუნქტი გახდა, სადაც თავს იყრიდა შავი ზღვის ფლოტის სატრანსპორტო გემებით ყირიმიდან შემოყვანილი ჯარი, შემოტანილი აღჭურვილობა და პროვიანტი.

რედუტ-კალედან ტვირთი ურმებს რიონის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ნაბადაში აგებულ სიმაგრე რიონსკიში გადაჰქონდათ, ხოლო იქიდან ნავებით სოფელ ბაშამდე ან ვარციხემდე.

1804 წელს საქართველოში რუსეთის მთავარმართებელ ციციანოვის ბრძანებით გაკეთდა პატარა არხი, რომლითაც რედუტ-კალე მდინარეების ხობის, ცივისა და ციას საშუალებით სოფელ ჭალადიდთან რიონს დაუკავშირდა.

რუსებმა კიდევ ერთი სიმაგრე 1805 წელს, ცხენისწყლის რიონთან შეერთების ადგილზე, ახლანდელი აბაშის რაიონის სოფელ მარანთან ააგეს და იქ საგუშაგოსთან ერთად სურსათის საწყობი განათავსეს.

როგორც გამბა წერს, მარანიდან იმერეთში შეტანილი ჭვავის ფქვილი გურია-სამეგრელოში განლაგებულ რუსების ჯარს ეგზავნებოდა.

ცხენისწყალზე ნაოსნობის სირთულის გამო მოგვიანებით მარანის ნავსადგომი რიონის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. მარნიდან ქუთაისამდე კარგი სახმელეთო გზა იყო, რომელიც სამდინაროს 5-6 ვერსით თუ აღემატებოდა.

ტვირთს მეგრელები ეზიდებოდნენ და ამისათვის გრძელ ხეში ამოჭრილ ან სამი-ოთხი მეტ-ნაკლებად სქელი ფიცრისაგან შეკრულ ნავებს იყენებდნენ. ფიცრები არ იჟღინთებოდა, ხოლო მათ შორის დარჩენილი ზერელედ დაგმანული ღრიჭოები წყალს ვერ აკავებდა და ტვირთს აზიანებდა. ასეთ მცურავ საშუალებებს ერთ გზაზე 10 ტონამდე ტვირთის წაღება შეეძლოთ.

გამბას გადმოცემით, რიონის სიღრმე წყლის დაკლების დროსაც კი 1,2-1,5 მეტრი იყო, ხოლო კალაპოტში პატარ-პატარა კუნძულები და რიფები ჩანდა. რიონსკიდან მარნამდე ასვლას 5 და უკან დაბრუნებას 2 დღე სჭირდებოდა.

ყირიმის ომის დროს, 1854-55 წლებში, მდინარე რიონმა რუსებს კარგი სამსახური გაუწია. მაშინ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში სამოქმედოდ აზოვის ჯარის კაზაკებით დაკომპლექტებული რიონის სანიჩბე ფლოტილია ჩამოყალიბდა. ფლოტილიის განკარგულებაში 3-გირვანქიანი ფალკონეტებით აღჭურვილი 12 და 20-ნიჩბიანი კაზაკური ნავები იყო.

თურქებთან ომის წინ რუსებს კავკასიის სანაპიროს გამაგრებულ პუნქტებში კაზაკთა 16 ნავი ჰყავდათ. 1854 წლის გაზაფხულზე თურქებმა რედუტ-კალე მოულოდნელად დაბომბეს. რუსებმა სიმაგრე მიატოვეს და 6 ნავი დაწვეს, თურქებს რომ არ დარჩენოდათ. დარჩენილი 10 ნავით რიონის შესართავიდან 8,5 კილომეტრში, სოფელ ჭალადიდთან, კაზაკებმა ბარაკები ააგეს. მოგვიანებით კიდევ უვარგისი 3 ნავი დაიწვა, ხოლო შვიდი ნავით რიონის ფლოტილია ჩამოყალიბდა.



თურქული სახაზო ხომალდი და თურქი მეზღვაურები



რიონის ფლოტილიაში შემავალი 20-ნიჩბიანი კაზაკური ნავი

ფლოტილიის დანიშნულება ბათუმსა და რედუტ-კალეს შორის თურქული სიმაგრეებისთვის საკვებისა და დამხმარე ძალების მიწოდების მოშლა იყო.

1854 წლის აგვისტოსთვის ფლოტილია 10 ოფიცერსა და 220 კაზაკს ითვლიდა, გასაძლიერებლად მას სამეგრელოს ქვეითი მილიციის ჭალადიდის დრუჟინის 2 ასეული დაემატა. ფლოტილიას იმ დროისათვის უჩვეულო, გენერალ კონსტანტინოვის კონსტრუქციის რაკეტების გასაშვები 4 დანადგარიც კი ჰქონდა.

მცირერიცხოვნობის მიუხედავად, რიონის ფლოტილიამ ეფექტიანი მოქმედებებით თურქებს დიდი დარტყმა მიაყენა და, ფაქტობრივად, სანაპირო ზოლში ნაოსნობა მოუშალა. თურქული საფოსტო თუ სატვირთო გემები ცურვას მხოლოდ ორთქლმავალ გემებზე ბუქსირით ჩაბმულები ბედავდნენ. ზღვაზე დაკვირვებისა და კავშირის კარგი სისტემით კაზაკები საფრთხიდან თავის დაღწევას ყოველთვის ახერხებდნენ.

კაზაკთა და მეგრელ მილიციელთა 200-კაციანი რაზმები რედუტ-კალესთან მოულოდნელად ჩნდებოდნენ და მტერს მოსვენებას არ აძლევდნენ. თურქები იმდენად დაშინებული იყვნენ, რომ თვალწინ მომხდარ თავდასხმებზეც კი რეაგირებას არ ახდენდნენ.

პირად შემადგენლობას დიდ დანაკარგს წვიმებით გამოწვეული ციებ-ცხელებაც აყენებდა. 1855 წლის 15 სექტემბრისთვის ფლოტილიაში დარჩენილი 145 კაზაკიდან ჯანმრთელი მხოლოდ 36 იყო. ყირიმის ომის დამთავრებასთან ერთად რიონის სამდინარო ფლოტილიამ არსებობა შეწყვიტა.

რიონზე ნაოსნობის აღდგენისა და ფლოტილიის შექმნის საკითხს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს დაუბრუნდა, თუმცა ამ დროისათვის რკინიგზა ფოთამდე მიყვანილი იყო და გამართულადაც მუშაობდა.

ამ საკითხის წამოჭრა, ძირითადად პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია, მაგრამ მთავრობა ამის დამტკიცებას ეკონომიკური მოსაზრებებით ცდილობდა და არგუმენტად რიონში დიდი რაოდენობით მყოფ პატარა წყალჯდომის კატარღებსა და ბარჟებს ასახელებდა. უნდა ითქვას, რომ რიონის ფოთი-სამტრედიის მონაკვეთზე პატარა ნავებით მიმოსვლა არც არასოდეს შეწყვეტილა.

ნაოსნობის აღსადგენად მთავრობა წინასწარ მდინარის ფარვატერების შესწავლას, სიღრმეების გაზომვასა და საჭირო ადგილების გაღრმავებას მოითხოვდა. ამისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები კი ფოთის პორტს ჰქონდა.

შემორჩენილია 1918 წლის 9 ოქტომბრის ფოთის საქალაქო საბჭოს საგანგებო სხდომის ოქმი, სადაც ნათქვამია, რომ 1918 წლის აპრილის პირველ რიცხვებში, ბათუმის დაცემის შემდეგ, მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტში შემოვიდა კავკასიის არმიის ზურგის მესამე რაიონის ფლოტილია, რომელიც ათიოდე მოტორიან ნავს, რამდენიმე საბუქსირე ბარჟას და სხვა მოწყობილობებს ითვლიდა.

ფლოტილიის მოსამსახურეთა სახელფასო დავალიანება 30 ათას მანეთს შეადგენდა და უფულობის გამო ისინი სამსახურიდან დაითხოვეს. ფლოტილიის უფროს სპრინკველს ნავების ლიკვიდაციის (გაყიდვის) გზით მიღებული ფულით მოსამსახურეთა და მუშების დაკმაყოფილების უფლება მიეცა.

სპრინკველმა ფლოტილია ფოთის თვითმმართველობას გადასცა, ხოლო ფულის მიღების შემდეგ მცურავი საშუალებების მოვლისათვის საჭირო მეზღვაურები ქალაქმა ისევ დაიქირავა, რაც თვეში 7-10 ათასი მანეთი ჯდებოდა. თითქმის ყველა მცურავი საშუალება შეკეთებას მოითხოვდა, რისთვისაც დამატებით კიდევ 80 ათასი მანეთი იყო საჭირო.

1918 წლის 28 მაისის გერმანიის წარმომადგენლის, გენერალ ფონ ლოსოვისა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელშეკრულებით, ფოთის ნავსადგურში საქართველოს კუთვნილი ყველა სამხედრო თუ სავაჭრო გემი გერმანელთა განკარგულებაში გადავიდა. აუცილებლობის შემთხვევაში გერმანელები გემების საქართველოსათვის დაბრუნების პირობას იძლეოდნენ. გერმანია გემებს საკუთარი ჯარებისა და ტვირთის გადასაზიდავად იყენებდა, ხოლო მეორე ნაწილს არენდით კერძო პირებს გადასცემდა. ამის მიზეზად გემების უმოქმედობა და მათ განკარგვაში ქართველების უცოდინარობა სახელდებოდა. არსებობდა დიდი საშიშროება, რომ არენდით გაცემული გემები ქვეყანას უკან აღარ დაუბრუნდებოდა.

საინტერესოა, რომ ხელშეკრულება ფოთის თვითმმართველობის მიერ შეძენილ მესამე რაიონის ფლოტილიასა და ფლოტილიის მოწყობილობებს არ შეეხებოდა. ალბათ, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სპრინკველი, როცა 1918 წლის 29 სექტემბერს რიონში ქართული სამხედრო ხომალდის „მიხეილის“ შეყვანას მოითხოვდა, თუმცა იმ დროს გემი სოჭთან, მეჩეჩზე იყო გამორიყული.

1918 წლის 28 სექტემბერს რიონზე ნაოსნობის აღდგენის მიზეზით კერძო საზოგადოებამ ფოთის პორტიდან მდინარეში 8 გემი შემოიყვანა.

გერმანელები ქართველებს ეშმაკობას მიუხვდნენ და 1918 წლის 1-ელ ოქტომბერს ფონ ლოსევის თანაშემწე ქრისტენსენი რიონში ძრავიანი კატარღა „ალბატროსით“ შემოვიდა. გერმანელმა ოფიცერმა ძრავიანი კატარღა „ველიკალეპნი“ დაუკითხავად წაიყვანა და ამის მიზეზად ბათუმი-ფოთი-ოჩამჩირის მიმართულებაზე ფოსტის ტარება დასახელდა.

რიონის, როგორც სამდინარო-სატრანსპორტო მაგისტრალის, მნიშვნელობა მომდევნო წლებში შესამჩნევად შემცირდა, ხოლო ჰიდროტექნიკურმა ნაგებობებმა მასზე ნაოსნობა შეუძლებელი გახადა.

1918 წლის მეორე ნახევრისათვის ქალაქ ფოთის თვითმმართველობის განკარგულებაში იყო მცირე წყალწყვის შემდეგი მცურავი საშუალებები:

ძრავიანი შხუნა „მერცხალი“ (ყოფილი „დელფინი“); ძრავიანი ნავები: „გურია“ (ყოფილი „ლეილა“), „ვიქტორი“, „სურმენე“, „ტეხური“, „სვიატაია ნინა“ (ყოფილი „სანიტარკა“) და „ბუხარა“; ძრავიანი კატარღები: „ერეკლე“ (ყოფილი „უსპეხი“), „მარია“, „მცხვარი“ (ყოფილი „კასპი“), „რუსთაველი“ (ყოფილი „ალბატროსი“) და „მცხეთა“ (ყოფილი „ვერდენი“); ორთქლის კატარღა „კრასნი კრესტი“, ძრავიანი შლუპი – „ბელინკა“, ბარკასი „ბორისი“ და 2 ბარჟა.

თემურ ჩაჩანიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ავსტრიული პისტოლეტი; 6. ესპანური პისტოლეტის „გაბილონდოს“ მოდელი; 7. აშშ-ის ავიაბაზა გრენლანდიაზე; 8. ამერიკელი მომღერალი ... კოკერი; 10. ლატვიური მიკროავტობუსი; 12. ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე, რაიხსმარშალი და საჰაერო ძალების მთავარსარდალი; 13. კოვბოური ფილმი; 16. ფრანგული პისტოლეტი; 18. ქვეყანა დასავლეთ აზიაში; 19. გერმანული რევოლვერი; 20. დანიური რევოლვერი; 22. საქართველოს ომბუდსმენი; 24. ამერიკული ატომური სარაკეტო წყალქვეშა ნავი; 25. ქვეყანა აფრიკაში; 28. ფაშიზმის სამშობლო; 29. ისრაელის ტერიტორიული თავდაცვის ჯარი; 30. კოსმოდრომი ყაზახეთში; 33. გემის საჭე; 34. რუსული შვეულმფრენი.

**შვეულად:** 1. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კატერი; 2. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 3. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 4. ამერიკული ტანკსაწინაღო ნაღმი; 5. მომავლის რწმენა; 9. ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი; 11. გერმანული ავტომატი; 13. ჩეხი მხედართმთავარი, გენერალსიმუსი (XVI-XVII ს.ს.); 14. იაპონური ავტომობილი; 15. გერმანული პისტოლეტი; 17. ინდური ტანკსაწინაღო სარაკეტო კომპლექსი; 21. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი შუა აზიაში; 23. კომში; 26. ბელგიური რევოლვერი: 27. გერმანიის ფეხბურთის გუნდი; 30. მაღალყელიანი კალოში; 31. ამერიკული სატრანსპორტო-სადესანტო შვეულმფრენი; 32. ცხენის ჩლიქზე ასაკრავი რკინა.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. მაკედონელი; 6. კატასტროფა; 7. ბარონი; 8. სიო; 9. კამიკაზე; 12. აქილევსი; 14. ზარალი; 15. ხონსიუ; 17. რაინდი; 19. ლიმონა; 20. შტაირი; 21. მაროკო; 24. ცირიკი; 25. ლეიტენანტი; 26. დერინჯერი; 29. პუმა; 30. ექიდნა. **შვეულად:** 1. მეკობრე; 2. კატარღა; 3. დესანტი; 4. ნირი; 5. ივანოვი; 8. სევასტოპოლი; 9. კეზერაშვილი; 10. მარკიტანტი; 11. ამიტი; 13. ლეონიდასი; 16. უშაკოვი; 18. დარასელია; 22. ხანჯალი; 23. დივიზია; 27. ერმა; 28. სპა.



# ფინური სნაიპერული შაშხანა Sako TRG-22

## „საკო“ პოპულარულია სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ძალოვანი სტრუქტურების სნაიპერებს შორის

„არსენალის“ სტუმარი ამჯერად ფინური წარმოების სნაიპერული შაშხანა Sako TRG-22-ია.

„არსენალმა“ ფინური შაშხანა ქართველი სამხედრო სნაიპერების დახმარებით გამოცადა თბილისის ახლოს, ერთ-ერთ სასროლეთზე.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ფინური TRG-22 ბევრი რამით ჰგავს ამერიკულ სნაიპერულ შაშხანა M24-ს, რომელიც თავის მხრივ ცნობილი სნაიპერული შაშხანა Remington 700-ის სამხედრო ვარიანტს წარმოადგენს (თავის დროზე, Remington 700 უკვე იყო „არსენალის“ სტუმარი. ამ სნაიპერულ შაშხანებს ერთ-ერთი ქართული სპეცსამსახური იყენებს).

ფინური და ამერიკული სნაიპერული შაშხანების მთავარი მსგავსებაა ლულის გასწვრივ მოსრიალე ასკეტი. ასეთი მექანიზმი ბევრად აუმჯობესებს სროლის სიზუსტეს. მსოფლიოში ცნობილი თითქმის ყველა სნაიპერული შაშხანა ამ პრინციპითაა შექმნილი, თუმცა საბჭოთა СВД-ზე სხვა სახის მექანიზმაა გამოყენებული.

თვითდამტენი СВД-სგან განსხვავებით ფინურ TRG-22-ზე (ისევე როგორც Remington 700-ზე) გადატენვა ყოველი ახალი გასროლის წინ ხელით ხდება. სულ გამოშვებულია Sako-ს ტიპის ოთხი სნაიპერული შაშხანა – TRG-21, TRG-22 და TRG-41 და TRG-42.

პირველი შაშხანის, TRG-21-ის წარმოებას ფინეთი 1992 წელს შეუდგა. TRG-



TRG-21



TRG-41

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩვენი დოსიე:** ფინური სნაიპერული შაშხანა TRG-22 4,7 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 1150 მმ-ია, ლულის სიგრძე — 660 მმ. მჭიდეში 7,62 მმ კალიბრის 10 ვაზნა თავსდება.

21 გათვლილი იყო .308 Win ტიპის ვაზნებზე. ამ ვაზნებს სხვანაირად 7,62X51მმ NATO ჰქვია და იგი ყველაზე უფრო შეესაბამება საბჭოთა СВД-სთვის განკუთვნილ 7,62X54R ტიპის ვაზნას.

„საკომ“ მალე ახალი სნაიპერული შაშხანა TRG-41 შექმნა, რომელიც უკვე .338 Lapua Magnum-ზე იყო გათვლილი. ამ ვაზნის კალიბრს, თუკი ჩვენებურად „გადმოვთარგმნით“, გამოვა 8,60X70 მმ კალიბრის ვაზნა. ეს ვაზნა ერთგვარ შუალედურ ადგილს იკავებს 7,62 მმ-ისა და მსხვილკალიბრიან 12,7 მმ კალიბრის სნაიპერულ ვაზნებს შორის.

8,6 მმ ვაზნა „საკოს“ შემთხვევით არ აურჩევია, რადგან 12,7 მმ-იანი მსხვილკალიბრიანი შაშხანებისგან განსხვავებით .338 Lapua Magnum-ის სროლისას სნაიპერულ შაშხანას უკუდარტყმის შედარებით ნაკლები ძალა აქვს და ნაკლებია მსროლელის პოზიციის დემასკირების ფაქტები — ლულის ბოლოდან გამოტყორცნილი ცეცხლის ალი და გასროლის ხმა. ამასთან, როგორც აღმოჩნდა, 8,6 მმ კალიბრის სნაიპერული ტყვია 1200 მ დისტანციაზე 12,7 მმ კალიბრის ტყვიაზე უფრო ზუსტი აღმოჩნდა.

მე-20 საუკუნის დასასრულისთვის „საკომ“ ორივე კალიბრის სნაიპერული შაშხანა გაუმჯობესებული ვარიანტებით – TRG-22-ითა და TRG-42-ით შეცვალა. მათ, შესაბამისად, შეინარჩუნეს კალიბრებიც და კონსტრუქციებიც, მაგრამ დაემატათ დასაკეცი ფეხები და სხვადასხვა წვრილმანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „არსენალს“ TRG-22-ის სროლა მოუწია. სნაიპერული შაშხანის სიგრძე ერთ მეტრზე მეტია. მისი ჩარჩო გამძლე პლასტმასისგანაა დამზადებული, რომელსაც



.308 WIN ტიპის ვაზნების სხვადასხვა ტიპი გამოიყენება როგორც სნაიპერული შაშხანისთვის, ისე სანადიროდ





2007 წლის 27 მარტს, კიევში, ამ სხვენის სარკმლიდან კილერმა TRG-22-ით (დისტანცია 400 მ-მდე) მოკლა ცნობილი უკრაინელი ბიზნესმენი, რომელიც დაცვას სასამართლოს შენობიდან გამოჰყავდა.

საფუძვლად ალუმინი უდევს; შაშხანის კონდახზე რეგულირებადი მოწყობილობებია მხარსა და ლოყაზე მოხერხებულად მისადებად. მარჯვენა ხელისგული კარგად ჯდება შაშხანის ხელის მოსაკიდზე. მჭიდეში 7,62 მმ კალიბრის 10 ცალი ვაზნა ეტევა. შაშხანას არა აქვს მექანიკური სამიზნეები, რადგან ის, ძირითადად, საშუალო და შორ მანძილზე სასროლადაა განკუთვნილი, სადაც ოპტიკური სამიზნის გარეშე კარგად მაინც ვერ დაინახავ. დასაყრდენი ფეხები სიმაღლის მიხედვით რეგულირდება და მსროლელს საშუალებას აძლევს, პოზიციის შეუცვლელად ლულა მარცხნივ თუ მარჯვნივ, 10 გრადუსის ფარგლებში მოატრიალოს.

გასროლისას უკუდარტყმის ძალა ნაკლებსაგრძნობია, ყოველ შემთხვევაში, უფრო ნაკლები, ვიდრე იმავე კალიბრის СВД-ის სროლისას.

კარგ მსროლელს შეუძლია 100 მ დისტანციაზე სამი ტყვია 2 სმ-იან წრეში ჩასვას, ხოლო 300 მ-ზე კი 5 სმ-იან წრეში, თუმცა სროლის წინ აუცილებელია სამიზნის გასწორება.

სხვათა შორის, პროფესიონალი სნაიპერები დავალებაზე წასვლის წინ სნაიპერული შაშხანის ერთ გასროლას მაინც ახდენენ, რადგან შემდეგ „ცივი" ლულიდან არ მოუწიოთ მიზნისკენ სროლამ. „ცივი" ლულიდან პირველი ნასროლი არ გამოირჩევა დიდი სიზუსტით.

TRG-22-ს ლულის ბოლოში ეხრახნება ცეცხლმქრობი – მუხრუჭი, რომელიც გარკვეულწილად ამცირებს უკუდარტყმის ძალას და ანელებს ლულის ბოლოდან გამოტყორცნილ ცეცხლის ალს. ლულის ბოლოში შეიძლება სპეციალური მაყუჩის დაყენებაც, ოღონდ ამ შემთხ-



ქართველი სამხედრო სნაიპერები TRG-22-ებს საუკეთესო სნაიპერულ შაშხანებს შორის მოიხსენებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე გამოიყურება „საკოს" სნაიპერული შაშხანა მსხვილკალიბრიან „ბარეტთან" შედარებით



ვევაში რეკომენდებულია ბგერამდელი სიჩქარის მქონე ტყვიის გასროლა.

ფინური სნაიპერული შაშხანა TRG-22-ის ფასი სრული კომპლექტაციით (პლასტიკური ჩემოდანი, ოპტიკური სამიზნე და სხვა ატრიბუტები) 5 ათას დოლარს აღწევს. ეს შაშხანა „არსენალს" თბილისის იარაღის მაღაზიებში არ შეუნიშნავს, თუმც, მსურველებს მისი საზღვარგარეთ გამოწერა, ეტყობა, არ გაუჭირდებათ.

ირაკლი ალადაშვილი



# SAKO TRG-22



არსენალი

ნ54/14

ISSN 1987-5061